

**საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემია**

**ლ. ყანჩაველის სახელობის მცენარეთა დაცვის  
სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი**

**ირმა ცევიტინიძე**

ვაზის ძირითადი მავნებლები და მათ მიმართ  
ბრძოლის ახალი ქიმიური საშუალებების გამოყენება

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

**დისერტაცია**

სამეცნიერო ხელმძღვანელი ესმა ორჯონივიძე,  
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი

**თბილისი-2006**

## შინაარსი

**შესავალი :**

**თავი I.**

ვაზზე გავრცელებული ძირითადი მავნებლები და მათ წინააღმდეგ  
გამოყენებული ბრძოლის საშუალებები  
(ლიტერატურული მიმოხილვა);

**თავი II.**

მასალა და კვლევის მეთოდიკა;

**თავი III.**

ვაზის ძირითადი მავნებლების წინააღმდეგ ახალი პრეპარატების  
გამოცდის შედეგები;

**თავი IV.**

ინსექტიციდების გავლენა დასაცავ მცენარეზე;

**თავი V.**

თანამედროვე ინსექტიციდების საჰექტრო-ეკოლოგიური დატვირტვის  
მაჩვენებლების განსაზღვრა და რეკომენდაციებული ღონისძიებების  
სანიტარიულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური შეფასება;

**თავი VI.**

ვაზის მავნებლებისაგან დაცვის სისტემა, მათ წინააღმდეგ ბრძოლის  
რაციონალური ღონისძიებები, ბიოლოგიური, სამეურნეო და  
ეკონომიური ეფექტურობა;

**დასკვნები;**

**რეკომენდაციები;**

**ციტირებული ლიტერატურა.**

## შესავალი

თემის აქტუალობა: უძველესი დროიდან საქართველო ცნობილია, როგორც მევენახეთა და მეღვინეთა ქვეყანა. აქ ათასწლეულების მანძილზე იქმნებოდა და ყალიბდებოდა ვაზის ახალი, უნიკალური ჯიშები. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია დიდმალი ნივთიერი მასალა: ღვინის შესანახად განკუთვნილი ჭურჭელი, ოქრო-ვერცხლის ნივთები, რომლებიც მეღვინეობაში გამოიყენებოდა, ძველი მარნის ნამარხები. ეს აღმოჩენები დათარიღებულია ჩვენ წელთაღრიცხვამდე 3-2 ათასი წლით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უძველესი დროიდანვე ჰქონდა მსოფლიო სავაჭრო კავშირები. მას სხვადასხვა ქვეყნებში გაპქონდა საკუთარი წარმოების საუკეთესო სამარკო ღვინოები.

სწორედ ადგილობრივი საღვინე ჯიშის ვაზი და ღვინის დაყენების წესი დაედო საფუძვლად საქართველოში უძვირფასესი და განუმეორებელი ბუკეტის მქონე სუფრის, შუშხუნა და შემაგრებული ღვინოების წარმოებას.

საქართველოსათვის ვაზს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად მრავალი გადავლილი ქარტეხილისა, დღემდე მოაღწია ვაზის უნიკალურმა, ენდემურმა ჯიშებმა. სწორედ ამ ჯიშების გადარჩენა, გამრავლება და აღორძინება განაპირობებს დღეს-დღეობით საქართველოში მეღვინეობა-მევენახეობის განვითარებასა და ქართული ღვინოების მსოფლიო სავაჭრო ბაზარზე მოხვედრა-დამკვიდრებას.

ქართული ღვინისა და კონიაკის ხარისხის მსოფლიო სტანდარტების დონეზე შენარჩუნება შეუძლებელია ვაზის მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ სწორი და თანმიმდევრული ბრძოლის გარეშე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვაზის მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის ახალი სტრატეგიის ჩამოყალიბება და დანერგვაა აუცილებელია.

კვლევის მიზანი: ვაზის მავნებლების წინააღმდეგ თანამედროვე ინსექტიციდების გამოყენების ეკოლოგიური-ტოქსიკოლოგიური ასპექტების დადგენა.

ვაზის მავნებლების განვითარების ბიოლოგიური თავისებურებათა შესწავლა - დაზუსტება კახეთის და იმერეთის რეგიონებში.

თანამედროვე პრეპარატების ინსექტო - აკარიციდული აქტივობის პარამეტრების დადგენა ვაზის მავნებლების მიმართ მცენარის ვეგეტაციის ფაზებზე დაყრდნობით.

ახალი პესტიციდების, აგრეთვე მათი ნაერთების და ბიოპესტიციდების კომბინირებული ნაზავების მოქმედების ხასიათის შესწავლა.

ეფექტური პრეპარატების დაშლის დინამიკის თავისებურებათა შესწავლა კულტურის მიხედვით და ამის საფუძველზე ლოდინის პერიოდის დადგენა.

რეკომენდებული ღონისძიებათა სამეურნეო და ეკონომიკური ეფექტურობის დადგენა.

თანამედროვე პესტიციდების ასორტიმენტის დანერგვა საქართველოში, კერძოდ ვაზის კულტურაზე, წამლობათა სქემების ჩამოყალიბება.

2004-2006 წლებში ახალი ინსექტიციდებისა და აკარიციდების გამოცდის შედეგების აღრიცხვა საველე პირობებში, მათი ბიოლოგიური, ჰიგიენური და სანიტარიული ნორმატივების დადგენა.

ნაშთების განსაზღვრა ახალი პესტიციდებით დამუშავებულ ყურძენში.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: თანამედროვე ინსექტიციდების მრავალმხრივი შესწავლა დაედო საფუძვლად დომინანტი მავნებლებისაგან ვაზის დაცვის ღონისძიებათა დამუშავებას. ყოველი ახალი პესტიციდი გამოიცადა და შეფასდა. რის შედეგადაც დადგინდა მათი ბიოლოგიური, ჰიგიენური, ტოქსიკოლოგიური და ეკო-ტოქსიკოლოგიური რეგლამენტები. გამოცდილი პესტიციდები ავლენენ მაღალ ბიოლოგიურ და სამეურნეო ეფექტურობას, შესაძლებელს ხდიან სანჰიგიენურად სუფთა მოსავლის მიღებას. სამეცნიერო-კვლევითი შედეგები უკვე დანერგილია კახეთისა და იმერეთის რაიონებში.

კვლევის შედეგები შესულია 2005-2009 წლის სახელმწიფო კატალოგში. აგრეთვე ნაშრომების სახითაა გამოცემული- ”პრეპარატ ტალსტარის გამოცდის შედეგები ვაზზე ჩვეულებრივი აბლაბუდიანი ტკიპას წინააღმდეგ”, “ყურძნის ჭიის წინააღმდეგ ბრძოლის ბიორაციონალური ღონისძიება”, “პრეპარატ ავანტის გამოცდის შედეგები ყურძნის ჭიის წინააღმდეგ”, “ახალი პესტიციდების ეკონომიკური შეფასება”.

აგრეთვე, დანერგილია ახალი პესტიციდების (ახალი მოქმედი ნივთიერებების) გამოყენება თანამედროვე ფერმერულ საკარმიდამო ნაკვეთებში. აღსანიშნავია, ის რომ ყოველი ჩვენს მიერ გამოცდილი

ახალი ინსექტიციდი ხასიათდება დაბალი ხარჯვის ნორმით, რაც ხელს უწყობს გარმოს უსაფრთხოებას.

**მეცნიერული სიახლე:** შერჩეულია ვაზის ძირითადი მავნებლების - ყურძნის ჭის, ტკიპების, ცრუფარიანების მიმართ თანამედროვე, მაღალეფექტური ინსექტიციდები. დადგენილია მათი ტოქსიუკრობის მაჩვენებლები, ბიოლოგიური და სამეურნეო ეფექტურობა, მათი გავლენა დასაცავ მცენარეზე, დაშლის დინამიკა მცენარეში. შემუშავებულია ახალი პესტიციდების გამოყენების ოპტიმალური რეკომენდაციები.

## თ ა ვ ი I.

# ვაზზე გავრცელებული ძირითადი მავნებლები და მათ წინააღმდეგ გამოყენებული ბრძოლის საშუალებები (ლიტერატურული მიმოხილვა)

საქართველოში გავრცელებული ვაზის მავნებლები - ცნობილია, რომ საქართველო თავისი მდებარეობითა და ბუნებრივი პირობებით საუკეთესო საფუძველს უქმნიდა და უქმნის ვაზის ორდინაციური ჯიშების გავრცელებას. თავის მხრივ, საქართველოს რთული ლანდშაფტური მრავალფეროვნება, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა და კლიმატური პირობების სიჭრელე განაპირობებს მევენახეობის ცალკეული ზონების მნიშვნელოვან განსხვავებას არა მარტო ვაზის ჯიშობრივი შემადგენლობით, არამედ მცენარეთა გეგეტაციის რითმით, გასატარებელი აგროტექნიკური ლონისძიებების ვადებით, მავნებელ-დაავადებათა განსხვავებული კომპლექსით, მათი გავრცელების თავისებურებებით, განვითარების ინტენსივობითა და მავნეობის ხარისხით. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს მევენახეობის რაიონები პირობითად დაყოფილია სამ ძირითად რეგიონად:

პირველი - იმერეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა, აფხაზეთი, რამდენადმე განსხვავებული რაჭა-ლეჩხუმის ქვეზონით;

მეორე - კახეთი ორი ძირითადი მიკრორეგიონით (შიდა და გარე კახეთი);

მესამე - ქართლი.

პირველ რეგიონში, სადაც ძირითადად დამყარებულია ტენიანი სუბტროპიკული კლიმატი, მავნე მწერებიდან გავრცელებულია ვაზის ფქვილისებრი და ბალიშა ცრუფარიანები, კვირტის ჭია ანუ ბუკა,

ვაზის ჭიჭინობელა; ვაზის ტკიპებიდან – ქლიავის აბლაბუდიანი, ბრტყელტანა და ოთხფეხა ტკიპები (კვირტის, მეგალე და ფოთლის), კავკასიის დიდი წმინდადმხვევია, ლივორნული სფინქსი (ბაღდათის, ტყიბულის, სენაკის, ზესტაფონის, ზუგდიდისა და ვანის რაიონები) და სხვ. რეგიონის ზოგიერთ ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში ვაზის საშიში მავნებელია აგრეთვე თურქული მთიბველა.

მეორე რეგიონში მავნებლებიდან დიდი ზიანის მომტანია: ყურძნის ჭია, ფილოქსერა, მარმარა დრაჭა (განსაკუთრებით გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში, აგრეთვე ალაზნის პირველ ტერასაზე გაშენებულ ვენახებში), ქლიავის (ვაზის) აბლაბუდიანი, კვირტის და მეგალე ტკიპები. უკანასკნელი 20-30 წლის განმავლობაში აღნიშნულ ზონაში შეიმჩნევა ბალიშა ცრუფარიანას ინტენსიური გავრცელება.

მესამე რეგიონში მავნებლებიდან უმთავრესად გვხვდება: ქლიავის (ვაზის) აბლაბუდიანი, კვირტის, მეგალე და სხვა ტკიპები, ყურძნის ჭია, ფილოქსერა, ვაზის ფქვილისებრი და ბალიშა ცრუფარიანები, კვირტის ჭია (მცხეთის, გარდაბნის, ქარელის, ხაშურის, თეთრი წყაროს და ბოლნისის რაიონებში). მცხეთისა და გარდაბნის რაიონებში გვხვდება ლივორნული სფინქსი. დრაჭები, მავთულა და ცრუმავთულა ჭიები. მომდრდნელი ხვატრები კი თითქმის ყველგანაა გავრცელებული. მათ განსაკუთრებით დიდი ზიანი მოაქვთ სანერგებსა და ახალშენ ვენახებში. /გ. გოდერძიშვილი, 2005. ვაზის სისტემა/.

საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხულია 150-ზე მეტი სახეობის ვაზის მავნებელი (მწერები, ტკიპები, ნემატოდები, მოლუსკები) აღსანიშნავია, რომ ის სახეობები რომლებიც უცხოეთიდან სხვადასხვა გზით მოხვდნენ ჩვენში, უფრო უარყოფითი მნიშვნელობის არიან, ვიდრე ადგილობრივი წარმოშობის მავნებლები. საინტერესოა ისიც, რომ საკარანტინო მავნებელთა შორის უმეტესობა ამერიკული წარმოშობისაა. /ნ. ალექსიძე 1953/. საქართველოში მრავალი მავნებელი

მასობრივი ხასიათისაა. მაგ. ფილოქსერა, ყურძნის ჭია, ვაზის ცრუფარიანები, ხვატრები, კვირტის ჭია, ქლიავის აბლაბუდიანი ტკიპა და სხვა. ისინი რიგ რაიონებში ვაზის ბიოცენოზის შემადგენლობაში თითქმის მუდმივად შედიან. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში მავნე ორგანიზმებისა და დაავადებების გავრცელება-განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობებია /გ. ალექსიძე, ო. ქუფარაშვილი 1992 /. მიუხედავად იმისა, რომ ამ მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ სისტემატურად იყენებენ სხვადასხვა ჯგუფის ქიმიურ და ბიოლოგიურ საშუალებებს, მოსავლის ყოველწლიური დანაკარგი 20-30%-ია, ხოლო მათი მასობრივი გავრცელების ადგილებში 50-60%-საც აღწევს.

2000-2002 წლების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საქართველოში ყურძნის მოსავლიანობამ საგრძნობლად იკლო.

### **სტატისტიკური აღრიცხვის ბიულეტენი 2002**

ცხრილი №1

| წლები                   | 2000წ.    | 2001წ.    | 2002წ.   |
|-------------------------|-----------|-----------|----------|
| საქართველო              | 210000 ბ. | 150000 ბ. | 90000 ბ. |
| კახეთი                  | 105000 ბ. | 75000 ბ.  | 25561 ბ. |
| იმერეთი                 | 52500 ბ.  | 37500 ბ.  | 36490 ბ. |
| სამეგრელო/ზ.სვანეთი     | 6930 ბ.   | 4950 ბ.   | 5087 ბ.  |
| გურია                   | 4410 ბ.   | 3150 ბ.   | 3782 ბ.  |
| რაჭა/ლეჩხუმი/ქვ.სვანეთი | 5250 ბ.   | 3750 ბ.   | 5300 ბ.  |
| შიდა ქართლი             | 10500 ბ.  | 7500 ბ.   | 6363 ბ.  |
| მცხეთა/თიანეთი          | 8400 ბ.   | 6000 ბ.   | 3453 ბ.  |
| ქვემო ქართლი            | 14700 ბ.  | 10500 ბ.  | 1990 ბ.  |
| სამცხე-ჯავახეთი         | 210 ბ.    | 150 ბ.    | 163 ბ.   |

თანამედროვე ეტაპზე ვაზის დაცვა მავნებლისაგან შესაძლებელია არა მხოლოდ ერთი ცალკეული მეთოდით, არამედ სხვადასხვა

მეთოდისა და ხერხის ურთიერთშეთანხმებით, ერთობლივი გამოყენებით (ბრძოლის ინტეგრირებული მეთოდი).

ეს მეთოდი არ გულისხმობს მავნებლის ცალკეული სახეობის მთლიანად განადგურებას. მისი მიზანია ბრძოლის თანამედროვე მეთოდების გონივრული შერწყმა, რაც ითვალისწინებს მავნებლის კომპლექსის იმ უსაფრთხო დონეზე შენარჩუნებას, რომელიც მინიმალურად საშიში იქნება ვაზისათვის.

ინტეგრირებული დაცვის სისტემაში ერთ-ერთი წამყვანი კომპონენტია ბრძოლის ქიმიური მეთოდი. იგი მოიცავს მავნებლის კერის, მავნეობის ეკონომიკური ზღვრების, ჯიშთა გამძლეობის, აგროტექნიკური ლონისძიებების, მეტეო და მიკროკლიმატური პირობების გათვალისწინებით ქიმიური საშუალებების და სისტემური და სელექციური მოქმედების მქონე პესტიციდების შეზღუდულ გამოყენებას /რ. ხუბუტია, ნ. უგულავა, ა. გიგინეიშვილი 1989/.

საქართველოში გავრცელებულ მავნებელთა შორის თავისი უარყოფითი სამეურნეო-ეკონომიკური მნიშვნელობით გამოირჩევა ენტომოფაუნის მთელი რიგი სახეობები: ყურძნის ჭია, კვირტის ჭია, ვაზის მეგალე ტკიპა, ქლიავის აბლაბუდიანი ტკიპა, ფქვილისებრი ცრუფარიანა, ბალიშა ცრუფარიანა. მოკლედ მიმოვინილავთ რამოდენიმე ძირითადი მავნებლის ბიოლოგიას, რათა შეგვექმნას წარმოდგენა დღესდღეობით ჩვენს ტერიტორიაზე გავრცელებული მავნებლების შესახებ.

ბუნებრივია, რომ მოცემულ ლიტერატურულ მიმოხილვაში ერთმანეთს შეუთავსდა უკვე მრავალგზის გამოქვეყნებული ნაშრომებისა და უახლესი მონაცემების მასალები.

## **ყურძნის ჭია - *Lobesia botrana* Denis & Schiffermuller**

**მავნებლის აღწერა** - ყურძნის ჭია შეიცავს განვითარების 4 ციკლს: 1. კვერცხი- ბრტყელია, ოდნავ ამობურცული, ბოლოში აქვს მიკროპილე. ლინზისმაგვარი ფორმისაა, ოდნავ ელიფსოიდური მოყვანილობის (0,65-0,90 მმ სიგრძე და 0,45-0,75 მმ სიგანე). მჭიდროდაა მიწებებული სუბსტრატზე ჯირკვლოვანი გამონაყოფის - სეკრეტის (Coletericas) მეშვეობით. სეკრეტს გამოყოფს იმაგო და ჰაერზე ხდება მისი გამაგრება. კვერცხი მოყვითალოა და გარდამავალ ფერებშია. კვერცხის ფერს განაპირობებს იმაგოს კვების სახესხვაობა. /Roehrich R. Boller E. 1991/. ემბრიონის განვითარებას 5 ფაზა აქვს და მთავრდება იმით, რომ მატლი ყბებისა და თავის დახმარებით ხვრეტს კვერცხს ერთ-ერთი პოლუსიდან და გარეთ გამოდის. რჩება სადაფისფერი ქორიონი, რომელიც მჭიდროდ არის მიკრული სუბსტრატთან. კვერცხები სუბსტრატზე განლაგებულია 2-3 ცალი ერთ ჯგუფში.

მატლის განვითარება ხდება ხუთ სტადიად. მატლი (ნეონატი) 0,95-1,0 მმ სიგრძისაა. თავის კაფსულა და ფარი მურა, თითქმის შავია. სხეული დია ყვითელი. შემდეგ სტადიაში სხეულის ფერი ცვალებადია სხვადასხვა ფაქტორებისაგან გამომდინარე (კვება).

მატლი გამჭვირვალეა და ამიტომ შესაძლებელია მისი საჭმლის მომნელებელი ტრაქტის დანახვა. მატლი მოძრავია. 5 სტადიის გავლის შემდეგ იგი აღწევს 10 - 15 მმ სიგრძეს (ნინფოსის სტადიის წინ). ამ მომენტისათვის იგი მონაცრისფრო ელფერს იძენს და წყვეტს კვებას. ეძებს შესაბამის ადგილს, სადაც ახდენს აბლაბუდის Fusiforme-ს ჩამოყალიბებას დასაჭუპრებლად. ეს წარმონაქმნი თეთრი ფერისაა. მატლი მასში თავსდება და განიცდის მეტამორფოზას.

ჭუპრი (ხრიზალიდა) მოთეთრო-მონაცრისფრო ან მომწვანო ფერისაა. დედალი ჭუპრი 5-9 მმ-ია, მამალი 4-7 მმ. სქესი ამ მომენტისათვის უკვე დიფერენცირებულია. სასქესო ორგანოები დედლებს მუცლის VIII სეგმენტე აქვს, მამლებს კი IX-ზე. ჭუპრის ასაკის დადგენა ხდება მისი გამჭვირვალეობისა და ფერის მიხედვით. Lalanne- Cassov-ის /1977/ მონაცემებით ჭუპრის განვითარების 10 სტადიაა ცნობილი. ( $20^{\circ}\text{C}$  და  $75,5$  ფარდობითი ტენის დროს):

1. გამჭვირვალე თვალები, ( $>150$  სთ); 2. მუქი თვალები (40 სთ); 3. შავი თვალები (24სთ); 4. დასრულებული დანამატები (24სთ); 5. ფრთები, მოვერცხლისფრო (40 სთ); 6. ანტენები (20 სთ); 7. პიგმენტაციის დასაწყისი (5 სთ); 8. პიგმენტაცია (8 სთ); 9. დასრულებული პიგმენტაცია (22 სთ); 10. შესამჩნევი ქერცლი (6სთ).

როდესაც ეს სტადიები გავლილია, იმაგო მუცლისა და დამხმარე კუნთების საშუალებით ხევს ჭუპრს და თავისუფლდება. ჭუპრის კანი მიმაგრებული რჩება სუბსტრატზე ჰორმონის (cremaster)-ის საშუალებით. იმაგოს ზომა დამოკიდებულია მატლის კვების ნაირსახეობაზე. /Torres-vila 1999/. იგი გაშლილი ფრთებით 18-20 მმ-ია, ულვაშები მოგრძო ანტენისებრი, ძაფნაირი, მონაცრისფრო-მოელვარე წინა ფრთები-დაწინწკლული მოწითალო-მოყვითალო ლაქებით, 3 დახრილი ხაზით-ერთი ფუძესთან, მეორე ფრთის ცენტრში, ხოლო აპიკალურ ზონაში მუქი ფერი გადადის ღიაში. მოვერცხლისფრო-მოთეთრო უკანა ფრთები, ბოლო მუქი ზონები გარშემორტყმულია ნაცრისფერი ჯაგრებით. /[www.nusaes.cornell.edu/phteronet/ins/lobesbotra.html](http://www.nusaes.cornell.edu/phteronet/ins/lobesbotra.html)/ pj-2/7/2006/.

სქესობრივი დიმორფიზმი არ ახასიათებთ, მხოლოდ როგორც ჭუპრის შემთხვევაში მდედრი ოდანავ მოზრდილია მამრთან შედარებით. მამრს უფრო ვიწრო მუცელი აქვს. /Luis Miguel Torres Vila /[www.seea.es/conlupa/lbotrana/lbotrana.htm](http://www.seea.es/conlupa/lbotrana/lbotrana.htm)/ 2006/.

**მავნებლის გავრცელება** - ყურძნის ჭია (Lobelia botrana) - ვაზის მავნებელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მავნებელია. იგი პირველად აღწერილია 1775 წელს შიფერ-მიულერის მიერ - *Tortix botrana*-ს სახელწოდებით. შემდეგი პერიოდის ლიტერატურაში გვხვდება სხვადასხვა სახელწოდებით: *Tortrich visitana* Iacguana, *Tinea premixtrana* Hubner, *Cochylis rreliguana* Treitchke, *Pentina vitivorana* Pakard.

ყურძნის ჭიამ, როგორც მავნებელმა ა. სილანტიევის ცნობით საფრანგეთში ყურადღება მიიპყრო 1890 წელს. ამ პერიოდში იგი აღინიშნა მხოლოდ ქ. ბორდოში, ხოლო 10 წლის შემდეგ გავრცელდა ამ ქალაქის ირგვლივ 30-40 კმ-ის რადიუსში. აღნიშნული ადგილებიდან ყურძნის ჭია სწრაფად გავრცელდა გერმანიაში, რუსეთში კი 1892 წელს დაფიქსირდა, ხოლო ყირიმსა და კახეთში 1894-1895 წლებში აღინიშნა.

1901 წელს იგი გამოჩნდა ალჟირში. მაგრამ, როგორც მასობრივმა მავნებელმა თავი იჩინა გასული საუკუნის დასაწყისში.

ყურძნის ჭია პირველად შემჩნეულია კარდანახში 1894 წელს. ამ დროიდან იგი მოედო მთელ კახეთს. მის მიერ გამოწვეული მოსავლის დანაკარგი 1/3-ს აღწევდა.

ამჟამად, ყურძნის ჭია გავრცელებულია ავსტრიაში, უნგრეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთში, ბულგარეთში, რუმინეთში, ჩრდ.აფრიკაში, ინდოეთში, იაკონიაში, პალესტინაში, ჩრდ.ამერიკაში, ყოფილი სსრკ-ს ევეოპულ ნაწილში, განსაკუთრებით ბევრია იგი ამიერკავკასიაში. ყურძნის ჭიის სამშობლოდ ითვლება ხმელთაშუაზღვის აუზი. მის მკვებავ მცენარეს ამ არეალში წარმოადგენდა - *Daphne gnidium*-ი. მისი გავრცელების ოპტიმალური საშუალო ტემპერატურა 9,5-16 °C-ია /ნ. ალექსიძე 1953/. იგივე აზრს იზიარებს პრინციც /1962/. მისივე ცნობით ყოფილი სსრკ-ს ვენახების ძირითადი ნაწილი მოთავსებულია სწორედ ისეთ

კლიმატურ ზონაში, სადც საშუალო წლიური ტემპერატურა  $9,5-16^{\circ}\text{C}$ -ია. სხვადასხვა წლების სტატისტიკური მაჩვენებლების გადახედვისას ჩანს, რომ ყურძნის ჭიას ახასიათებს პერიოდული მასობრივი გამრავლება, რასაც შეიძლება ადგილი პქონდეს 5 წელიწადში ორჯერ. შემდეგ კი გამრავლება მნიშვნელოვნად მცირდება და ხშირად მინიმუმამდე დადის.

6. ალექსიძის /1953/ ცნობით, ყურძნის ჭია კახეთის პირობებში, გარდა ვაზისა, ხშირად გვხვდება მაყვალზე.

მისი თაობათა რიცხვი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება. დასავლეთ ევროპის ჩრდილო ნაწილში პრინცის /1962/ ცნობით იგი ორ თაობას იძლევა, შუა ზოლში სამს, ხოლო ევროპის სამხრეთ ნაწილში - ოთხსაც. ზოგიერთი ავტორის ცნობით, ყურძნის ჭია დაღესტანის, კრასნოდარის გენახებში წელიწადში სამ თაობას იძლევა.

Torres-vila-ს /1999/, Ccavasse-ს /1984/, Gabel&roeshrich-ს /1990/ მონაცემებით ამ მავნებელს ჩრდილოეთ რაიონებში 2 გენერაცია აქვს, ხოლო სამხრეთ რეგიონებში 3 გენერაციას იძლევა. გენერაციების რიცხვი დამოკიდებულია ტემპერატურისა და ფოტოპერიოდიზმზე. ეს ფაქტორები მოქმედებენ აგრეთვე მატლის ქცევაზე, აგრეთვე აკონტროლებენ მატლის კვების რეჟიმს და დიაპაუზას. ყურძნის ჭია პოლიფაგი მწერია. მისი ძირითადი მკვებავი მცენარე ვაზია, /ლ. კალანდაძე, ირ. ბათიაშვილი, ნ. ალექსიძე, გ. ყანჩაველი – 1962/, /Pezet R, Pont V. 1988/. მის მასპინძელ მცენარეს აგრეთვე წარმოადგენს ველური ვაზი - *Gnidium*-ი და სურო - *Hedeca*, აგრეთვე შავი მოცხარი, ზეითუნის ხე, ბალი, ქლიავი, ბროწეული. მაგრამ ზემოთაღნიშნულ კულტურებს იგი არ აყენებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზიანს. ეს მავნებელი საშიშია მხოლოდ ვაზის კულტურისათვის.

ყურძნის ჭია შედარებით ძლიერ აზიანებს იმ ჯიშის ვაზს, რომელიც ადრე იწყებს ყვავილობას.

**მავნებლის ბიოლოგია** - Arboric, Hortic-ის /1999/ მონაცემებით ყურძნის ჭიის იმაგო მეზამორეობიდან გამოდის აპრილის ბოლოს, როდესაც ვაზი 3-4 ფოთლის ფაზაშია. ისინი შეალედებით ჩნდებიან, გამოფრენა 2-3 კვირას გრძელდება.

Rodriguez-Molina M.C.-ის /1999/ მონაცემებით თბილი გაზაფხულის დროს მავნებლის პირველი გამოფრენა შესაძლებელია მარტის ბოლოსაც. ეს პროცესი გრძელდება 4-6 კვირას.

იმაგო განსაკუთრებით აქტიურია საღამოს საათებში, ფრენა, გამოწვევა, შეწყვილება, კვება ძირითადად ამ დროს შეიმჩნევა, ასევე Horak M, Brown R.L-ის /1991/ მონაცემებით იმაგოს აქტიურობა შესამჩნევია ღრუბლიან ამინდშიც და გამთენისას. დედლები ძირითადად ნაკლებ მოძრავნი არიან, მამრები პირიქით გამოირჩევიან აქტიურობით. მდედრი შეწყვილებიდან 1-3 დღის შემდეგ იწყებს კვერცხდებას ყვავილედებზე, კოკრებზე, იშვიათად ყვავილედის ყუნწზე, ვაზის ულვაშებზე და ფოთლებზე /Vasilieva, Sekerskaya N.p 1986/. მისი პირველი თაობის მატლები (მაისის დასაწყისი) კვერცხდებიდან 7-10 დღის შემდეგ (65- 75°C საშ.ტემპერატურა) /Tozeau 1981/ იწყებენ მოძრაობას სითბოსა და მზის სხივების გავლენით, ეძებენ შესაფერ ადგილს დასაფუძნებლად და დაფუძნების შემდეგ თავდაცვის მიზნით ეხვევიან აბლაბუდას ქსელში, აზიანებენ ყვავილედებს. დაზიანების ხარისხი, ვაზის ჯიშის მიხედვით 30-50%-ს აღწევს. ყვავილედს მატლი აბლაბუდის თხელ ძაფებში ახვევს. თვითონ შიგნით ექცევა და კოკრის შიგთავსით იკვებება.

Tzanakakis M.E, Savopoulou C.-ს /1998/ მონაცემებით, პირველი თაობის მოხეტიალე მატლი გადაადგილდება ყვავილის ჩანასახში, იქ

ბრუნავს და ახდენს ყვავილის პერფორაციას, საბოლოოდ კი აღწევს ჩანასახში. ეს იწვევს ნასკვის ხმობას. ზოგ შევთხვევაში მთლიანი ყვავილედი აბლაბუდას ქსელითაა დაფარული. მატლი გადის ხუთ სტადიას და ამ ხნის განმავლობაში მთლიანად ანადგურებს ყვავილედს /Causse 1984/, შემდგომ მატლი ტოვებს ყვავილედს და გადადის ფოთოლზე. იგი იჭუპრებს და იმყოფება ამ მდგომარეობაში 12-14 დღე (170-130 °C საშ.ტემპ).

ივნისის ბოლოს - ივლისის დსაწყისში ჩნდება მეორე თაობის იმაგო. მდედრი კვერცხს დებს მწვანე მარცვალზე. ძირითადად დაწრდილულ მტევნებზე. ვითარდება მეორე გენერაციის მატლი. იგი ისევ მოხეტიალეა, მწვანე მარცვლით იკვებება, დრნის მთელ რბილობს. ერთი მატლი 10-12-მდე მარცვალს აზიანებს. ძლიერ დაზიანებული მარცვალი ძირს ცვიგა, ხოლო ნაწილობრივ დაზიანებული კი სიმწიფეს აღწევს და სიშავის გამომწვევი სოკოვანი დაავადებებით ნადგურდება. მატლი დაფუძნებულია მარცვალში, რომელსაც ნახვრეტი ეტყობა. თუ მარცვალზე რაიმემ მექანიკურად იმოქმედა, მატლი ნახვრეტიდან თავს ყოფს და ამით ცდილობს ნახვრეტის ბლოკირებას /Coscolla R.1980/.

მესამე თაობის გამოფრენა ძირითადად აგვისტოს დასაწყისში ხდება. კვერცხი იდება მწიფე მარცვალზე. მატლი აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში ვითარდება. მისი ქცევა ძირითადად იგივეა, რაც წინა თაობების მატლისა. ამ პერიოდში მაგნებელი მწიფე მარცვლის რბილობით იკვებება. აღნიშნული თაობის მატლები მოსავლის 40-50%-ს ანადგურებენ. მესამე თაობის მატლები აყენებენ მნიშვნელოვან ზარალს მწიფე მარცვალს. მატლის დაზიანების შედეგად მარცვალი წვიმიან ამინდში სკდება და ლპება, რაც იწვევს მოსავლიანობის საგრძნობ შემცირებას. /ლ.კალანდაძე, ირ.ბათიაშვილი, ნ. ალექსიძე, გ. ყანჩაველი 1962/. აღსანიშნავია, რომ ძლიერ ზიანდება კუმსმტევნიანი და თხელკანიანი მარცვლის მქონე მტევნები. ასეთ

ჯიშებს მიეკუთვნება იმერეთში - ციცქა, კრახუნა, ქვიშხური, თავკვერი, შარდენი, ოცხანური, საფერავი. შედარებით ნაკლებად ზიანდება ცოლიგური. კახეთში ძლიერ ზიანდება რქაწითელი /გ. დეკანოიძე 1968, ნ. ალექსიძე, ო. ქუფარაშვილი 1992/.

პროფესორ პრინცის მიხედვით /1962/ ვაზის ჯიშების განსხვავებული დაზიანების მიზეზი არის პეპლის ქემოტაქსისი. ზოგი ჯიში პეპელას კვერცხის დასადებად არ იზიდავს.

პროფესორ ნ. ალექსიძის დაკვირვებით /1953/ კარგად მოვლილი და საკვებით უზრუნველყოფილი ვაზი ღონიერია, სწრაფად იზრდება, მეტ კოკორს იკეთებს და ადრე ამთავრებს ყვავილობას, რის გამოც საგრძნობლად არ ზიანდება.

Gabel B. Roehrich R.-ის /1995/ მონაცემებით მატლი სექტემბრის ბოლოს ეძებს დასაზამთრებელ ადგილს ამსკდარი ქერქის ქვეშ. აქ იგი იჭუპრებს და იმყოფება დიაპაუზაში მომავალ გაზაფხულამდე. ადრე გაზაფხულზე კი დასაბამს აძლევს ახალ თაობას.

L.B. Den-ის /2003/ მონაცემებით, ხელშემწყობი პირობების (ტენი, ტემპერატურა) დროს შესაძლოა ჭუპრი არ გადავიდეს დიაპაუზაში და მოგვცეს მეოთხე არასრული თაობა. ასეთი შემთხვევა 1989-1990 წლებში დარეგისტრირდა ესპანეთში - Ordelesa. მსგავსი მომენტები ხშირია ხმელთაშუაზღვის რეგიონებშიც.

მავნებელი საქართველოს პირობებში სამ გენერაციას იძლევა. პეპელა სქესობრივად მოუმწიფებელია. 2-5 დღეში იწყებს კვებას. კვების რაოდენობა დამოკიდებულია საკვებ ნივთიერებათა მარაგზე, რომელიც გროვდება მატლის ორგანიზმში და შემდეგ ჭუპრიდან პეპელას გადაეცემა. ერთი დედალი 100-მდე კვერცხს დებს. კვერცხის სადებად პეპელა დაბურულ ადგილს ეტანება. ხელშემწყობია მაღალი ტენი. ტენის დეფიციტის დროს მატლი დიაპაუზაში გადადის.

თითოეული გენერაციის მატლების განვითარება რამდენადმე ემთხვევა ვაზის გარკვეულ ფენოფაზებს. პირველი გენერაციის მატლები იჩეკება ყვავილობის წინ, მეორე - შეთვალებისას, მესამენაწილი ვერ ამთავრებს კვებას და დაკრეფილ ყურძენთან ერთად იჭყლიტება.

პირველი თაობის მატლი ზრდას კოკრებში ამთავრებენ და იქვე იჭუპრებს, მეორე - დაზიანებულ მარცვალში იჭუპრებს, ხოლო მესამე იკეთებს თხელ აბლაბულის პარკს და შტამბისა და ამსკდარი ქერქის ქვეშ იჭუპრებს. /გ. დეკანოიძე 1962, ნ. ალექსიძე, ო. ქუფარაშვილი 1992/.

ბ. აბდულაგატოვის /1976/ ცნობით ერთი პეპელა დებს 80-90 კვერცხს, ერთ მატლს შეუძლია დააზიანოს 56 კოკორი. ზოგჯერ ყვავილედს ყუნწში აზიანებს, რის გამოც ყვავილედი ხმება და ცვივა. მისივე ცნობით პირველი თაობის პეპლები ფრენას მაისის მეორე დეკადაში იწყებენ, ხოლო ივნისის პირველ დეკადაში იჩეკებიან მატლები. მეორე თაობის პეპლები გამოფრენას იწყებენ ივნისის ბოლოს, მატლები გამოდიან ივლისისის პირველ ნახევარში. მესამე თაობის მატლები კი აგვისტოს მესამე დეკადაში.

ს. დავიდოვის ცნობით /1983/ დაღესტანში ერთი პეპელა დებს 29-დან 86 კვერცხამდე. ემბრიონალურ განვითარებას სჭირდება 8-10 დღე-თითოეულ თაობას კი 32-36 დღე.

გ. ჯავახიშვილის /1984/ დაკვირვებით პირველი და მეორე თაობის მატლების კვება გრძელდება 18-36 დღე. მესამისა - 29, დაჭუპრების ფაზა პირველ-მეორე თაობაში 5-7 დღეს გრძელდება. მაგნებელი ჭუპრის ფაზაში ზამთრობს ვაზის შტამბსა და ამსკდარი ქერქის ქვეშ. პეპლის გამოფრენა დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე.

ვ. ჩოლოეაშვილის ცნობით /1984/ ცივ რეგიონებში პეპლის გამოფრენა გვიან იწყება. თბილ გაზაფხულზე კი ადრე გამოდიან. დაბალი ტემპერატურის მიმართ მოზამთრე ჭუპრი მგძნობიარეა და  $-12^{\circ}\text{C}$ -ზე  $35\%-48\%$  ტენის დროს მისი  $70\%-87\%$  იღუპება, ხოლო  $-21^{\circ}\text{C}$  -ზე სიკვდილიანობა  $100\%-ს$  აღწევს.

ჭუპრიდან პეპლების გამოფრენის პერიოდის დიდი ხანგრძლივობის მიზეზად მკვლევარები - ნ. ალექსიძე /1948,1950/, ნ. ბოიკო /1991/, პრინცი /1962/ ასახელებენ შემოდგომაზე მატლების სხვადასხვა დროს დაჭუპრებას და გაზაფხულზე ამინდის ცვალებადობას, აგრეთვე მზის სხივის მიმართ ჭუპრის განლაგებას. მზით განათებულ ადგილას ჭუპრიდან გამოფრენა უფრო მაღე ხდება, ვიდრე დაწრდილულ ადგილებში. ასევე გვიან გამოფრინდებიან პეპლები ნიადაგთან ახლოს მყოფი ჭუპრებიდან, რადგან მათზე სინესტე ახდენს გავლენას.

გ. ალექსიძისა და ე. აბაშიძის /1984/ ცნობით პეპლები ფრენენ გამოენისას ან სადამოს, როდესაც ჰაერის ტემპერატურა  $15^{\circ}\text{C}$  - ია. პეპლების გამოფრენა ხდება მატლის დაჭუპრებიდან  $6-7$  დღის შემდეგ. მეტეოროლოგიური და ნიადაგური პირობები დიდ გავლენას ახდენს ყურძნის ჭიის მასობრივ გამრავლებაზე. ავტორის დაკვირვებით ჰაერის ტემპერატურის  $24,1^{\circ}\text{C}$  -ზე,  $60\%$  ტენის დროს მატლები  $12$  დღეში ამთავრებენ განვითარებას, ხოლო  $19,5^{\circ}\text{C}$ -ზე  $71\%$  ტენის დროს ეს პროცესი  $1$  თვემდე ჭიანურდება. ავტორი მავნებლის განვითარების ოპტიმუმად მიიჩნევს  $25-26^{\circ}\text{C}$  -ს  $70\%$  ტენს.

ხოლო Butt-ის /1991/ მონაცემებით მდედრის პროდუქტიულობა ოპტიმუმს აღწევს  $22^{\circ}\text{C}$ -ზე, მაღალი ტემპერატურა უარყოფითად მოქმედებს მავნებელზე, კერძოდ მდედრები უფრო მომცრო ზომისანი არიან და მათი ნაყოფიერება დაბალია.

Torres-vila-ს /1996/ მონაცემებით მაღალი ტემპერატურის დროს ეცემა იმაგოს აქტიობაც. ცხელი და მშრალი გაზაფხულის დროს ხდება კვერცხისა და ჭუპრის დაღუპვა, ხოლო ჭარბი ტენისა და ცივი გაზაფხულის დროს მწერი თითქმის არ მრავლდება.

ასევე დიდი გავლენა აქვს მავნებლის განვითარებაზე ფარდობით ტენიანობას /Caffarelli V. Vita G.. 1998/. განსაკუთრებით მგრძნობიარეა ტენის მიმართ ჭუპრი, რადგან იგი უმოძრაოა. აგრეთვე იმაგოს სიცოცხლის ხანგრძლივობა ეცემა ტენის ნაკლებობის დროს.

აგრეთვე არსებობს ასტრონომიული ფაქტორი- ფოტოპერიოდიზმი. მისი გავლენით მიმდინარეობს დიაპაუზა, თუ ხდება ტემპერატურისა და ფოტოპერიოდიზმის შეუსაბამობა, დიდია მავნებლის სიკვდილიანობის პროცენტი. აგრეთვე ჭუპრის სტადიაში ტენის დაკარგვამ დიაპაუზის დროს შეიძლება დიდი როლი ითამაშოს მწერის პოტენციალზე.

ფოტოპერიოდიზმის გავლენა აისახება იმაგოს აქტიურობაზე და ნაყოფიერებაზე / Tzanakakis & Savolopoulou-Soultani 1998/.

სინათლის ინტენსივობა და ტალღის სიგრძე პირდაპირ კავშირშია მწერის ნაყოფიერებასთან.

ქარი და წვიმა არახელსაყრელ პირობებად ითვლება. ისინი ხელს უშლიან იმაგოს ფრენას და აქტიობას, აგრეთვე აფერხებენ კვერცხდების პროცეს და მატლების ჩეკვას, განსაკუთრებით წვიმა უარყოფითად მოქმედებს დედალ იმაგოზე, რადგან მას უსველდება სასქესო ორგანოები და ხელი ეშლება კოპულაციაში.

ნამის (კონდენსატის) არსებობა ფოთოლზე აგრეთვე მნიშვნელოვანი ფაქტორია. რიგ შემთხვევაში იგი წარმოადგენს იმაგოსათვის ერთადერთ ტენის მარაგს. ცნობილია, რომ თუ იმაგოს ტენი აკლია, მცირდება მისი პროდუქტიულობა. / Torres-vila 1996 /.

გ. ჯავახიშვილს /1984/ თავის ნაშრომში გაანგარიშებული აქვს ოპტიმალური ტემპერატურების ჯამი მავნებლის ცალკეული თაობისათვის: ეფექტური ტემპერატურათა ჯამი- I - 250 °C, II - 700 °C, III - 1200 °C.

მასალების დამუშავების შედეგად გამოირკვა, რომ გამოზამთრებული ჭუპრებიდან პეპლების გამოფრენა კახეთის რეგიონში იწყება მარტის მესამე დეკადის ბოლოს და აპრილის პირველ დეკადაში 13-14 °C-ზე მაღლა.

მდედრი კოპულაციის შემდეგ კვერცხს ათავსებს ფოთოლზე. ეს ხდება იმაგოს გამოფრენიდან 8 - 10 დღის შემდეგ. პეპლის პროდუქტიულობა ტემპერატურის პირდაპირპოპორციულია. ტემპერატურათა ჯამია 105 °C, ფარდობითი ტენიანობა 63%. მატლი იჩეკება 8-12 დღეში (18,9 °C, 68%).

ჩვენს მშრალ და თბილ შემოდგომის პირობებში, როდესაც როველი ოქტომბრის შუა რიცხვებამდე გრძელდება, ყურძნის ჭია იძლევა ოთხ თაობას. სწორედ მეოთხე თაობას შეუძლია მოასწროს ყურძნის მოსავლის 10%-ის განადგურება.

Gabel B.-ის /1995/ მეტად საინტერესო მონაცემების მიხდვით ცნობილი ხდება რომ იგი სწავლობდა I თაობის მიერ მოსავლის შემცირების ფაქტორებს. იგი ითვლიდა ჩამოუყალიბებელი მარცვლების რაოდენობას მტევნებზე და ამის მიხედვით აკეთებდა დასკვნას. ცდების უდიდესმა ნაწილმა აჩვენა, რომ ვაზს გააჩნია კომპენსაციის უნარი. იგი უძლებს 1-2 მატლის შეტევას და 30-მდე ყვავილის გაუნაყოფიერებას. ეს მოსავალს არ ამჩნევს საგრძნობ კვალს.

Roehrich R. & Boller E.-ს /1998/ მონაცემებით ესპანეთის თბილ კლიმატურ პირობებში ვაზს შეუძლია 50%-მდე დაღუპული ყვავილის

კომპენსაცია. აქედან აკეთებენ დასკვნას, რომ I თაობის მატლები საგრძნობ ზიანს ვერ აყენებენ ვაზს. იგი ახდენს თვითადდგენას.

Ferwaud M.-ის /1998/ მონაცემებით ზაფხულის თაობის მავნეობა ძირითადად ფასდება მოსავლის არა წონის არამედ ხარისხის კლების მიხედვით. დაზიანებულ მარცვალში ფეხს იკიდებს მრავალი სოკოვანი ორგანიზმი - *Botritis, Aspergillus, Rizopus, Cladosporium, Penicillium*. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია თავისი მავნეობით ნაცრისფერი სიდამპლე - ბოტრიტისი. ამ სოკოს გავლენით ყურძენი კარგავს სასაქონლე ხარისხს და ეცემა მისი თვითდირებულება. გარდა ამისა ასეთი ყურძნისაგან დაწურულ ღვინოში მაღალია სოკოვანი ორგანიზმების არსებობა, რაც აფუჭებს ღვინის არომატს და საგემოვნო თვისებებს. ეს კი იწვევს ტექნიკურ პრობლემებს. აგრეთვე ღვინო იცვლის ფერს და იმდვრევა.

Ferwaud M. & Mochites V.- ს /1989/ მონაცემებით სოკოს კონიდიების გადატანა ხდება მავნებლის მოხეტიალე მატლების საშუალებით, რაც ხელს უწყობს აღნიშნული სოკოს სწრაფ გავრცელებას. სოკოს კონიდიები ხვდება მატლის საკვებ-მომნელებელ ტრაქტში, სადაც ისინი არ განიცდიან დეზაქტივიზაციას. მატლი მოძრაობისას გამოყოფს ექსკრემენტებს და ამ დროს ახდენს სპორების მიმოფანტვას, რითაც ხელს უწყობს ინფექციის გავრცელებას.

მავნებლის მეორე თაობის განვითარებისას ყურძენი ისრიმშია და ნაკლებმგრძნობიარეა სოკოვანი დაავადებების მიმართ. Eisis-ის /1972/ მონაცემებით, იგი შეიცავს სოკოს მაინციბირებელ ენზიმებს /Cianidin, delfinidin), /Hill 1981/ და ორგანულ მჟავებს. ეს მომენტი ანტიფუნგიციდური თვისებების გაძლიერებას იწვევს. /Pezet & Pont 1996/.

მესამე თაობის მატლი გვხვდება მწიფე მარცვალში. ამ დროს მარცვალს ის დაცვითი ფუნქციები აღარ აქვს, რაც ისრიმობის დროს, ამ დროს მუავიანობა უცემა და იმატებს შაქრიანობა, რაც ხელს უწყობს სოკოს გავრცელებას. მატლი ხეოქავს მწიფე მარცვალს და მასში იოლად იჭრება პათოგენი სოკო. ტკბილი წვენი იზიდავს მათ. საბოლოოდ, როცა დაზიანებული მარცვალი შრება და მატლი აღწევს საჭირო ზომას, იგი იწყებს დასაზამთრებელი ადგილის ძებნას. ამ დროს იგი იფარება დამცავი აბლაბულით და იჭუპრებს. /Caffarelli V. Vita G. 1998/.

პ. ლიტვინოვისა და ს. გლუშკოვას /Литвинов П. Глушкова С. и соавторы 1990-1991/ აზრით განსაკუთრებული ზიანი პირველი და მეორე გენერაციის მატლებს მოაქვთ. ერთი მატლი 50-მდე კოკორს სპობს და 5-მდე ნასკვს აზიანებს. მეორე თაობა აზიანებს 4-7 მარცვალს, მესამე კი 7 მარცვალს.

გ. ალექსიძის, ო. ქუფარაშვილის, ჯ. ჩხეიძის და მ. მათიაშვილის /1984/ მიერ ჩატარებული მრავალწლიანი დაკვირვებით დადგენილია ამ მავნებლის ბიო-ეკოლოგიის ძირითადი მომენტები და ფენოპროგნოზირების საკითხები კახეთისა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი რეგიონისათვის.

აღნიშნული ავტორების მონაცემებით 70-იან წლებში გურჯაანის რაიონში ყურძნის ჭიის პირველი თაობის მატლებით გამოწვეული დაზიანება შეადგენდა 3%-ს. მეორე თაობით - 4,9%-ს, ხოლო მესამე თაობით - 6,2%-ს.

დადგენილია, რომ გაზაფხულზე პეპლების გამოფრენა ხდება ერთსა და იმავე დროს - აპრილის მესამე დეკადაში, როდესაც ჰაერის საშუალო ტემპერატურა აღწევს  $14^{\circ}\text{C}$  -ს. პირველი თაობის მატლები ერთდროულად ჩნდება. მეორე თაობის მატლები დედოფლისწყაროში

უფრო გვიან გამოდიან, ვიდრე გურჯაანში. მესამე თაობის გამოსვლაც ამ კანონზომიერებით ხდება.

მათივე მონაცემებით მოზამთრე პეპლების გამოფრენა დედოფლის წყაროს რაიონში ემთხვევა კვირტების დაბერვის და ყვავილობის ფაზას, მეორე თაობა - მწვანე მტევნის ფაზას, ხოლო მესამე - გურჯაანსა და დედოფლის წყაროში - მტევნის სიმწიფეს.

ჩატარებული სამუშაოების საფუზველზე შეიძლება ჩაითვალოს, რომ ყურძნის ჭიის განვითარება განისაზღვრება გარკვეული ეფექტური ტემპერატურათა ჯამით. არსებული მონაცემებით 1 თაობა-  $17,4-19,8^{\circ}\text{C}$  და  $57-73\%$  ტენი - 36-42 დღე, 2 თაობა -  $16,1-23^{\circ}\text{C}$ ,  $59-75\%$  ტენი - 35-45 დღე, 3 თაობა -  $18,3-20,6^{\circ}\text{C}$ ,  $65-75\%$  ტენი - 35-40 დღე.

ბიოტური ფაქტორებიდან აღსანიშნავია საკვები არისა და ბუნებრივი მტრების არსებობა (პარაზიტები და ენტომოფაგები).

**ბუნებრივი მტრები** - ბუნებრივ მტრებად ითვლება მწერები, ლამურები, ფრინველები, აგრეთვე ობობასნაირების წარმომადგენლები.

Coscolla-ას /2001/ მონაცემებით არსებობს ობობას 10 სახეობა, რომელიც ემტერება მოცემულ მავნებელს.

ბუნებრივი აღსანიშნავია Neuroptera (chrysopa), Coleoptera (Coccinella, denops opilo, Malachius), Hemiptera (Zicrona, Reduvis), Hymenoptera (Formicidae), Dermaptera (Forticula), Mecoptera (Panorpa).

ენტომოფაგებს ეკუთვნიან ვირუსები, სოკოები და ერთუჯრედიანი ბაქტერიები. ისინი იწვევენ მწერის დაავადებას /Oinar 1991/. 1.ვირუსები- Granulosis & Poliedrosis /Deseo 1979/, Martigoni & Iwal 1986/, მაგრამ მათი მოქმედება შეზღუდულია. 2. ბაქტერია- Bacillus thuringiensis Berliner, ამ ორგანიზმს დღესდღეობით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიოლოგიურ ბრძოლის დონისძიებებში. 3. სოკო - Farinosa var verticilloides (Vuil) Fron,

ეს სოკო დიდ სიკვდილიანობას იწვევს მოზამთრე ჭუპრებში. 4. პროტოზოა - *Microsporidio Pleistophora Legeri* Pailoot, იგი აავადებს მწერს და აღმოჩენილია მის კუჭნაწლავის ტრაქტში, ცხიმოვან სხეულში და მალპილის მილაკებში /Zimmermann & Weiser 1991/.

**ბრძოლის დონისძიებები** - XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ყურძნის ჭიის წინააღმდეგ დაიწყეს ტყვიისა და ნიკოტინის შემცველი პრეპარატების გამოყენება, შემდგომ მცენარე *Derris* (Papilionaceae)-ს ექსტრაქტის გამოყენება, მაგრამ ამ მომწამლავი ნივთიერებების ტოქსიკურობა თბილსისხლიანი ორგანიზმების მიმართ მეტად მაღალი იყო, ამიტომ მათი გამოყენება მხოლოდ მავნებლის I თაობის წინააღმდეგ იყო შესაძლებელი / Gonzalez, Andres 1933, Garsia, Lopez 1929/.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც განვითარდა ქიმიური წრმოება, გაჩნდა ორგანული სინთეზით მიღებული პირველი ინსექტიციდები. 1933 წელს პირველად მიღებული იქნა დდტ, ერთი წლის შემდეგ გერმანიაში შეიმუშავეს პირველი ორგანოფორული ინსექტიციდები, ხოლო შვეიცარიაში კარბამატული ჯგუფის პრეპარატები. მაგრამ 6 - 7 წლის შემდეგ უკვე შესამჩნევი გახდა გამოყენებული პესტიციდების ნარჩენების გარემოში დაგროვების ფაქტები, აგრეთვე განადგურდა ენტომოფაგები და სასარგებლო მწერები. მეცნიერები დაფიქრდნენ გარემოს დაცვის საკითხებზე და დაიწყეს ახალი, ნაკლებ ტოქსიკური მოქმედი ნივთიერებების ძიება. ასევე შეიმუშავეს მავნებელთან ბრძოლის ინტეგრირებული მეთოდები. 1962 წელს დაიწყეს მუშაობა ბიოპრეპარატების შექმნაზე, რომლებიც იწვევდნენ მავნებლის ქიმინის ინჰიბირებას. მაგრამ მიუხედავად ამ ძიებებისა, ქიმიური მეთოდი მაინც ყველაზე კვეპტურად ითვლება დღესდღეობითაც.

60-ან წლებში ყურძნის ჭიის წნააღმდეგ ჩვენს ქვეყანაში გამოიყენებოდა დდტ. კერძოდ პირველ წამლობას ატარებდნენ ყვავილობამდე, მეორეს - ყვავილობის შემდეგ და მესამეს ყურძნის მომწიფების დასაწყისში. ასევე წარმატებით გამოიყენებოდა კალციუმის არსენიტი, პარიზის მწვანა, მერიტოლი. მესამე წამლობა ხდებოდა მხოლოდ ანაბაზინისა და ნიკოტინის პრეპარატებით. /გ. დეკანოიძე 1968/. მოგვიანებით დაიწყეს პირეტროიდული და ფოსფორორგანული პრეპარატების ფართო მოხმარეობა. ფოზალონი, ციდიალი, მეკარბი, კარბოფოსი, ფოსფამიდი, ქლოროფოსი /ნ. ალექსიძე 1948, 1953, 6. მელნიკოვი 1987/, შემდგომ წლებში გამოიცადა ტრიქლორმეტაფოსი, კარბამატებიდან - სევინი და მეზურელი /გ. დოლიძე 1981/, აგრეთვე დენდრობაცილინი, ბიტოქსიბაცილინი ან ლეპიდოციდი.

აღნიშნული მავნებლის მიმართ აგრეთვე იყენებდნენ ფოსფორორგანულ პრეპარატებს: ვოლატონი 50% ეპ; დურსბანი 40,8% ეპ; სინთეზური პირეტროიდებიდან: ამბუში 25% ეპ; ციმბუში 255 ეპ; როვიკურტი 40% ეპ. დეცისი 2,5% ეპ; სუმიციდინი 20% ეპ; სუმი-ალფა 25% ეპ; დონიტოლი 105 ეპ; კარატე 5% ეპ; ფასტაკი 10% ეპ; რიპკორდი 20% ეპ.

მოგვიანებით, 90-იან წლებში ფართო გამოყენება პპოვა შემდეგმა პრეპარატებმა: აქტელიკი, მეტაფოსი, ამბუში, ციმბუში, სელიკონი, ქლოროფოსი. /ციმბუში, ამბუში - პირეტროიდები, სელიკონი, გარდონა, აქტელიკი, ეტაფოსი, ქლოროფოსი - ფოსფორორგანული.), ქლოფო-50 /ლ. ტუმასიანი, მ. ქოვქოსიანი, გ. გრიგორიან 1980, გ. გეგენავა 1983, რ. ყიფიანი, მ. კვაჭანტირაძე 1944, ე. ორჯონიკიძე, მ. მათიაშვილი 2001, ჯ. ჩხეიძე, ე. ორჯონიკიძე, გ. გეგენავა 2000/. აგრეთვე გამოიყენებოდა ბიოლოგიური პრეპარატები - დენდრობაცილინი, ბიტოქსიბაცილინი.

/გ. ალექსიძე 1992, გ. ალექსიძე, ო. ქუფარაშვილი 1992, ც.  
ჩხეიძინაშვილი, ი. მალანია, მ. კახაძე 1988/.

დღეს არსებობს რამდენიმე მოქმედი ნივთიერება, რომელიც  
ფართოდ გამოიყენება ამ მავნებლის წინააღმდეგ. ისინი სხვადასხვა  
ქიმიურ ოჯახებს ეკუთვნიან: აცეტატები, ბიფეტრინი, ქლორპირიფოსი,  
დიაზინონი, ფენიტრითონი, ფოზალონი, მალათიონი, ამას ემატება  
ბიოპრეპარატები ტურინგიენზისის საფუძველზე დამზადებული,  
ფენოქსიკარბი, ტრიფლუბენზურონი /Coscolla 1997/. ამ პრეპარატების  
გამოყენება ხდება ნორმატივების დაცვით, რათა მივიღოთ  
ნარჩენებისაგან სუფთა პროდუქტი. აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანია  
ბიოტექნიკური და ინტეგრირებული ბრძოლის ღონისძიებების გატარება  
აღნიშნული მავნებლის მიმართ. FAO-ს დირექტივებით  
გათვალისწინებულია ყურძნის ჭიის გავრცელების ზონის კონტროლი,  
მავნებლის იმ არასაშიშ რაოდენობამდე შენარჩუნება, როდესაც იგი არ  
იწვევს მატერიალურ ზარალს. უფრო ფართეა FLINI-ს /BOSH 1981/-ის  
განსაზღვრება. იგი გულისხმობს კონტროლის სტრატეგიას ბუნებრივი  
ფაქტორების (მტრები, მეტეოროლოგია) გათვალისწინებით.  
პესტიციდების გამოყენება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს  
აუცილებელია. ორივე დებულებიდან გამომდინარე ბრძოლის  
სტრატეგიის დაგეგმვისას უნდა მოხდეს მავნეობის ეკონომიკური  
ზღვრების დადგენა და მავნებლის გავრცელების წინასწარი  
პროგნოზირება, რათა განისაზღვროს რისკის პერიოდები და ჩარევის  
აუცილებლობის მომენტები.

უკანასკნელ პერიოდში, სინთეზური პირეტროიდების პრაქტიკაში  
შემოსვლასთან დაკავშირებით, მათი გამოცდა დაიწყო ყურძნის ჭიის  
მიმართაც. მაღალი ტოქსიკურობის ეფექტია მიღებული დეცისის 0,5  
ლ/ჰა, ციმბუშის 0,3 ლ/ჰა, რიპკორდის 0,2 ლ/ჰა გამოყენებით /6.  
მელნიკოვი 1987, ლ. ტუმასიანი 1980/.

ცნობილია, რომ ერთი და იმავე ქიმიური პრეპარატის სისტემატიური გამოყენებით მავნებელი და კონკრეტულად ყურძნის ჭია გარკვეული პერიოდის შემდეგ გამოიმუშავებს მათდამი გამძლეობას, რეზისტენტობას /6. ბერიმი 1972/. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ახალი პრეპარატების ძიება, მათი აპრობაცია და პრაქტიკაში დანერგვა.

ჩვენს მიერ სამი წლის მანძილზე ხდებოდა ახალი პესტიციდების გამოცდა ყურძნის ჭიის წინააღმდეგ საქართველოს ორ განსხვავებულ ზონაში – კახეთში (დედოფლისწყაროს რაიონი) და იმერეთში (ბაღდათის რაიონი) - (ავანტი, დეცის პროფი, კონფიდორ მაქსი, მარშალი, ტალსტარი, ლიროსექტი, ლანატი).

### **ვაზის მწუწნი მავნებლები**

მავნებელთა ამ დიდ ჯგუფს მიეკუთვნებიან ქლიავის (ვაზის) აბლაბუდიანი ტკლიპა, მეგალე ტკიპა, ბალიშა და ფქვილისებრი ცრუფარიანები.

**ქლიავის (ვაზის) აბლაბუდიანი ტკიპა - Schizotetranychus pruni Oud.**

მავნებლის გავრცელება - ეს მავნებელი გავრცელებულია თითქმის ყველა ქვეყანაში. საქართველოში გავრცელების ზონად ითვლება კარდენახი -თელავი.

**მავნებლის აღწერა** - ტკიპა ძალზედ პატარაა. დედლის სიგრძე 0,4-0,5 მმ-ია, მამლის სხეული ჯაგრიანია და 0,025 მმ-ს არ აღემატება. მოზამთრეობისას იგი მოწითალო - აგურის ფერია, ზაფხულში კი ბაცი მოყვითალო ფერს იღებს, მომწვანო ელფერით. გვერდებზე მუდამ აქვს მოშავო წერტილები, პირველი კანის გამოცვლამდე აქვს 3 წყვილი

ფეხი, შემდეგ ემატება ერთი წყვილი, სხეულზე და ფეხებზე შეინიშნება ჯაგრები. მათი პირის ორგანოები მწუწნი ტიპისაა.

ახლადდადებული პვერცხი მრგვალია, გამჭირვალე, 118,8 მიკრონის ზომის. გამოჩეკის წინ მუქდება.

**ბიოლოგია** - ზამთრობენ ზრდასრული ტკიპები. ამ დროს ისინი მოთავსებული არიან ვაზის შტამბსა და ჭიგოების ამსკდარ ქერქს ქვეშ. უმეტესად შტამბის ზედა ნაწილში. გაზაფხულზე რაც უფრო ადრე დათბება, მით უფრო ადრე დაიწყებენ ისინი მოზამთრეობიდან გამოსვლას. მათი გააქტიურება ემთხვევა ვაზის კვირტების გაშლას. ეს ხდება 9 - 14 C<sup>0</sup>-ზე. ტკიპები იწყებენ მოძრაობას, შტამბიდან გადადიან ახალგამოსულ ფოთლებზე.

ჩვენს შემთხვევაში ტკიპები მოზამთრეობიდან 15 აპრილს გამოვიდნენ, მაგრამ შემდეგ მოხდა ტემპერატურის ვარდნა და ისინი ისევ შტამბის ქერქის ქვეშ შეიმალებ. ერთი კვირის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა ტემპერატურა, რის შედეგადაც ვაზზე შეიმჩნეოდა მოზამთრე ფორმების გააქტიურება. დაახლოებით 25 აპრილისათვის კვირტები დაიბერა და ტკიპები გადავიდნენ ახალგაშლილ ფოთლებზე. მასობრივი გადასვლა დაიწყო დაახლოებით 28 აპრილიდან და დამთავრდა 6 მაისს.

ფოთოლზე გადასვლისთანავე მათ დაიწყეს კვება ჯერ ფოთლის ზედა მხარეზე, შემდეგ კი ქვედა მხარეზე გადაადგილდნენ. სწორედ აქ ხდება შემდგომ კვერცხდება. გამოჩეკიდან 5 - 8 დღის შემდეგ მატლები გადადიან მოსვენების მდგომარეობაში 24-სთ-ის განმავლობაში. შემდეგ იცვლიან კანს და გადადიან ე.წ პირველი ნიმფის სტადიაში. ზრდის დასრულებამდე ტკიპა რამდენჯერმე იცვლის კანს, დედალი 3-ჯერ, მამალი კი 2 ჯერ. ტკიპას აქვს განვითარების რამოდენიმე სტადია: 1) დედალი მატლი, პირველი დასვენება, პირველი ნიმფა, მეორე

დასვენება, მეორე ნიმფა, მესამე დასვენება, პროფაზა. 2) მამალი მატლი, პირველი დასვენება, პირველი ნიმფა, მეორე დასვენება, პროფაზა.

ტკიპას სრულ განვითარებას კვერცხიდან პროფაზამდე ამინდზე დამიკიდებულებით 12-25 დღე სჭირდება.

ქლიავის (ვაზის) აბლაბუდიანი ტკიპას შესახებ მონაცემები გვხვდება შემდეგი ავტორების ნაშრომებში: ა. ანდრეევა 1971, ბ. ივანენკო 1965, გ. პეტროსიანი 1958, გ. ალექსიძე 1961, მ. პროკოფიევი 1986, ბ. ივანენკო 1965, გ. დეკანოძე 1976/.

ისინი აღნიშნავენ, რომ ამ მავნებლის მიერ გამოწვეული დაზიანება უმეტესად 30-60%-ს აღწევს. მავნებლის გავრცელება და დაზიანების სარისხი განპირობებულია მეტწილად გეოგრაფიული ზონალობის თავისებურებებით.

ბ. ივანენკოს /1965/ ცნობით ქლიავის (ვაზის) აბლაბუდიანი ტკიპა წელიწადში 12 თაობას იძლევა და თითოეული თაობის განვითარებას სჭირდება 8 - 20 დღე. ჩვენს პირობებში ეს მავნებელი 8 - 10 თაობას იძლევა. მისი ნაყოფიერება დამოკიდებულია ჰაერის ტემპერატურაზე და ფარდობით ტენიანობაზე.

აღსანიშნავია, რომ განვითარების ტემპი გაზაფხულიდან ზაფხულის პერიოდში იმატებს და აგვისტოს ბოლოდან იწყება დეპრესიის პერიოდი.

ამავე ავტორის მონაცემებით განვითარებისათვის ოპტიმუმს წარმოადგენს  $30^{\circ}\text{C}$  და 40-45% ფარდობითი ტენიანობა.

გ. დოლიძის მონაცემებით /1975/ ტკიპას განვითარების ოპტიმუმად ითვლება  $20-22^{\circ}\text{C}$  და 60% ტენიანობა.

დაზიანება და სამეურნეო მნიშვნელობა - გ. დოლიძის ცნობით ვაზის ტკიპას მიერ გამოწვეული დაზიანება ყურძნის წვენში იწვევს

ასკორბინის მჟავას დაქვეითებას და შაქრიანობის შემცირებას 8%-ზღვა, ხოლო მჟავიანობა იზრდება 2%-ით.

აღნიშნული მავნებელი ინტენსიურად აზიანებს რქაწითელსა და საფერავს. ვაზი ძლიერ ზიანდება ვეგეტაციის დასაწყისში და უფრო ხშირად ეს დაზიანება მაქსიმუმს აღწევს სუსხიან და ნალექიან გაზაფხულზე.

ამ მავნებლის მიერ ზიანდება ვაზის ფოთლები და ყლორტები. ყლორტები ზიანდება გაზაფხულზე, სანამ ნორჩია. ტკიპა ჩხვლებს ყლორტს და წოვს წვენს. ყლორტი მუქდება და ჭკნება. ფოთლის დაზიანებისას, ფოთოლი დეფორმირდება და პატარა მოშავო წერტილებით იფარება. შემდეგ ეს ლაქები თანდათან იზრდება და ნეკროზდება. ტკიპა კი ახალ, საღ ფოთოლზე გადადის. ვაზი ჩამოცვენელი ფოთლების სანაცვლოდ მძინარე კვირტების ხარჯზე ახალ ფოთლებს ივითარებს, მაგრამ ტკიპა მათაც აზიანებს. ეს მომენტი უარყოფითად მოქმედებს საბოლოო მოსავალზე.

საბოლოო შემაჯამებელი მონაცემები შემდეგია: ტკიპა წელიწადში იძლევა 8 - 9 თაობას, მისი განვითარების სისწრაფე გაზაფხულიდან მოყოლებული თანდათან იზრდება და და პიგს აღწევს დაახლოებით აგვისტოს შუა რიცხვებში, შემდეგ მიღის კლება.

თუ ტკიპა შესაფერის ტემპერატურულ პირობებში არ იმყოფება, წყვეტს კვერცხდებას და აღარ ვითარდება. ტკიპა ვრცელდება ქარის საშუალებით, აგრეთვე ვენახის მორწყვის შედეგად, ასევე ადამიანის მიერ სხვადასხვა სამუშაოების ჩატარებისას. გარდა ამისა, ტკიპა თვითონაც ძალზედ მოძრავი ობიექტია და ადვილად გადაადგილდება.

**ბუნებრივი მტრები – მტაცებელი ტკიპები - Phytoseius plumifera Kan. Typlodromus abberans Oud., მტაცებელი ბაღლინჯოები- Malacocoris chlorizans Panz., Orius minutus L., ტკიპაჭამია თრიფსი- Scolothrips acariphagus**

Jach., ხოჭო სტეთიუსი - *Stethorus punctillum* Steph. და ჩვეულებრივი ოქროთვალა - *Chrysopa carnea* Steph.

**ბრძოლის ღონისძიებები** - თავდაპირველად ამ მავნებლის წინააღმდეგ გამოიყენებოდა ციტრაზოლი 25%, მიტრანი 30%, პერუპალი, დიკაფოლი, ტორკი, ომაიტი. ადრე იყენებდენენ გოგირდს, ანაბაზინ-სულფატს, ნავთობის ზეთის ემულსიებს. შემდეგ დაიწყეს სხვადასხვა ჯგუფის ინსექტიციდებისა და აკარიციდების გამოყენება. /6. ჩაჩხიანი, ქ. ორჯონიკიძე, ზ. ლოლაძე 1987/.

როგორც ცნობილია ტკიპები ხასიათდებიან მაღალი რეზისტენტობით. აქედან გამომდინარე აუცილებელია ამ მავნებლის მიმართ ახალი აკარიციდების შერჩევა და პრაქტიკაში დანერგვა. ჩვენს მიერ გამოცდილ იქნა ახალი ინსექტო-აკარიცი - ტალსტარი და აკარიციდი - ენვიდორი.

### **ვაზის მეგალე ტკიპა – *Eriophyes vitis* Nal.**

**მავნებლის გავრცელება** – ვაზის მეგალე ტკიპა ფართოდაა გავრცელებული ამიერკავკასიაში, მოლდავეთში, ყაზახეთში, შუა აზიაში, დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

**მავნებლის აღწერა** - ობიექტი მაღზედ პატარა ზომისაა: დედალი-0,160-0,032 მმ-ია, მამალი - 0,140-0,033 მმ-ი.

ვაზის გარდა იგი აზიანებს ვაშლს, ალუხას, თხილს, წაბლს, ქლიავს, ჩვენს პირობებში განსაკუთრებით დიდი ზიანი მოაქვს ვაზის კულტურისათვის. დიდი რაოდენობით აღინიშნება იგი კახეთის რეგიონში /გ. დეკანოიძე 1968/.

**მავნებლის ბიოლოგია** - იგი პოლივოლტინური გენერაციით ხასიათდება - წელიწადში 6-ზე მეტ თაობას იძლევა. ტკიპას განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს ტემპერატურული რეჟიმი. ცნობილია, რომ ტემპერატურის  $21,5^{\circ}\text{C}$ -დან  $35^{\circ}\text{C}$ -მდე გაზრდით ამ

მავნებლის განვითარების ხანგრძლივობა 14 - 17 დღიდან 6-7 დღემდე მცირდება, მაგრამ მისი აქტიური ცხოველმყოფელობა შესაძლებელია მხოლოდ ტემპერატურის გარკვეულ რეჟიმში. მაგ. ტემპერატურის  $37^{\circ}\text{C}$ -მდე გაზრდის შემთხვევაში განვითარება რამოდენიმე დღით ფერხდება /ვ. ბოლშაკოვა 1991/. იგივე ავტორი მიუთითებს, რომ  $37^{\circ}\text{C}$ -ზე მაღალი ტემპერატურის დროს ტკიპების განვითარება შეუძლებელი ხდება. ასევე მგრძნობიარეა მოცემული მავნებელი უარყოფითი ტემპერატურის მიმართაც.

ტკიპას განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე ფარდობითი ტენიანობა. აღნიშნული მავნებლისათვის ლაბორატორიულ პირობებში 35% ტენი იწვევს 8%-ის დაღუპვას, ხოლო საველე პირობებში მშრალი ზამთრის პირობებში მათი მასობრივი სიკვდილიანობა აღინიშნება /ვ. ბოლშაკოვა 1991, ნ. ბოიკო 1991, გ. პროკოფიევი 1986, ა. ლაგუნოვა 1985/.

ტკიპას რიცხოვნობა დიდად არის დამოკიდებული აგრეთვე ვაზის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზეც. /ლ.კალანდაძე, ი. ბათიაშვილი, გ. ალექსიძე 1968, ვ. ბოლშაკოვა 1991/.

მეგალე ტკიპა იკვებება ვაზის კვირტების, ფოთლებისა და ყლორტების პლაზმითა და ქლოროფილის მარცვლებით. კვების შედეგად დაზიანებული ფოთოლი ხმება და ნაადრევად ცვივა. ყლორტი ძლიერ დაზიანებისას ჭკნება, ხმება, ფუძესთან წვრილდება, მუხლში ადგილად ტყდება. დაზიანებულ ფოთოლში ირლვევა ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესები, მცირდება ფერმენტ კატალაზას აქტივობა, რის გამოც ნახშირწყლების დაგროვება კლებულობს. ყოველივე ეს კი უარყოფით გავლენას ახდენს მომავალი წლის მოსავალზე.

ვეგეტაციის პერიოდში ვაზის მწვანე მასის გადიდებასთან ერთად ტკიპები ნაწილდებიან ფოთლებზე და მათი შემჩნევა უფრო რთული ხდება, თუმცა დაზიანების კვალი თვალსაჩინოა. მოსავალი 20-30%-ით

მცირდება, ასევე 3%-ით დაბლა ეცემა შაქრიანობაც /გ. დოლიძე 1966, ლ. კალანდაძე, ი. ბათიაშვილი, ნ. ალექსიძე, გ. ყანჩაველი 1962, ო. ქუფარაშვილი 1992/.

მავნებლის მიერ ყველა ჯიშის ვაზი თანაბარი ხარისხით არ ზიანდება. მკვლევარების უმრავლესობა სხვადასხვა ჯიშის განსხვავებულ დაზიანებას ფოთლის შეფერვასა და ბიოქიმიურ შედგენილობის თავისებურებას მიაწერს. მეტად ზიანდება კაბერნე, ჩინური, ალიგოტე, პინო. გარდა ამისა, მკვებავ მცენარეში გარკვეულ ცვლილებებს იწვევს მეტეოროლოგიური პირობები. გვალვების დროს ე.ო. ფოთლის ინტენსიური ქსერომორფიზაციის პროცესში წყდება ძველი ფოთლების ზრდა და ახლის წარმოქმნა. იცვლება ფოთოლში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესები: ფოთოლი ღარიბდება წყლით, ირდვევა ასიმილაციის პროცესი და ნახშირწყლებისა და აზოტოვანი ნივთიერებათა ცვლა. ყოველივე ეს პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას ახდენს ტკიპას რიცხოვნობის დინამიურობაზე, რაც ხშირად ზაფხულში მის დეპრესიით გამოიხატება /გ. დეკანოიძე 1968/.

აღნიშნული მავნებელი ზამთრობს ზრდასრულ ფაზაში, კვირტის ქერცლის ქვეშ, ხოლო გაზაფხულზე კვირტების გაშლისას 9-10 °C-ის დროს, გამოდის მეზამთრეობიდან და იწყებს მოძრაობას. იგი იკვებება ახალგაზრდა ფოთლებისა და ყლორტების წვენით, შემდეგ იქვე დებს კვერცხს. ადსანიშნავია, რომ ტკიპების მეტი ნაწილი პირველ ხანებში ჯერ კიდევ სუსტად გაშლილი ფოთლების ზედა მხარესა და ყლორტებზე სხედან. იქ იკვებებიან, შემდეგ, როდესაც ფოთლები მთლიანად გაიშლება და ყლორტები დაიზრდება, ისინი ფოთლის ქვედა მხარეს გადადიან. მის შემდეგ მათი როგორც ცხოვრება, ასევე კვერცხის დება ფოთლის ქვედა მხარეს ხდება. კვების შედეგად ფოთლებზე ჩნდება ღუდუდოები, რომლებიც ქეჩისებრი წარმონაქმნით იფარება. დაზიანება უფრო საშიშია გვალვის დროს. ტკიპას დაზიანება

არ უნდა აგვერიოს ფილოქსერას დაზიანებაში. გალები ხშირად მთელ ფოთოლს ფარავენ. ფოთლის ქვედა მხარის შეღუნულ ნაწილში ბინადრობს ტკიპა, აქ იგი ვითარდება და მრავლდება, დებს კვერცხებს.

ემბრიონალური განვითარება  $20^{\circ}\text{C}$ -ის პირობებში ერთ კვირაში მთავრდება,  $9-10^{\circ}\text{C}$ -ის დროს  $19$  დღეში,  $30^{\circ}\text{C}$ -ზე კი  $4-6$  დღეში. ტემპერატურა დიდ გავლენას ახდენს დადებული კვერცხების საერთო რაოდენობაზე და ყოველდღიურ პროდუქტიულობაზე.

ოპტიმალურ პირობებში დედლის პროდუქტიულობა  $108$  კვერცხია, ხოლო ყოველდღიურად იგი  $14$  კვერცხს დებს. კვერცხიდან იჩეკება მატლი სამი წყვილი ფეხით, რომელიც კანს იცვლის და მიიღება პროტონიმფა ოთხი წყვილი ფეხით. შემდეგ ვითარდება დეიტონიმფა, ხოლო მისგან ზრდასრული დედალი ტკიპა. მატლის განვითარებას  $20^{\circ}\text{C}$ -ის პირობებში  $17$ , ხოლო  $25^{\circ}\text{C}$ -ზე  $15$  დღე სჭირდება.  $30^{\circ}\text{C}$ -ის დროს ტკიპებს უძნელდებათ განვითრება და ზრდასრულ ფაზამდე მიღწევა.

ტკიპას პოსტემბრიონალური განვითარების ოპტიმალურ ტემპერატურად ითვლება  $20-25^{\circ}\text{C}$ . არსებობს ლიტერატურული მონაცემები იმის შესახებ, რომ პირველი თაობის განვითარებას დაახლოებით  $29$  დღე სჭირდება, II- 18, III-14, IV-13, V- 17, VI-9, VII-10, VIII-19 /გ. ალექსიძე, თ. ქუფარაშვილი 1992/.

აღნიშნული ავტორები მიუთითებენ აგრეთვე, რომ ტკიპა გაზაფხულზე თანდათან მრავლდება და უფროს თაობებში მაქსიმალურ რაოდენობას აღწევს, მაგრამ ზოგიერთ წელს, ჰაერის მაღალი ტემპერატურისა და დაბალი ტენის დროს ადგილი აქვს მავნებლის მასობრივ დაღუპვას.

ჩვენი დაკვირვებით, კახეთის რაიონში გამოზამთრებული ტკიპების მიერ ახალგაშლილი კვირტების დაზიანება იწყება აპრილის მეორე დეკადაში (რქაწითელი). მათ მაქსიმალურ გამოსვლას კი ადგილი აქვს  $20$  აპრილიდან მაისის დასაწყისამდე. ხოლო რაც შეეხება

მავნებლის სიკვდილიანობას მოზამთრეობის პერიოდში, თებერვალ-მარტის თვეებში ჩატარებული აღრიცხვებით, შეადგენდა 35-40%. მავნებლის დიდი რიცხოვნება აღინიშნებოდა ზაფხულის პირველ ნახევარში – ივლის - აგვისტოში. პაერის მაღალი ტემპერატურისა და სიმშრალის გამო მავნებლის მიერ მიყენებული ზარალი მცირდება. აღნიშნულ ზონაში ვაზის მეგალე ტკიპა 6-7 თაობას იძლევა.

**ბრძოლის დონისძიებები** - მეგალე ტკიპას წინააღმდეგ ფოსფოროგანული პრეპარატების აღმოჩენამდე გამოიყენებოდა შტამპის გარეცხვა კირ-ნავთიანი ემულსიონ და გოგირდის შეფრქვევა /6. ალექსიძე, ნ. კობიაშვილი 1957, პრინცი 1962/.

50-იან წლებში ამ მავნებლის მიმართ გამოცდილი იქნა პირველი ფოსფოროგანული პრეპარატები - თიოფოსი, მეტაფოსი, ვოფატოქსი, რაც გადამწყვეტ მომენტს წარმოადგენდა არამარტო ტკიპას მიმართ ბრძოლის შემთხვევაში, არამედ საერთოდ ვაზის მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლაშიც /ს. ქარუმიძე, ნ. ალექსიძე 1957/. იმავე პერიოდში გამოცდილი იქნა სისტემური ფოსფოროგანული პრეპარატებიც - ინტრათონი და მეთილ-სისტოქსი. შემდგომში ინტრათონი შეიცვალა თიოფოსისა და ეთერსულფონატის კომბინირებული ნაზავით /ნ. ალექსიძე, გ. დოლიძე 1959/, უფრო გვიან კი გამოცდილი იქნა კელტანი და თედიონი /გ. დოლიძე 1964/. დღესდღეობით კელტანი წარმოადგენს მკაცრად შეზღუდულ პრეპარატს, მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ტკიპების რეზისტენტული თაობების წარმოშობისას, როდესაც პროცესი უმართავი ხდება.

70-იანი წლების დასაწყისში მრავალწლიან ნარგავებზე ტკიპების წინააღმდეგ პრაქტიკაში შემოვიდა სპეციფიური აკარიციდები: მელბექსი, ფენკაპტანი, აკრექსი, თედიონი, ფოზალონი /გ. დოლიძე 1972/.

90-იან წლებში – ომაიტი, ანთოო, ტორკი და აკარტანი. მოგვიანებით გამოიყენეს ბაზუდინი და მიტრანი. /პ. ლიტვინვი 1990, 6. მელნიკოვი 1974/.

6. მელნიკოვის მონაცემებით /1987/ კარატე (ლამბდა-ციგალოტრინი) ხასიათდება აკარიციდული აქტივობით ვაზის ტკიპების მიმართ. ასევე ეფექტური იყო ფენიოპროპატრინი /ნ. დათუკიშვილი 1988/, ეფექტური იყო კარატანის და ზოგიერთი პირეტროიდული პრეპარატის ნაზავი. /ო. ჩარკვიანი 1988/.

ა. სედიხისა და თანაავტორების მიერ /1987/ მოყვანილი მონაცემების მიხედვით გამოიყენებოდა პირეტროიდები - ფენვალერატი, ფლეცინირატი, დანიტოლი და ამბუში.

აგრეთვე მ. ხორუქენკო და თანაავტორების /1982/ მონაცემებით კარგ შედეგს იძლეოდა დეცისი და სუმიციდინი.

აღსანიშნავია, რომ ტკიპების მიმართ სინთეზური პირეტროიდების მოქმედების ხასიათის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

ცნობილია მთელი რიგი სინთეზური პირეტროიდები, რომლებიც არა თუ ამცირებენ, არამედ ზრდიან კიდევაც ტკიპების რიცხოვნობას. /გ. გეგენავა 1993/. ამასვე მიუთითებენ მთელი რიგი სხვა ავტორებიც. /ო. ვინოგრადოვა და თანაავტორები 1982/.

ამის მიზეზის გასარკვევად აშშ-ში ჩატარებული იქნა სპეციალური ლაბორატორიული გამოკვლევები, რომლებითაც გამოირკვა, რომ პირეტროიდები (პერმეტრინი, ფენვალერატი) შესხურების შედეგად ჩვეულებრივი ტკიპას დედლები ტოვებენ შესხურებულ ფოთლებს. გარდა ამისა ისინი წყვეტენ კვებას და აქტიურდებიან. იწყებენ ხეტიალს. დიდი კოლონიები იშლება მრავალ მცირე კოლონიად, სადაც მათი რეპროდუქციის პოტენციალი ბევრად მუტია, ვიდრე დიდ კოლონიებში. ამასთანავე მცირდება ბუნებრივი

მტრების ეფექტურობაც, რადგან მათი დიდი ნაწილი პირებროიდების მოქმედებით იღუპება. / Ittner, Hall, Environ 1983/.

ტკიპების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში დიდ პრობლემას წარმოადგენს ინსექტიციდებისადმი რეზისტენტობის საკითხი /ა. ერმაკოვი 1952, ნ. მელნიკოვი 1987, ს. როსლავცევა და სხვა 1999/.

ამრიგად, ლიტერატურის ანალიზი საფუძველს გავაძლევს დავასკვნათ, რომ ტკიპების წინაარმდეგ ბრძოლა დაკავშირებულია დიდ სიძნელებთან - ერთი მხრივ, რეზისტენტობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ახალი პირებროიდების განსხვავებული მოქმედების ხასიათის გამო.

მოცემული ტკიპას მიმართ ადრე გამოიყენებოდა პრეპარატები ამბუში, კარატე, ფასტაკი, დეცისი, რიპკორდი, სუმიციდინი, დანიტოლი.

ლიტერატურული ცნობებიდან ჩანს, რომ პესტიციდების გამოყენების გავლენა შეიძლება გამოხატული იყოს მავნებლის დათრგუნვაში ან პირიქით, მისი ნაყოფიერების აქტივობაში რამოდენიმე თაობის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს მავნებლის შემცირებას ან მომატებას. ზოგ შემთხვევაში შეიძლება მავნებელი მასობრივადაც გამრავლდეს. /ლ.კულიკოვა 1972/. ამავე ავტორების მიერ გამოთქმულია აზრი, იმის შესახებ, რომ ქიმიური დამუშავების ფონზე ტკიპების ნაყოფიერების ზრდა მჭიდროდ არის დაკავშირებული შაქრებისა და აზოტის შემცველობის ზრდასთან მცენარეში.

ამ აზრს იზიარებს მ. ლობჟანიძეც /1978/. ე. ასრიევის /1973/ მონაცემებით, ტკიპების კვებითი რეაქცია შაქრების მიმართ მნიშვნელოვან როლს თამაშობს საკვების არჩევაში. ეს მავნებელი ბევრად უფრო მგძნობიარეა ნახშირწყლების მიმართ, ვიდრე ამინომჟავების მიმართ. შაქრით დამუშავებულ საკვებს ტკიპა 3-4 ჯერ მეტი რაოდენობით შთანთქავს, ვიდრე წყლით დამუშავებულს.

არსებობს მთელი რიგი მოსაზრებები, იმის შესახებ, რომ კესტიციდების უშუალოდ ასტიმულირებენ ტკიპას განვითარებას. /გ ლობჟანიძე 2002, ე. კოზლოვა 1977, ე. ორჯონიძე 1998/.

კ. კიდურაძის /1986/ მონაცემებით ამ მავნებლის სასქესო პროდუქცია სევინთან უშუალო შეხების დროს 2,5 ჯერ აღემატებოდა დაუმუშავებელი ტკიპების პროდუქციას. მისი აზრით ეს მოვლენა უშუალოდ პრეპარატის მასტიმულირებელი მოქმედების შედეგია. იმასთან დაკავშირებით, რომ მეგალე ტკიპა პოლივოლტინური მავნებელია, მის მიმართ მაღალი ბიოლოგიური ეფექტის მისაღებად აუცილებელია ხანგრძლივი ტოქსიკური მოქმედების პრეპარატების შერჩევა. ამ მიზნით, ბუნებრივ პირობებში პრეპარატებს ვიყენებდით იმ კონცენტრაციებით, რომლებიც ამჟღავნებდნენ მაღალ ტოქსიკურობას. ასეთი პრეპარატები იყო ტალსტარი და ენვიდორი.

### **ვაზის ბალიშა ცრუფარიანა - *Neopulvinaria innumerabilis* Rathvon.**

მავნებლის გავრცელება - მავნებელი ფართოდაა გავრცელებული და საგრძნობი ზიანი მოაქვს დასავლეთ საქართველოს ვენახებში. იგი აღმოჩენილია აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოშიც.

მავნებლის აღწერა - ზრდასრული, სქესობრივად მომწიფებული დედლის სხეული მოგრძო-ოვალურია, სიგრძით 5-დან 11 მმ-დე მერყეობს, ზურგის მხრიდან მოწითალო-ყავისფერია. კვერცხის დების პროცესში დედალი ცრუფარიანა გამოყოფს თეთრ, ცვილისებრი ძაფებისაგან შემდგარ საკვერცხე ჩანთას, რომელშიც კვერცხებს ათავსებს.

ცრუფარიანას მატლები და ახალგაზრდა დედლები სახლდებიან ვაზის ფოთლის ფირფიტის როგორც ზედა, ისე ქვედა მხარეს მტევნის კლკერტსა და ყუნწევა, მწვანე ყლორტზე, პწკალზე და წუწიან მათ. მავნებლით ინტენსიურად დასახლებული ფოთლი უფერულდება,

სმება და ცვიგა; ყლორტი და მტევანი არანორმალურად ვითარდება, კლერტი ჭკნება და ნაყოფი ზრდადაუმთავრებელი რჩება, ამავე დროს მათ ტკბილ, წებოვან გამონაყოფზე ვითარდება საპროფიტი სოკო, რომელიც შავი ფიფქით ფარავს ვაზის მწვანე ნაწილებს და აუარესებს ყურძნის ხარისხს.

ცრუფარიანა აზიანებს ვაზის ჯიშების უმრავლესობას; უფრო მეტად ზიანდება ციცქა, ცოლიკოური, რქაწითელი, დონდლლაბი, ოცხანური საფერე, ბველშავი, ალიგოტე და სხვ. ძლიერ ზიანდება შარდონე და პინო.

**მავნებლის ბიოლოგია** - ბალიშა ცრუფარიანას ერთწლიანი გენერაცია ახასიათებს. იზამთრებს ახალგაზრდა დედლისა და მეორე ხელვანების მატლის ფაზაში ვაზის რქაზე, შტამბზე, მხარსა და ტოტებზე.

იმერეთის პირობებში გამოზამთრებული ცრუფარიანა კვებას იწყებს მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისში. მაისის მეორე ნახევარში ამთავრებს ზრდას და მუცლის ბოლოდან გამოყოფს თეთრ, ცვილისებრი ძაფებისაგან შემდგარ საკვერცხე ჩანთას, რომელშიც ათავსებს მოყვითალო კვერცხებს; გამოზამთრებული ცრუფარიანა 40-42 დღეში აღწევს სქესობრივ სიმწიფეს და იწყებს კვერცხდებას. ვაზის შტამბსა და ყლორტებზე ნაკვები დედალი საშუალოდ 4000-მდე კვერცხს დებს, შტამბზე ნაკვები კი- 3000 მდე.

საკვერცხე ჩანთიდან მატლების გამოსვლა იწყება ივნისის პირველ დაკადაში, მაქსიმუმს აღწევს მეორე დეკადაში. ეს ემთხვევა ვაზის ყვავილობის დასასრულს. მატლი დაცოცავს ვაზის მწვანე ნაწილებზე, ემაგრება ფოთლის ფირფიტას ძარღვების გასწვრივ, აგრეთვე ვაზის ყლორტებს და მტევნებს და წუწნის მათ.

აგვისტო-სექტემბერში ვითარდებიან მამლები მოგრძო ნახევრადგამჭირვალე ფარის ქვეშ. მათი სხეული მოწითალო-

ყავისფერია, ატროფირებული პირის აპარატით, ხოლო მუცელის ბოლოში ორი ცვილისებრი თეთრი ძაფით. ამავე პერიოდში განვითარებას იწყებენ ახალგაზრდა დედლები, რომლებიც ფოთლებზე რჩებიან გვიან შემოდგომამდე. ფოთოლცვენის პერიოდში ისინი თანდათანობით გადადიან შტამბზე, მხრებზე, რქებზე და რჩებიან იქ გამოსასაზამორებლად.

**ბუნებრივი მტრები** - ბალიშა ცრუფარიანას ანადგურებს პარაზიტი და მტაცებელი მწერები. პარაზიტებიდან ყურადღებას იპყრობს *Leucopis silesiaca* Feg. ჩვეულებრივი და უჯაგრო კოკოფაგი – *Coccophagus lycimnia* Walk., *Coccophagus scutellaris* Dalm., ხოლო მტაცებლებიდან კოკცინელიდების წარმომადგენელი ხოჭო პიპერაპსისი-*Hyperapsis* Herbst.

**ბრძოლის დონისძიება** - აღნიშნული მავნებლის წინააღმდეგ ჩვენს მიერ წარმატებით იქნა გამოყენებული პრპარატი ბი-58 ახალი.

### **ვაზის ფქვილისებრი ცრუფარიანა - *Planoccocus citri* Risso**

**მავნებლის გავრცელება** – ვაზის ფქვილისებრი ცრუფარიანა მეტად გავრცელებული მავნებელია. მას ვხვდებით საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, საბერძნეთში, ეგვიპტეში, სამხრეთ და აღმოსავლეთ აფრიკაში, პალესტინაში, სირიაში, მესოპოტამიაში, იაპონიაში, ჩინეთში, ინდოეთში, ცეილონზე, აშშ-ში, ბრაზილიაში და სხვა.

საქართველოში იგი გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოშიც. განსაკუთრებით მასობრივია მისი გავრცელება გურჯაანის, სიღნაღის, ყვარელის, თელავის, ზესტაფონის და ბადდათის ვენახებში. /ირ. ბათიაშვილი, გ. დეკანოიძე 1974წ./

**მავნებლის აღწერა** - ცრუფარიანას დედალი და მამალი ფორმები ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებიან. მამალი უფრო

მოგრძოა, ფრთიანია, დედალი კი უფრთოა. ზრდადასრულებული დედალი ნაკლებ ბრტყელია, ოვალური, ვარდისფერი ან მომწვანო, მისი სხეული დაფარულია ცვილისებრი ფიფქით, მას სხეულის გარეათა კიდეებზე თანაბარი მანძილის დაშორებით უსხედან ქაცვები და ბეწვები, რომლებიც ცრუფარიანას ბოლოში უფრო გრძელია, ვიდრე მის წინა ნაწილში. ქაცვების რაოდენობა თითოეულ გვერდზე 17-ს უდრის. ულვაშები გრძელი აქვს, 8 ნაწევრიანი. მისი ფეხები და ულვაშები გრძელია. დედალის სხეულის სიგრძე 3,5-4 მმ-ია. კერცხი პატარაა, ყვითელი, ცვილისებრი ფიფქით დაფარული.

**მაგნებლის ბოლოგია** - ვაზის ფქვილისებრი ცრუფარიანა სხვადასხვა ასკის მატლისა და ზრდასრული ფორმით ზამთრობს. ამ პერიოდში იგი იმყოფება ვაზის შტამპსა და და ამსკდარი ქერქის ქვეშ. უმრავლესობა ზამთარს ატარებს იმავე ვაზზე, რომელზეც იკვებებოდა. ნაწილი კი როგორც წესი ვაზის შტამპის ქვედა ნაწილშია განაწილებული.

ცრუფარიანას მეზამთრეობაში გადასვლა ერთდროულად არ ხდება. მაგალითად, მან მასობრივად დაზამთრება დედოფლისწყაროში 24 ნოემბერს დაოწყო. ხოლო ბაღდათის რაიონში 8 ოქტომბერს. მეზამთრეობაში გადასვლა დამოკიდებულია შემოდგომის ამინდზე. ადრეული აცივებისას ადრე იზამთრებს და პირიქით.

მეზამთრეობიდან გამოსვლაც გაზაფხულზე სხვადასხვა დროს ხდება კლიმატურ პირობებზე დამოკიდებულებით. ჩვენს შემთხვევაში 6 აპრილს (თბილი გაზაფხულის პირობებში) უკვე შეიმჩნეოდა მავნებლის გააქტიურება. იმაგო კვერცხებს იმავე ადგილებში დებდა, სადაც ზამთრობდა. კვრცხდება ხშირად დამატებითი კვების გარეშე იწყება. კვერცხდება დაახლოებით ივნისის დასაწყისისათვის მთავრდება. ეს მავნებელი მაღალი ნაყოფიერებით გამოირჩვა. ჩვენს ცდაში 17 ცრუფარიანიდან ოთხმა ცალცალკე დადო 80 კვერცხზე

მეტი, ხუთმა 80-მდე და დანარჩენმა ცალ-ცალკე არანაკლებ 22-ისა. საინტერესოა ამ ცრუფარიანასათვის დამახასიათებელი თავისებურება. იგი კვერცხდების პერიოდში მუდმივად გამოყოფს თეთრი ფერის ცვილისებრ ძაფებს, რომლებშიც ათავსებეს თავის კვერცხებს. მათში კვერცხის დანახვა თითქმის შეუძლებელია. კვერცხის ჩეკვის ვადები ისევ და ისევ დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე. ლაბორატორიულ პირობებში სწრაფად იჩეკებიან ის მავნებლები, რომლებიც მოთავსებულნი არიან  $36\text{-}37\ ^\circ\text{C}$ -ზე, სახელდობრ 4-5 დღეში.

ლაბორატორიულ პირობებში გაკეთდა შემდეგი დაკვირვება – მატლის გამოჩეკვას  $30\text{-}31\ ^\circ\text{C}$ -ის დროს დასჭირდა 5-7 დღე,  $23\text{-}24\ ^\circ\text{C}$  - $6\text{-}12$ ,  $21\ ^\circ\text{C}\text{-}10\text{-}15$ ,  $18\text{-}19\ ^\circ\text{C}$  – $15\text{-}22$ , ხოლო  $12\text{-}16\ ^\circ\text{C}$ -ზე მატლების ჩეკვა ფერხდება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივ პირობებში, აპრილის თვეში, როდესაც ტემპერატურა  $23\text{-}24\ ^\circ\text{C}$ -ზე ნაკლებია, გამოჩეკვას  $10\text{-}15$  დღე სჭირდება.

პირველი თაობის ცრუფარიანები უმთავრესად შტამბზე გვხვდებიან და შესაბამისად იქ იკვებებიან, შემდეგ დაახლოებით 18-20 მაისისთვის გადადიან ფოთოლზე და იქ აგრძელებენ კვებას, ხოლო შემდგომი კვერცხდებისათვის ივლისის დასაწყისში ბრუნდებიან შტამბზე. მეორე თაობა უკვე ყლორტსა და ფოთლებზე ფუძნდება და იწყებს კვებას. მომწიფების შემდეგ ისევ შტამბზე გადადიან და ახდენენ კვერცხდებას. (დახლოებით 13 ივლისს) მესამე თაობა მტევნებსა და ფოთლებზე სახლდება, იკვებება და ვითარდება, მოგვიანებით კი (ნაგვისტო) იწყებს კვერცხდებას მტევნებზე. მეოთხე თაობის ახლადგამოჩეკილი მატლები ზრდის დასრულებამდე მტევანზე რჩებიან და იკვებებიან. აქვე დებენ კვერცხებს და შემდეგ იხოცებიან. ამ კვერცხებიდან გამოჩეკილი მატლები აქვე რჩებიან დაზამთრებამდე. ხოლო შემდეგ იზამთრებენ ვაზის შტამბის ამსკდარი ქრექის ქვეშ.

ამ კანონზომიერებების ცოდნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათთან ბრძოლის დროს. მეტად კვერცხის დების ადგილებისა და დროის ზუსტ ცოდნას. ამაზეა დამყარებული ბრძოლის ღონისძიებები.

ცრუფარიანა ვაზის ვეგეტაციის მთელ მანძილზე თანაბარი რაოდენობით არ დებს კვერცხებს. ამის მიზეზია საკვები პირობების და გარემოს ჰაერის ტემპერატურის ცვლილებები. ყველაზე მცირე რაოდენობით დებს კვერცხს ნაზამთრი ცრუფარიანები, დანარჩენ თაობებში კი კვერცხდების პროდუქტიულობა ნელ-ნელა იმატებს.

ნაზამთრი ცრუფარიანა როდესაც იწყებს კვერცხდებას, ვაზს ჯერ ფოთოლი არ აქვს გამოტანილი, ამიტომ იგი შტამბზე იმყოფება, საიდანაც საკვების ამოდება ძნელია, ამასთანავე იგი დასუსტებულია ზამთრის შიმშილობით, რაც იწვევს სწორედ მის დაბალ ნაყოფიერებას (საშუალოდ 41 ც კვერცხი).

ბიოტურ ფაქტორებს ემატება აბიოტური ფაქტორებიც, არახელსაყრელი დაბალი ტემპერატურა.

მომდევნო თაობებში პროდუქტიულობა იმატებს და აღწევს დაახლოებით 114-154 ცალს. ამ პერიოდისათვის კვების პირობები უმჯობესდება და ასევე უმჯობესდება ტემპერატურული რეჯიმიც. უფრო მეტ კვერცხს დებენ ის ცრუფარიანები, რომლებიც ნაწილობრივ იკვებებიან ფოთოლზე, ნაწილობრივ კი შტამბზე. შემდეგი თაობა უკვე ვაზის ფოთოლზე და ნორჩ ყლორტზე სახლდება და იკვებება, შესაბამისად იზრდება პროდუქტიულობაც - საშუალოდ 223 ც კვერცხი.

ლაბორატორიულ პირობებში ზაფხულის ცრუფარიანებს უფრო მეტი პროდუქცია აქვთ, სამი ცრუფარიანიდან ერთმა დადო 440, მეორემ 479, მესამემ 463 ცალი კვერცხი. ლაბორატორიული პირობებიდან გამომდინარე, ცრუფარიფარიანებისათვის განვითარების ოპტიმუმია - 20-25 °C. 14-16 °C -ზე ისინი წყვეტენ კვერცხდებას, ასევე 36-40 °C-ზეც. ამავე დროს ასეთ ტემპერატურაზე მაღალია მათი სიკვდილიანობა.

ეს მავნებელი წელიწადში 4 თაობას გვაძლევს, პირველ თაობაში იგი მცირე რიცხოვნობით გვხვდება ვენახებში, შემდეგ თანდათანობით მრავლდება და უდიდეს რაოდენობას აღწევს უკანასკნელ თაობაში, რომელიც სახლობს მწიფე მტევნებზე და ფოთლებზე.

ამ მავნებელს ახასიათებს ძალზედ სწრაფი გავრცელების უნარი. მის გავრცელებას ხელს უწყობს ქარი. იგი იტაცებს მწერს და გადააქვს ახალ ადგილას. გადამტანია აგრეთვე ადამიანიც. (სანერგე მასალით გამრავლება) /ნ. ალექსიძე 1953/.

**დაზიანება და უარყოფითი ეკონომიური მნიშვნელობა - ცრუფარიანები** სახლდებიან ვაზის შტამბზე, ერთწლიან რქებზე, მტევნებზე და ფოთლებზე და აზიანებენ მათ. მეტად სახასიათოა მათ მიერ გამოწვეული დაზიანება. ცრუფარიანები წუწნის შედეგად მცენარეში უშვებენ თავიანთ ხორთუმს კამბიუმის ფენამდე, ამის გამო ჩნდება მცენარეზე ყავისფერი ლაქები. ფოთლებზე გვხვდებიან ქვედა მხარეს - ფოთლები ყვითლდება და ცვივა, გარდა ამისა ისინი გამოყოფენ ტკბილ წვენს, რაც სასურველ საკვებ არეს წარმოადგენს სხვადასხვა მიკროროგანიზმებისა და სოკოებისათვის. (კაპნოდიუმის გვარის სოკოები). ამ ორგანიზმების ფოთოლზე დასახლების შედეგად ფოთლის ზედაპირი იფარება შავი ფიფქით, რაც ამცირებს ფოთლის საასიმილაციო ზედაპირს. ფოთლის ზედაპირი მურისებრ შავ ფერს იღებს. ასევე შავდება მტევნებიც, კლერტიც. ცრუფარაიანას მასობრიობის შემთხვევაში კლერტი მთლიანად ხმება. სასუფრე ჯიშის ყურძენი დაზიანების შედეგად კარგავს თავის მნიშვნელობას და მხოლოდ საღვინე მასალად გამოიყენება. თუმცა დვინო მეტად დაბალი ხარისხის მიიღება.

მოცემული მავნებელი განსაკუთრებით დიდ ზარალს აყენებს გურჯანის, სიღნაღის, ყვარელისა და თელავის, ზესტაფონის და მაიაკოვსკის (ბალდათის) რაიონების ვენახებს. ჩვენს მიერ ამ

მავნებლის წინააღმდეგ ბალდათის რაიონში გამოიცადა პრეპარატი ბი-58 ახალი.

**ბუნებრივი მტრები** - სააერთოდ ბევრი პარაზიტი და მტაცებელი ორგანიზმი ემტერება გაზის ბალიშა ცრუფარიანას: პახინეურონი-*Pachineuron coccorum*, ძირითად მტერს კი წარმოადგენს ჭიამაიების ოჯახის წარმომადგენლები. სახელდობრ კრიპტოლემუსი (*Cryptolaemus montrouzieri muls.*). იგი ძირითადად იკვებება მავნებლის კვერცხებით. სუსტად მატლებით და ზრდასრული ფორმებით. კრიპტოლემუსის ვენახებში გაშვების საუკეთესო დროდ ითვლება ის პერიოდი, როდესაც ცრუფარიანა მასობრივად იწყებს შტამბიდან მტევნებზე გადასვლას.

**ბრძოლის ლონისძიება** - ქიმიური მეთოდით ბრძოლა ხდება შემოდგომაზე, გაზაფხულზე და ზაფხულში, შემოდგომა - გაზაფხულზე გამოიყენება ნავთობის ზეთების პრეპარატები. ადრე იყენებდნენ ნიკოტინშემცველ პრეპარატებს - ნიკოტინ - სულფატს, ანაბაზინს, მათი გამოყენებით ხდებოდა მტევნებისა და ფოთლის ქვედა მხარის დამუშავება. აგრეთვე იყენებდნენ დდტ-ს, თიოფონს, პირიფონს. დღესდღეობით ამ მავნებლის წინააღმდეგ წარმატებით გამოიყენება ბი-58 ახალი, დინგო, სფაგორი.

## თავი II.

### მასალა და კვლევის მეთოდიკა

როგორც აღნიშნული იყო, ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა გაზის განსაკუთრებით საშიში მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ლონისძიებების ოპტიმიზაცია. ამიტომ აუცილებელი გახდა, პირველ რიგში გაგვეანალიზებინა ლიტერატურული მონაცემები აღნიშნული კულტურის ენტომოფაუნის და აკარიფაუნის შედგენილობის შესახებ და გამოგვევლინა მავნეობის მომტავრესი მავნე ორგანიზმები,

აგრეთვე მათი ფენოლოგიური ფაზების დადგომის პერიოდები და წამლობათა ოპტიმალური ვადები. ამ მიზნით, ლიტერატურული მონაცემების ანალიზის გარდა, საჭირო გახდა მარშრუტული გამოკვლევებისა და დაკვირვებების წარმოება აღნიშნულ ობიექტებზე.

მავნე ორგანიზმების შესწავლის მიზნით ჩამოვაყალიბეთ სამოქმედო გეგმა:

1. მავნებლის სახობის დადგენა, 2. მავნებლის არეალის განსაზღვრა, 3. მასპინძელი მცენარის დაზიანების ხასიათი, 4. რიცხოვნობასთან დაკავშირებული ზოგიერთი მაჩვენებლის განსაზღვრა, 5. უარყოფითი სამეურნეო მნიშვნელობის განსაზღვრა, 6. მეზამთრეობა და აქტიური ცხოვრების დაწყება, 7. მავნებლის განვითარების ცალკეული ფაზის ხანგრძლივობა, 8. თაობათა რაოდენობის განსაზღვრა, 9. აბიოტური ფაქტორების გავლენა მავნე ორგანიზმის რიცხოვნობაზე, 10. ბუნებრივი მტრების არსებობა, 11. ბრძოლის ღონისძიებების დამუშავება, 12. გატარებული ბრძოლის ღონისძიებების ეკონომიკური, სამეურნეო და ეკოლოგიური დასაბუთება.

კვლევები და დაკვირვებები მიმდინარეობდა 2004–2006 წლებში ლ. ყანჩაველის სახელობის მცენარეთა დაცვის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე. მინდვრის ცდების ჩატარების, ნაკვეთების დაგეგმვის, ფენოლოგიური დაკვირვებებისათვის, მოსავლის აღრიცხვისათვის ვიყენებდით მემცენარეობაში მიღებულ მეთოდებს /პ. გარი 1963, ჟ. ჭანიშვილი 1973/.

საველე ცდები ტარდებოდა დედოფლისწყაროს და ბადდათის რაიონების კერძო საფერმერო ნაკვეთებში. სადაც 0,2-0,5 ჰა ფართობის დანაყოფების ფარგლებში ვაზის კულტურაზე ვატარებდით ექსპერიმენტებს. ექსპერიმენტში გვქონდა 3 ვარიანტი: საცდელი,

საკონტროლო და ეტალონი. სამივე ვარიანტში დაცული იყო ერთნაირი პირობები. განმეორებათა რიცხვი იყო 3 - 4.

ეტალონად ვიყენებდით უკე მრავალგზის გამოცდილ პრეპარატებს.

მავნებლის რიცხოვნობას განვსაზღვრავდით შემდეგი ინდექსებით: დასახლების სიხშირე, სიმჭიდროვე, დაზიანების ინტენსივობა, შეხვედრილობა.

დაზიანების ინტენსივობას ვადგენდით ფორმულით

$$P = \frac{Ea \times 100}{4b}$$

სადაც  $Ea$ -წარმოებული ბალის ნამრავლი დაზიანებულ მცენარეთა რიცხვზე,  $b$ -გამოკვლეული მცენარეების რაოდენობა, 4 - დაზიანების უმაღლესი ბალი.

დაზიანების პროცენტის გაანგარიშება ხდებოდა ფორმულით

$$P = \frac{(a \times b)}{3p}$$

სადაც  $b$ -დაზიანება ბალებში,  $a$ - მცენარეთა რაოდენობა,  $p$ -აღრიცხული მცენარეთა რაოდენობა დაზიანებულისა და დაუზიანებლის ჩათვლით.

მავნეობის კოეფიციენტის დადგენისას გხელმძღვანელობდით ფორმულით:

$$K = \frac{m - n}{n \times 100}$$

სადაც  $m$ -დაუზიანებელი ნაკვეთიდან აღებული საშუალო მოსავალია,  $n$ -დაზიანებული ნაკვეთიდან აღებული საშუალო მოსავალი.

გარდა ფორმულებით გაანგარიშებებისა ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა ახალი ინსექტიციდებისა და აკარიციდების ეფექტურობის დადგენის მეთოდიკა. დავადგინეთ მათი გამოყენების ოპტიმალური ვადები და ჯერაოდბა, ლოდინის პერიოდი, ხარჯვის ნორმები. ახალი ინსექტიციდების ასორტიმენტის გათვალისწინებით შევქმნით ვაზის დაცვის სისტემა.

შევეცადეთ მაქსიმალურად შეგვემცირებინა პესტიციდების გამოყენების ჯერადობა და ხარჯვის ნორმა, ასევე გამოვცადეთ ბიოპრეპარატი სხვა ქიმიურ საშუალებებთან ერთად.

აგრეთვე დადგენილი იქნა ჩვენს მიერ გამოყენებული პესტიციდების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები ყურძენში, რადგან დღეს-დღეობით მსოფლიო ბაზარზე გატანილი ნედლეულის შემოწმებისას ამ მაჩვენებელს უდიდესი ყურადღება ექცევა.

სამეცნიერო კვლევის დასაწყისში დავაზუსტეთ ვაზის მავნე ორგანიზმთა სახეობების ჯგუფი და ბრძოლის საშუალებებისადმი მათი მგრძნობელობა (სხვადასხვა ფაზაში.). ეს საჭირო გახდა იმის გამო რომ, დაგვედგინა მავნებელთა კომპლექსის წინააღმდეგ ბრძოლის ოპტიმალური ვადები, აგრეთვე შეგვესწავლა ბიოლოგიური და ქიმიური პრეპარატების შედარებითი ტოქსიკურობა ვაზის მავნე სახეობების მიმართ. ეს აუცილებელი იყო ბიოლოგიურად აქტიური პრეპარატების გამოვლენისა და შერჩევის მიზნით.

კონკრეტულად, საქართველოს პირობებისათვის ახალი ინსექტიციდების გამოყენებით მავნებელთან ბრძოლის ოპტიმალური და რაციონალური ლონისძიებების დამუშავების მიზნით, დაკვირვებებს ვახდენდით ცდის ობიექტების – ყურძნის ჭიის, ქლიავის (ვაზის) აბლაბულიანი და მეგალე ტკიპას, ვაზის ცრუფარიანების განვითარებასა და ძირითად ბიოლოგიურ მაჩვენებლებზე.

ყურძნის ჭიის, ვაზის ტკიპების და ცრუფარიანების გამრავლება – განვითარებაზე დაკვირვებებს ვაწარმოებდით ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე.

ყურძნის ჭიის ფენოლოგიური გამოკვლევებისას ვაწარმოებდით შემდეგი სახის გაანგარიშებებს: ზრდასრულ ფორმებში ვადგენდით სქესთა შეფარდებას ნ. ბერიმის /1972/ ფორმულის მეშვეობით:

$$I = \frac{F}{m+F}$$

სადაც, I-სქესობრივი ინდექსია, m-მამლები, F-დედლები.

ამის შემდგომ ვამოწმებდით მდედრის სქესობრივ პროდუქციას. ამისათვის ზრდასრულ დედალს ფრთხილად ვაცლიდით მუცელს და კვეთავდით სკალპელით, ვაცილებდით შინაგან ორგანოებს და ვაკვირდებოდით ბინოკულარში.

ანალიზის შედეგად დედლებს ვყოფდით ჯგუფებად: ა) განუვითარებელი დედლები, ბ) მომწიფებული დედლები, გ) კვერცხდება და მომავრებული დედლები.

მატლის ფაზაში არანაკლებ 20-25 მატლის შეგროვების შემდეგ ვაკეთებდით ასაკობრივ ანალიზს და ვაღგენდით მწერის ფენოლოგიური განვითარების ციკლს.

მავნე ობიექტის შეგროვება ხდებოდა არანაკლებ 100 მცენარეზე.

ყურძნის ჭიის პეპლების გამოფრენის სიგნალიზაციისათვის ვიყენებდით სქსმჭერებს, ჰექტარზე 3-4 ცალს. სქსმჭერებზე წებოს განახლებას ვახდენდით 10-15 დღეში ერთხელ, ფერომონს კი ვცვლიდით ყოველი თაობის მოსალოდნელი გამოჩენის წინ.

ბრძოლის ღონისძიებებს ყურძნის ჭიის პირველი და მეორე თაობის წინააღმდეგ ვიწყებდით მაშინ, როდესაც ხუთი დღის მანძილზე დამჭერებზე აღმოჩნდებოდა 5-7 პეპლა და 100 ყვავილზე 10-ზე მეტი მატლი.

ტკიპების რიცხოვნობის აღწერა ხდებოდა მოძრავი ფაზების დათვლით - 10-12 ეპზემპლარი ფოთლზე, თითოეულ ვაზზე.

ტკიპების წინააღმდეგ ბრძოლას ვიწყებდით ერთ ფოთოლზე საშუალოდ, 3-4 მატლის არსებობის შემთხვევაში.

ცრუფარიანების შემთხვევაში კი ბრძოლა იწყებოდა, როდესაც ვაზის 5-7 % იყო მავნებლით დასახლებული.

ქიმიური პრეპარატების გამოცდისას ვხელმძღვანელობდით მათი შედარებითი ტოქსიკურობის მაჩვენებლებით, რისთვისაც გამოყენებული

იქნა პრობიტ ანალიზის მეთოდი. სავალე ცდების პარალელურად ლაბორატორიულ პირობებში ვსწავლობდით პრეპარატების შედარებით ტოქსიკურობას მავნებლების ყველა ფაზის მიმართ (იმაგო, მატლი, კვერცხი).

კონტროლთან შედარებით სიკვდილიანობის შესწორებულ პროცენტს ვსაზღვრავდით ებოტის ფორმულით /ნ. ბერიმი 1972/. მიღებულ მონაცემებს ვამჟმავებდით გამარტივებული პრობიტ-ანალიზის მეთოდით, ისაზღვრებოდა სკ-50; მისი ზედა და ქვედა ზღვრები; დახრილობის კუთხე /გ. გეგენავა 1960/, გამოყენებული იყო აგრეთვე ვარიაციული სტატისტიკის მეთოდები /კ. გარი 1973/.

სავალე და ნახევრად სავალე პირობებში პესტიციდების ეფექტურობა განისაზღვრებოდა შემდეგი ფორმულით /ნ. ბერიმი 1972/.

$$h = \frac{(a-b) \times 100}{a} \times \frac{b}{a}$$

a- მავნებლის რიცხოვნობა დამჟმავებამდე

b- დამჟმავების შემდეგ

a და b მავნებლის რიცხოვნობა ეტალონში დამჟმავებამდე და დამჟმავების შემდეგ.

სხვადასხვა ჯგუფის პრეპარატების კომბინირებული ნაზავების მოქმედების ხარისხის განსაზღვრის მიზნით ვიყენებდით ვადლეის ფორმულას /გიზი 1982/, რომელშიც გამოყენებულია შემადგენელი კომპონენტისა და ნაზავების სკ 50, ფორმულას შემდეგი სახე აქვს:

$$\text{სკ}50 \text{ (თეორიული)} = \frac{X + Y}{\text{სკ}50 + Y} \text{ } \text{სკ}50$$

სადაც X, Y - არის ნაზავებში კომპონენტების შეფარდება.

F= სკ 50 (თეორიული)/ სკ50 (პრაქტიკული),

სადაც F- სინერგიზმის კოეფიციენტია.

მავნებლის მიმართ ინსექტიციდების ტოქსიკურობის მოქმედების ხანგრძლივობა ისაზღვრებოდა შესხურებულ მცენარეებზე დროის

გარკვეულ ინტერვალში მავნებლის გადასმით, შემდეგ სიკვდილიანობის პროცენტის გამოკვლევით /კ. გარი 1983/.

ნაყოფების კვებით ღირებულებებზე ინსექტიციდების გავლენის შესწავლის მიზნით, ვსაზღვრავდით გამოყენებული პესტიციდის არსებული ნაშთის მაჩვენებელებს /ი. კლისენკო, ა. პისმენნაია, 1968,/ რის საფუძველზეც ვადგენდით თითოეული პრეპარატის „ლოდინის პერიოდს“ კულტურების მიხედვით. ამავე მიზნებისათვის გამოიყენებოდა პრეპარატების დეგრადაციის შესწავლის მათემათიკური მეთოდები ალგორითმების გამოყენებით. /ე. სპინუ, ლ. ივანოვი 1974/.

განსაზღვრული იქნა ეფექტური ინსექტიციდების საპექტრო ეკოლოგიური დატვირთვა შემდეგი ფორმულის გამოყენებით / 6. მელნიკოვი 1986/.

$$\text{ЭН} = \frac{H \cdot P}{T \times \Pi},$$

სადაც  $\Pi$ -ნახევრადდაშლის პერიოდი გარემოში (დღეებში.)

T- LD-50 ობილსისხლიანებისათვის

HP- ხარჯვის ნორმა მგ/ჰა

ЭН-საპექტრო ეკოლოგიური დატვირთვა.

მცენარეთა დაცვის საკითხების გადასაჭრელად მათემატიკური მოდელირების მეთოდების გამოყენების მიზნით ვსარგებლობდით სისტემური ანალიზის მეთოდებით. /ზ. ლუნევი 1992/.

ინსექტიციდების გამოყენების სამეურნეო და ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრა ხდებოდა ვ. ზახარენკოსა /1983/ და ა. ჩენკინის /1974/ მეთოდებით. პესტიციდების ეკონომიკური ეფექტურობის ძირითად მაჩვენებლად გამოყენებული იყო: შენარჩუნებული მოსავლის რაოდენობა, წმინდა შემოსავალი და რენტაბელობის ნორმა, თვითდირებულება, შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები.

შენარჩუნებული მოსავლის რაოდენობას ვსაზღვრავდით საცდელ ნაკვეთსა და სამეურნეო კონტროლს შორის მოსავლის სხვაობით, ასევე ვადარებდით საკონტროლო გარიანტს, სადაც პესტიციდები არ იყო გამოყენებული.

ქიმიურ ღონისძიებაზე გაწეული ხარჯები (პესტიციდების ღირებულება, შესხურების ხარჯები და სხვა ისაზღვრებოდა უშუალოდ ფაქტიური დანახარჯებით. წმინდა შემოსავალი ისაზღვრებოდა ფორმულით:

$$Rd = y - 3,$$

სადაც  $Rd$ -წმინდა შემოსავალი

$y$ -შენარჩუნებული მოსავლის ღირებულება

3-მოსავლის დაცვისათვის გაწეული ხარჯები.

ღონისძიებათა რენტაბელურობა ისაზღვრებოდა ფორმულით

$$P = \frac{R \cdot d}{3 \times 100}$$

სადაც  $Rd$ - წმინდა შემოსავალია

3-დანახარჯები

კვლევების შედეგად მიღებული მონაცემები მუშავდებოდა სტასტისტიკურად, ისაზღვრებოდა სარწმუნოების კოეფიციენტი და საშუალო კვადრატული გადახრები. /შ.ჭანიშვილი 1972/.

### თ ა ვ ი III.

## ვაზის ძირითადი მავნებლების წინააღმდეგ ახალი პრეპარატების გამოცდის შედეგები

2004-2006 წლებში ჩვენს მიერ ტარდებოდა ექსპერიმენტები ვაზის ძირითადი მავნებლების მიმართ ახალი პრეპარატების გამოცდისა და შეფასების მიზნით. ცდები ორ განსხვავებულ ზონაში მიმდინარეობდა. გამოცდილი იქნა შემდეგი პრეპარატები: ავანტი, ტალსტარი, მარშალი, ენვიდორი, ლანატი, დეცის პროფი, კონფიდორ მაქსი, ბი-58 ახალი, ლიროსექტი. განვსაზღვრეთ მოცემული პრეპარატების ბიოლოგიური, სამეცნიერო და ეკონომიკური ეფექტურობა, ჩვენს ხელთ არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით განვსაზღვრეთ მათი ეკო-ტოქსიკოლოგიური, ჰიგიენური მაჩვენებლები, არსებული მეთოდიკების დახმარებით შევძლით ყურძენში პესტიციდების ნარჩენი რაოდენობების შეფასება, რის საფუძველზეც დავადგინეთ ლოდინის პერიოდი თითოეული პრეპარატისათვის საჭართველოს პირობებში.

ცდების და გამოკვლევების შედეგები მოყვანილია ნაშრომის აღნიშნულ თავში:

### ყურძნის ჭიის წინააღმდეგ პრეპარატ ავანტი-ს ეფექტურობის განსაზღვრის შედეგები

ყურძნის ჭიის წინააღმდეგ ჩვენს მიერ გამოცდილია ახალი ინსექტიციდი ავანატი. მოქმედი ნივთიერება (ISO, IUPAC)-DPX-KN-128; ინდოქსიკარბი; ინდენ [1,2] [1,3,4] ოქსადიაზინ 4a (3H)-კარბოქსილმჟავა, 7-ქლორო-2,5- დიჰიდრო-2-[(3H)-კარბონილ] [4-ტრიფლურმეთოქსი] ფენილ] ამინო]კარბონილი] მეთილის ეთერი, ქიმიური კლასი-ოქსიდაზინები, კონცენტრაცია 150 გ/ლ, პრეპარატული ფორმა-სუსპენზიური კონცენტრატი, ინდოქსიკარბი წყალში მცირედ ხსნადი,

სტაბილური, არაკორონიული თვისებების მქონე ნივთიერებაა. პრეპარატი ავანტი შეთავსებადია სხვა ჯგუფის პესტიციდებთან.

ყურძნის ჭიის წინააღმდეგ ჩვენს მიერ ავანტის გამოცდა მოხდა აღმოსავლეთ საქართველოს დედოფლისწყაროს რაიონში (სოფელი ზემო მაჩხაანი) და დადასავლოთ საქართველოს ბალდათის რაიონებში (სოფელი დიმი). ცდები ტარდებოდა ყურძნის ჭიის პირველი და მეორე თაობის მატლების წინააღმდეგ.

კვლევის მიზანს შეადგენდა ავანტის გამოყენების, ხარჯვის ნორმების, კონცენტრაციების, შესხურების ვალებისა და ჯერადობის დადგენა. აგრეთვე ბიოლოგიური და სამეურნეო ეფექტურობის განსაზღვრა. სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში დაფიქსირებული მეტეოროლოგიური პირობები: აღმოსავლეთ საქართველო-დედოფლისწყარო: ჰაერის საშუალო ტემპერატურა –  $18^{\circ}$  C, ნალექების ჯამი–310მმ, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა–82%. დასავლეთ საქართველო – ბალდათი: ჰაერის საშუალო ტემპერატურა –  $20^{\circ}$ C, ნალექების ჯამი–1240მმ, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა–90%.

№2 ცხრილში მოცემულია აღმოსავლეთ საქართველოში ყურძნის ჭიის წინააღმდეგ პესტიციდ ავანტის გამოცდის შედეგები. როგორც ცხრილიდან გამომდინარეობს ავანტის 0,02%-იანი კონცენტრაციის (ხარჯვის ნორმა 0,2ლ/ჸა) გამოყენებით ყურძნის ჭიის პირველი თაობის მატლების რიცხოვნობა საშუალოდ 84,3%-ით შემცირდა. პრეპარატის კონცენტრაციის 0,025% გაზრდით (0,25ლ/ჸა) ეფექტურობა 97,8%-მდე გაიზარდა. ანალოგიური შედეგებია მიღებული ავანტის 0,03%-იანი კონცენტრაციის გამოყენებით. ეტალონში (ზოლონის) ეფექტურობა 81,6%-ს არ აღემატება.

№3 ცხრილში მოყვანილია ამავე ზონაში ავანტის გამოყენების შედეგები ყურძნის ჭიის მეორე თაობის მატლების წინააღმდეგ.

შედეგებმა გვიჩვენა, რომ ამ თაობის მატლების მიმართ ავანტის 0,2ლ/ჰა ხარჯვის ნორმის გამოყენებისას ეფექტურობა საშუალოდ 83,8%-ს შეადგენს. 0,25ლ/ჰა-ზე გამოყენების შემთხვევაში – 98%-ს, ხოლო 0,3ლ/ჰა-ზე კი 98,4%-ს. ამ შემთხვევაში ეტალონად აღებული იყო ფოზალონი. მისი ეფექტურობა 79,9%-ს შეადგენდა.

ასევე მაღალი ბიოლოგიური ეფექტურობა დაფიქსირდა ავანტის გამოყენებისას დასავლეთ საქართველოს რაიონში. (№4,5 ცხრილი).

პირველი თაობის მატლების მიმართ ამ პრეპარატის 0,025 და 0,03 %-იანი კონცენტრაციის გამოყენებისას, ეფექტურობა 97,7 – 98,0%-ს აღწევს. (ეტალონში 77,4%). მეორე თაობის მატლების მიმართ კი ავანტის ეფექტურობა – 96,8-98,1 %-ის ფარგლებშია. ეტალონში (ფოზალონი) კი იგი არ აღემატება 80, 5%-ს.

გარდა ბიოლოგიური ეფექტურობისა, ჩვენს მიერ ორივე ზონაში განსაზღვრული იქნა ავანტის გამოყენების სამეურნეო ეფექტურობა, რიცოგისაც აღირიცხა მოსავლიანობა.

როგორც მე-6 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს ავანტის გამოყენებით ეტალონთან და განსაკუთრებით კონტროლთან (პესტიციდებით დაუმუშავებელი ფართობი) შედარებით მოსავალი საგრძნობლად არის გაზრდილი.

ამრიგად, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რაიონებში ჩატარებული ცდების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ავანტი მაღალეფექტურია ყურძნის ჭიის პირველი და მეორე გენერაციის მატლების მიმართ. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ მავნებლის წინააღმდეგ 0,025%-იანი ემულსიის სახით – ხარჯვის ნორმა 0,25 ლ/ჰა.

ქიმიური საშუალებების გამოყენება რეკომენდებულია ყურძნის ჭიის მხოლოდ 1-ლი და მე-2 თაობის მატლების მიმართ. მე-3 თაობის წინააღმდეგ, ეკოლოგიური უსაფთხოებიდან გამომდინარე პესტიციდის გამოყენება დაუშვებელია.

პრეპარატ ავანტი-ს ბიოლოგიური ეფექტურობა ყურმნის ჭიის (I თაობა) წინააღმდეგ აღმოსავლეთ  
საქართველოში (დედოფლისწყარო, სოფელი ზემო მაჩხაანი)

ცხრილი №2

| № | ვარიანტი   | სამუშაო<br>ხსნარის<br>კონცენტრ<br>აცია % | პრეპარატის<br>ხარჯვის<br>ნორმა<br>ლ/ჰა | განმროვება | ყოველ 100 ყვავილედზე<br>მატლების რიცხოვნობა |                       | მატლების<br>რიცხოვნობის<br>შემცირება<br>კონტროლთან<br>შედარებით % |
|---|--|--|--|------------|---|-----------------------|---|
|   |  |  |  |            | დამუშავე-<br>ბამდე                          | დამუშავების<br>შემდეგ |   |
| 1 | შესასწავლი<br>პრეპარატი<br>ავანტი                        | 0,02                                     | 0,2                                    | 1          | 8   | 2                     | 84,0  |
|   |  |  |  |            | 2   | 2                     | 86,2  |
|   |  |  |  |            | 3   | 3                     | 82,0  |
|   |  | 0,025                                    | 0,25                                   | საშ        | 9,0   | 2,3                   | 84,3  |
|   |  |  |  |            | 10  | 1                     | 93,6  |
|   |  |  |  |            | 9   | 0                     | 100   |
|   |  |  |  |            | 7   | 0                     | 100   |
|   |  | 0,03                                     | 0,3                                    | საშ        | 9,7   | 0,33                  | 97,8  |
|   |  |  |  |            | 8   | 0                     | 100   |
|   |  |  |  |            | 8   | 0                     | 100   |
|   |  |  |  |            | 9   | 1                     | 93,4  |
|   |  |  |  |            | 8,3   | 0,33                  | 97,8  |
| 2 | ეტალონი<br>(ზოლონი)                                      | 0,2                                      | 2,0                                    | 1          | 9   | 3                     | 78,7  |
|   |  |  |  |            | 9   | 2                     | 85,2  |
|   |  |  |  |            | 10  | 3                     | 82,0  |
|   |  |  |  | საშ        | 9,3   | 2,7                   | 81,6  |
| 3 | კონტროლი<br>(ინსექტიციდებით<br>დაუმუშავებელი<br>ფართობი) | -  | -                                      | 1          | 9   | 14                    | -   |
|   |  |  |  |            | 10  | 15                    | -   |
|   |  |  |  |            | 9   | 15                    | -   |
|   |  |  |  | საშ        | 9,3   | 14,7                  | -   |

პრეპარატ ავანტი-ს ბიოლოგიური ეფექტურობა ყურმნის ჭიის (II თაობა) წინააღმდეგ აღმოსავლეთ  
საქართველოში (დედოფლისწყარო, სოფელი ზემო მაჩხაანი)

№3ცხრილი

| გარიანტი  | სამუშაო ხსნარის<br>კონცენტრაცია % | პრეპარატის<br>ხარჯვის<br>ნორმა ლ/ჰა | განმროვე-<br>ბა | ყოველ 100 ყვავილედზე<br>მატლების რიცხოვნობა |                       | მატლების<br>რიცხოვნობის<br>შემცირება<br>კონტროლთან<br>შედარებით % |
|---|-----------------------------------|-------------------------------------|-----------------|---|-----------------------|---|
|   |                                   |                                     |                 | დამუშავებამდე                               | დამუშავების<br>შემდეგ |   |
| 1<br>შესასწავლი<br>პრეპარატი<br>ავანტი                                | 0,02                              | 0,2                                 | 1               | 15  | 4                     | 82,3  |
|   |                                   |                                     | 2               | 12  | 3                     | 84,7  |
|   |                                   |                                     | 3               | 14  | 3                     | 84,3  |
|   | 0,025                             | 0,25                                | საშ             | 13,7  | 3,3                   | 83,8  |
|   |                                   |                                     | 1               | 10  | 0                     | 100   |
|   |                                   |                                     | 2               | 12  | 0                     | 100   |
|   | 0,03                              | 0,3                                 | 3               | 13  | 1                     | 94,1  |
|   |                                   |                                     | საშ             | 11,7  | 0,33                  | 98,0  |
|   |                                   |                                     | 1               | 15  | 1                     | 95,4  |
|   |                                   |                                     | 2               | 10  | 0                     | 100   |
|   |                                   |                                     | 3               | 12  | 0                     | 100   |
|   |                                   |                                     | საშ             | 12,3  | 0,33                  | 98,4  |
| 2<br>ეტალონი<br>(ზოლონი)  | 0,2                               | 2,0                                 | 1               | 12  | 4                     | 77,8  |
|   |                                   |                                     | 2               | 14  | 4                     | 82,8  |
|   |                                   |                                     | 3               | 17  | 5                     | 78,4  |
|   |                                   |                                     | საშ             | 14,3  | 4,3                   | 79,9  |
| 3<br>კონტროლი<br>(ინსექტიციდ<br>ებით<br>დაუმუშავებე<br>ლი<br>ვართობი) | -                                 | -                                   | 1               | 10  | 15                    | -   |
|   |                                   |                                     | 2               | 11  | 18                    | -   |
|   |                                   |                                     | 3               | 14  | 19                    | -   |
|   |                                   |                                     | საშ             | 11,7  | 17,3                  | -   |

**პრეპარატ ავანტი-ს ბიოლოგიური ეფექტურობა ყურმნის ჭიის (I თაობა) წინააღმდეგ დასავლეთ  
საქართველოში (ბალდათის რაიონი, სოფელი დიმი)**

**№4ცხრილი**

| № | გარიანტი   | სამუშაო<br>ხსნარის<br>კონცენტრაცია<br>% | პრეპარატის<br>ხარჯვის<br>ნორმა<br>ლ/კა | განმეორ<br>ება | ყოველ 100 ყვავილედზე<br>მატლების რიცხოვნობა |                       | მატლების რიცხოვნობის<br>შემცირება<br>კონტროლთან<br>შედარებით % |
|---|--|---|--|----------------|---|-----------------------|--|
|   |  |   |  |                | დამუშავებამდე                               | დამუშავების<br>შემდეგ |  |
| 1 | შესასწავლი<br>პრეპარატი<br>ავანტი                                | 0,02                                    | 0,2                                    | 1              | 7   | 2                     | 83,0   |
|   |  |   |  | 2              | 7   | 2                     | 85,7   |
|   |  |   |  | 3              | 6   | 2                     | 81,3   |
|   |  | 0,025                                   | 0,25                                   | საშ            | 6,6   | 2,0                   | 83,3   |
|   |  |   |  | 1              | 8   | 1                     | 93,2   |
|   |  |   |  | 2              | 8   | 0                     | 100  |
|   |  | 0,03                                    | 0,3                                    | 3              | 6   | 0                     | 100  |
|   |  |   |  | საშ            | 7,3   | 0,33                  | 97,7   |
|   |  |   |  | 1              | 6   | 0                     | 100  |
|   |  |   |  | 2              | 6   | 0                     | 100  |
|   |  |   |  | 3              | 9   | 1                     | 94,7   |
|   |  |   |  | საშ            | 6,6   | 0,33                  | 98,0   |
| 2 | ეტალონი<br>(ფოზალონი)  | 0,2                                     | 2,0                                    | 1              | 8   | 3                     | 79,6   |
|   |  |   |  | 2              | 8   | 4                     | 75,0   |
|   |  |   |  | 3              | 7   | 3                     | 78,6   |
|   |  |   |  | საშ            | 7,7   | 3,3                   | 77,4   |
| 3 | კონტროლი<br>(ინსექტიციდ<br>ებით<br>დაუმუშავებე<br>ლი<br>ფართობი) | -                                       | -                                      | 1              | 6   | 11                    | -  |
|   |  |   |  | 2              | 6   | 12                    | -  |
|   |  |   |  | 3              | 7   | 14                    | -  |
|   |  |   |  | საშ            | 6,3   | 12,3                  | -  |

**პრეპარატ ავანტი-ს ბიოლოგიური ეფექტურობა ყურმნის ჭიის (II თაობა) წინააღმდეგ დასავლეთ  
საქართველოში (ბალდათის რაიონი, სოფელი დიმი)**

**№5ცხრილი**

| № | გარიანტი   | სამუშაო<br>ხსნარის<br>კონცენტრაცია<br>% | პრეპარატის<br>ხარჯვის<br>ნორმა<br>ლ/ჰა | განმეო<br>რება | ყოველ 100 ყვავილედზე<br>მატლების რიცხოვნობა |                       | მატლების რიცხოვნობის<br>შემცირება<br>კონტროლთან<br>შედარებით % |  |  |
|---|--|---|--|----------------|---|-----------------------|--|--|--|
|   |  |   |  |                | დამუშავებამდე                               | დამუშავების<br>შემდეგ |  |  |  |
| 1 | შესასწავლი<br>პრეპარატი<br>ავანტი                                | 0,02                                    | 0,2                                    | 1              | 11  | 3                     | 81,8   |  |  |
|   |  |   |  | 2              | 10  | 3                     | 81,1   |  |  |
|   |  |   |  | 3              | 12  | 4                     | 79,2   |  |  |
|   |  | 0,025                                   | 0,25                                   | საშ            | 11,3  | 3,3                   | 80,7   |  |  |
|   |  |   |  | 1              | 12  | 1                     | 94,4   |  |  |
|   |  |   |  | 2              | 12  | 1                     | 94,6   |  |  |
|   |  | 0,03                                    | 0,3                                    | 3              | 10  | 0                     | 100  |  |  |
|   |  |   |  | საშ            | 11,3  | 0,66                  | 96,3   |  |  |
|   |  |   |  | 1              | 10  | 0                     | 100  |  |  |
|   |  |   |  | 2              | 10  | 0                     | 100  |  |  |
|   |  |   |  | 3              | 11  | 1                     | 94,3   |  |  |
|   |  | 0,03                                    | 0,3                                    | საშ            | 10,3  | 0,33                  | 98,1   |  |  |
|   |  |   |  | 1              | 11  | 3                     | 81,3   |  |  |
|   |  |   |  | 2              | 10  | 3                     | 81,1   |  |  |
|   |  |   |  | 3              | 12  | 4                     | 79,2   |  |  |
| 2 | ეტალონი<br>ფოზალონი  | 0,2                                     | 2,0                                    | საშ            | 11,0  | 3,3                   | 80,5   |  |  |
|   |  |   |  | 1              | 12  | 3                     | 81,3   |  |  |
|   |  |   |  | 2              | 12  | 3                     | 81,1   |  |  |
|   |  |   |  | 3              | 12  | 4                     | 79,2   |  |  |
|   |  | -                                       | -                                      | საშ            | 11,5  | 18,0                  | -  |  |  |
| 3 | კონტროლი<br>(ინსექტიცი<br>დებით<br>დაუმუშავებ<br>ელი<br>ფართობი) |   |  | 1              | 12  | 18                    | -  |  |  |
|   |  |   |  | 2              | 12  | 19                    | -  |  |  |
|   |  |   |  | 3              | 10  | 16                    | -  |  |  |
|   |  |   |  | საშ            | 11,5  | 18,0                  | -  |  |  |

**პრეპარატი ავანტი-ს სამეურნეო ეფექტურობა  
(დეოფლისტყარო - სოფელი ზემო მაჩხაანი, ბალდათი – სოფელი დიმი)**

ცხრილი №6

| გარიანტი   | მოსავალი ც/კა            |                        |
|--|--------------------------|------------------------|
| შესასწავლი<br>პრეპარატი  | აღმოსავლეთს<br>აქართველო | დასავლეთსა<br>ქართველო |
| ავანტი<br>0,02%  | 68,1                     | 51,2                   |
| ავანტი<br>0,025%   | 73,0                     | 58,6                   |
| ავანტი 0,03%   | 73,2                     | 58,9                   |
| ეტალონი<br>(ზოლონი<br>0,2%)                                      | 60,1                     | 46,6                   |
| კონტროლი<br>(ინსექტიციდ<br>ებით<br>დაუმუშავებე<br>ლი<br>ფართობი) | 45,6                     | 39,2                   |

## ყურძნის ჭიის წინააღმდეგ დეცის პროფის გამოცდის შედეგები

დეცის პროფი 25 გ/კგ წხევ „ბაიერ კროპსაენსი“ გერმანია, მოქმედი ნივთიერების სახელმოდება (ISO და IUPAC-ით): ISO – დელტამეტრინი IUPAC - (S) - α - ციანო - 3 - ფენოქსიბენზილ (1R,3R) - 3- (2,2-დიბრომვინილ) დიმეთილციკლოპროპანკარბოქსილატი; კონცენტრაცია: 250გ/კგ; პრეპარატული ფორმა: წყალსნადი გრანულა; ქიმიური კლასი: პირეტროიდები; გამოცდის ზონა: აღმოსავლეთ საქართველო – დედოფლისწყარო - ზემო მაჩხაანი, დასავლეთ საქართველო – ბალდათი - დიმი; კულტურა: ვაზი; მავნე ობიექტი: ყურძნის ჭია; გამოყენების ხერხი და ვადა (კულტურის მავნე ობიექტის განვითარების ფაზა, დამუშავების ტექნოლოგია და ჯერადობა): ყვავილობის წინ და ყვავილობის შემდეგ, მავნებლის I და II თაობის მატლების წინააღმდეგ ორჯერადი შესხურება; სამუშაო სითხის ხარჯვა: 800-1000ლ/ჰა; პრეპარატის შეტანის ტექნიკა: OH-10; ნაკვეთის ზომები: 0,5 ჰა; ნიმუშების და ეტალონების მოცულობა: 0,5 ჰა; ცდის შეფასება (აღრიცხვის საერთო პარამეტრები): აღრიცხვა ფოთლებზე და ნაყოფებზე; ცდის სქემა: საცდელი ვარიანტი, სტანდარტი (ეტალონი), კონტროლი. საცდელ ვარიანტში გამოყენებული იყო დეცის პროფი ორჯერადად ყურძნის ჭიის მატლის მიმართ. ეტალონში გამოყენებული იყო იგვე სქემა, ოღონდ შესხურდა დეცისი, 2,5%-იანი, კონტროლი - შეუსხურებელისმცენარეები; მავნე ორგანიზმები მოქმედების მექანიზმები: მწერებზე მოქმედებს კონტაქტურად და ორალურად; დაცვითი მოქმედების ხანგძლივობა: დამოკიდებულია ამინდის პირობებზე - 5-დან 20 დღემდე; სხვადასხვა პრეპარატებთან შეთავსება: დეცის პროფი ეთავსება მცენარეთა დაცვაში გამოყენებული პრეპარატების უმრავლესობას; ეფექტურობა შეადგენს 97-98%-ს; ფიტოტოქსიკურობა: რეკომენდებულ დოზებში ფიტოტოქსიკურობას არ ამჟღავნებს; რეზისტენტობის წარმოქმნის

|                                      |   |                          |                |                                      | 3  | 7    | 14   |
| გამოსაპვლვი<br>პრეპარატი<br>ტალსტარი | 0,03                                    | 0,3                      | 1              | 8                                    | 100  | 94,9 | 96,8 |
|                                      |   |                          | 2              | 10                                   | 91,0   | 95,2 | 92,6 |
|                                      |   |                          | 3,             | 10                                   | 92,3   | 95,5 | 93,1 |
|                                      |   |                          | 4              | 9                                    | 90,9   | 95,0 | 96,0 |
|                                      |   |                          | საშ            | 9,3                                  | 93,5   | 95,0 | 94,6 |
|                                      | 0,04                                    | 0,4                      | 1,             | 10                                   | 100  | 100  | 97,4 |
|                                      |   |                          | 2              | 7                                    | 100  | 100  | 100  |
|                                      |   |                          | 3              | 10                                   | 92,6   | 95,5 | 96,2 |
|                                      |   |                          | 4              | 10                                   | 92,3   | 95,4 | 96,5 |
|                                      |   |                          | საშ            | 9,3                                  | 96,2   | 97,7 | 97,5 |
| ეტალონი<br>(კარატე)                  | 0,05                                    | 0,5                      | 1              | 9                                    | 92,2   | 95,5 | 94,3 |
|                                      |   |                          | 2              | 8                                    | 90,0   | 94,0 | 90,8 |
|                                      |   |                          | 3              | 10                                   | 85,0   | 91,0 | 90,0 |
|                                      |   |                          | 4              | 7                                    | 88,0   | 93,6 | 95,0 |
|                                      |   |                          | საშ            | 8,5                                  | 88,8   | 93,5 | 92,5 |
|                                      |   |                          | 1              | 7                                    | -  | -    | -    |
|                                      |   |                          | 2              | 10                                   | -  | -    | -    |
|                                      |   |                          | 3              | 10                                   | -  | -    | -    |
|                                      |   |                          | 4              | 9                                    | -  | -    | -    |
|                                      |   |                          | საშ            | 9                                    | -  | -    | -    |

ადსანიშნავია, რომ პრეპარატი ტალსტარი არ გამოირჩევა ფიტოტოქსიკურობით, კარგად ეთავსება სხვა ჯგუფის ინსექტიციდებს, აკარიციდებს და ფუნგიციდებს.

პრეპარატ ტალსტარი 10 ეპ-ს გამოყენება ვაზის კულტურაზე ქლიავის (ვაზის) აბლაბუდიანი ტკიპას წინააღმდეგ მიზანშეწონილია 0,4 ლ/ჸა ხარჯვის ნორმით. მოცემული ხარჯვის ნორმა სასურველ ეფექტს იძლევა როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში.

### **პრეპარატ ბი-58-ახალი-ის გამოცდის შედეგები ვაზზე ცრუფარიანების წინააღმდეგ**

მოქმედი ნივთიერება - ISO –დიმეტოატი, IUPAC - 0,0, დიმეტილ ს-მეთილკარბამოილმეთილფოსფოროდითოატი, კონცენტრაცია - 400გ/ლ, პრეპარატული ფორმა - ემულსიის კონცენტრატი, ქიმიური კლასიფიცირობრივი კატეგორია - ემულსიის ინსექტიციდი, მოქმედების მექანიზმი: კონტაქტური და სისტემური მოქმედების ინსექტოაკარიციდი, მწერის ორგანიზმში მოხვედრისას იწვევს ორგანიზმის ნერვულ-კუნთოვანი სისტემის ფუნქციის მოშლას, რაც განპირობებულია ფერმენტ ქოლინესტერაზას ინჰიბირებით, დაცვითი მოქმედების ხანგრძლივობა შეადგენს 14 დღეს, ხასიათდება მოქმედების ფართო სპექტრით, კარგად ეთავსება სხვა სახის პრეპარატებს, (გარდა ტუტე და გოგირდშემცველი პრეპარატებისა), რეკომენდებული ხარჯვის ნორმებში არაფიტოტოქსიკურია, რეზისტენტობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სხვა ჯგუფის ინსექტიციდებით მისი შენაცვლება.

საგელე ცდები მიმდინარეობდა ზემოთ განხილული სქემის მიხედვით. წამლობა ჩატარდა ვაზის ისრიმობის ფაზაში. ცდების შედეგები მოყვანილია ცხრილებში.

ბი-58 ახალი-ს ბიოლოგიური ეფექტურობა ვაზის ბალიშა ცრუფარიანას წინააღმდეგ დასავლეთ  
საქართველოში (ბადდათის რაიონი, სოფელი დიმი)

ცხრილი №38

| № | ვარიანტი   | სამუშაო<br>ხსნარის<br>კონცენტრ<br>აცია% | ხარჯვის<br>ნორმა<br>ლ/ჰა | განმე<br>ორება | წამლობამდე<br>მაგნებლის<br>რიცხოვნობა | მაგნებლის რიცხოვნობის შემცირება<br>კონტროლთან შედარებით % |       |       |       |
|---|--|---|--------------------------|----------------|---------------------------------------|---|-------|-------|-------|
|   |  |   |                          |                |                                       | 3   | 7     | 14    | 21    |
| 1 | შესასწავლი<br>პრეპარატი<br>ბი-58 ახალი                   | 0,15                                    | 1,5                      | 1              | 4                                     | 93,4  | 93,0  | 93,0  | 92,4  |
|   |  |   |                          | 2              | 5                                     | 92,1  | 92,1  | 92,0  | 91,4  |
|   |  |   |                          | 3              | 7                                     | 94,2  | 93,0  | 92,1  | 91,0  |
|   |  |   |                          | 4              | 2                                     | 93,7  | 94,1  | 93,8  | 92,6  |
|   |  |   |                          | საშ            | 4,5                                   | 93,4  | 93,5  | 92,7  | 91,85 |
|   | ეტალონი<br>საფაგორი                                      | 0,2                                     | 2,0                      | 1              | 3                                     | 100   | 100   | 100   | 98,0  |
|   |  |   |                          | 2              | 6                                     | 100   | 100   | 100   | 97,6  |
|   |  |   |                          | 3              | 7                                     | 92,6  | 95,5  | 99,0  | 98,4  |
|   |  |   |                          | 4              | 5                                     | 92,3  | 95,4  | 98,0  | 98,0  |
|   |  |   |                          | საშ            | 5,25                                  | 99,40   | 99,30 | 99,25 | 98,0  |
| 2 | კონტროლი(ინსე<br>ქტიციდებით<br>დაუმუშავებელი<br>ფართობი) | 0,5                                     | 5,0                      | 1              | 4                                     | 92,2  | 95,5  | 94,3  | 96,8  |
|   |  |   |                          | 2              | 8                                     | 90,0  | 94,0  | 90,8  | 92,6  |
|   |  |   |                          | 3              | 6                                     | 85,0  | 91,0  | 90,0  | 93,1  |
|   |  |   |                          | 4              | 3                                     | 88,0  | 93,6  | 95,0  | 96,0  |
|   |  |   |                          | საშ            | 5,25                                  | 96,5  | 95,5  | 94,5  | 94,0  |
|   |  |   |                          | 1              | 4                                     | —   | —     | —     | —     |
| 3 | —  | —                                       | —                        | 2              | 7                                     | —   | —     | —     | —     |
|   |  |   |                          | 3              | 7                                     | —   | —     | —     | —     |
|   |  |   |                          | 4              | 9                                     | —   | —     | —     | —     |
|   |  |   |                          | საშ            | 6,75                                  | —   | —     | —     | —     |
|   |  |   |                          | —              | —                                     | —   | —     | —     | —     |

როგორც მონაცემებიდან ჩანს, ბი-58 ახალი ავლენს მაღალ ბიოლოგიურ ეფექტურობას (ხარჯვის ნორმა 2,0 ლ/ჰა) მოცემული მავნებლის მიმართ. ადსანიშნავია, რომ ეს პრეპარატი ფართო სპექტრის მოქმედებით გამოირჩევა, ამიტომ ერთი წამლობით ხდება ვაზის ძირითადი მავნებლების რამდენიმე სახეობის მიმართ ბრძოლა, რაც მეტად მნიშვნელოვანია ეკოლოგიური უსაფრთხოების მოსაზრებიდან გამომდინარე.

## თ ა ვ ი IV

### ინსექტიციდების გავლენა დასაცავ მცენარეზე

მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიურ საშუალებების გამოყენების გაფართოებამ განაპირობა დასაცავი მცენარეების ზრდა - განვითარებისა და ქიმიურ ცვლილებებზე მათი გავლენის შესწავლის აუცილებლობა.

მკვლევართა მონაცემებით, მცენარეთა დაცვის პრაქტიკაში გამოყენებული ნაერთები ღრმა ფიზიოლოგიურ ზემოქმედებას ახდენენ როგორც ერთწლიან, ისე მრავალწლიან კულტურებზე. კერძოდ მცირე ნორმები იწვევენ მცენარის სტიმულირებას, დიდი ნორმები კი მის ინჰიბირებას.

პირველი გამოკვლევები, რომლებიც ჩატარდა მცენარეზე ინსექტიციდების გავლენის შესასწავლად, უმთავრესად ეხებოდა არაორგანული ინსექტიციდებისა და ნავთობის ზეთებს /ედელმანი 1950/. არის მონაცემები იმის შესახებ, რომ ორგანული ნაერთები ძირითადად მასტიმულირებლად მოქმედებენ, არაორგანული კი ზიანის მომტანია მცენარისათვის /ლუპოვა 1961/.

ვ. ბაბის მონაცემებით /1966/ ხეხილზე გამოსაყენებელი ქიმიური საშუალებები, ახდენენ რა გავლენას მცენარეული ორგანიზმების ფიზიოლოგიურ პროცესებზე: სუნთქვა, ფერმენტული აქტიობა, ნახშირწყლების შემცველობა და სხვა, იწვწვენ მათი ნორმალური მიმდინარეობის დროებით შეცვლას, რაც შემდეგში მდგომარეობს: მცირდება ქლოროფილის შემცველობა, ფერხდება ფოთლებიდან ნახშირწყლების უკუგდება, სუსტდება ნივთიერებათა ცვლის მიმართულება, შემდეგ ყველა ეს პროცესი შესამჩნევად აქტიურდება. რაც გავლენას ახდენს მცენარის ზრდა-განვითარებაზე.

ცნობილია, რომ მცენარეში მიმდეინარე ნივთიერებათა ცვლაზე ფოსფოროგანული პრეპარატების მოქმედება მუდავნდება ჰიდროლიზის დროს, რაც კარგად შეიმჩნევა დამუშავების პირველ დღეებში, როდესაც მცენარეებში ხდება ფიზიოლოგიური პროცესების ნორმალური მიმდინარეობის დარღვევა. /ვ. ბაბი, 1960, გ. გერასიმოვი 1964, დ. ბლაგონრავოვა 1967, 1972, კ. ბოგდარინა 1952 - 1961/.

მრავალი მკვლევარის მონაცემებით /დ. ბლაგონრავოვა 1972, ლ. მამალაძე 1988, ე. ორჯონიკიძე 1975, თ. კილურაძე, ე. ორჯონიკიძე 1977, გ. გეგენავა 1984/ დადასტურებულია, რომ ფოსფოროგანული და ქლორორგანული პესტიციდები, რეკომენდებულ კონცენტრაციებში იწვევენ შაქრებისა და ვიტამინ C-ს შემცველობის ზრდას მცენარის ფოთლებსა და ნაყოფებში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს დასაცავი მცენარის ცხოველმყოფელობის აღსადგენად.

ცნობილია, რომ სინთეზური პირეტროიდებით დამუშავების შედეგად შეინიშნება მცენარის დაჩქარებული ზრდა და მოსავლის მომატება. ნ. დათუკიშვილის მონაცემებით /1991, 1994/ პირეტროიდული პრეპარატები- ციმბუში, როვიკურტი, იზატრონი, დეცისი, სუმიციდინი იწვევენ ფოტოსინთეზისა და ტრანსპირაციის ინტენსივობის ზრდას, აგრეთვე მარტივი და რთული შაქრების შემცველობის ზრდას ნაყოფებში. მისივე მონაცემების თანახმად, ეს პრეპარატები ზრდიან ვაზის ყლორტის სიგრძეს.

ანალოგიური საკითხებისადმი არის მიძღვნილი ჩუბინიშვილისა და დათუკიშვილის შრომაც /1989/.

სინთეზური პირეტროიდების დადებით გავლენაზე მცენარეებში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებზე მიუთითებენ /ქ. ჩხაიძე /1994/, ნ. ლეკვეიშვილი, ე. ორჯონიკიძე და სხვა /1986/, მ. მაჭავარიანი, ე. ორჯონიკიძე, თ. სეინიშვილი /1986/.

## პირეტროიდული პრეპარატის (დეცის პროფი) გავლენა დასაცავ მცენარეზე

საველე პირობებში შესწავლილი იქნა წინა თავში მოყვანილი პირეტროიდის - დეცის პროფი - გავლენა ვაზის რქის ზრდის დინამიკაზე, მოსავლიანობის ზოგიერთ ელემენტზე და ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე. ზრდის მაჩვენებლები იზომებოდა ვიზუალური დაკვირვებით. ფოტოსინთეზის ინტენსივობა განისაზღვრა კოლორიმეტრული მეთოდით, სუნთქვის აქტივობა- გამოყოფილი CO<sub>2</sub>-ის ოდენობით. გარდა ამისა განსზღვრულ იქნა ნახშირწყლების რაოდენობა ბერტრანის მეთოდით / ა. ერმაკოვი 1952/.

ვაზის რქის ზრდის დინამიკაზე და მოსავლიანობაზე პირეტროიდების გავლენის შესასწავლი ცდების სქემა იყო შემდეგი: პრეპარატი დეცის პროფი, გამოიცადა 0,1%-იანი კონცენტრაციით, ეტალონად აღებული იყო ფოზალონის 0,2%-იანი ემულსია.

მთავარი კვირტებიდან განვითარებული ყლორტების ზრდის დინამიკა შესწავლილი იქნა 10-10 ვაზზე, საცდელი ვაზები აგროტექნიკით გათვალისწინებული ერთნაირი მოვლის პირობებში იყვნენ.

ყლორტების სიგრძის გაზომვა წარმოებდა ყოველ 10 დღეში ერთხელ, დაწყებული შესხურების მომენტიდან ერთი თვის შემდეგ. ჩატარებული აღრიცხვების შედეგები მოყვანილია №40 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს ჩვენს მიერ გამოყენებული პირეტროიდის შესხურების შემდეგ შეიმჩნევა რქის ინტენსიური ზრდა ეტალონთან და კონტროლთან შედარებით.

**დეცის პროფილ დამუშავებული ვაზის მთავარი კვირტიებიდან  
განვითარებული ყლორტების ზრდის მაჩვენებლები**

ცხრილი №39

| ვარიანტი              | ყლორტის სიგრძე სმ-ში |        |      |      |        |       |       |
|-----------------------|----------------------|--------|------|------|--------|-------|-------|
|                       | მასი                 | ივნისი |      |      | ივლისი |       |       |
|                       |                      | 25     | 5    | 15   | 25     | 6     | 16    |
| დეცის პროფი           | 47,8                 | 69,8   | 78,5 | 95,6 | 114,4  | 122,1 | 130,6 |
| ეტალონი<br>(ფოზალონი) | 46,9                 | 58,0   | 68,0 | 78,6 | 104,3  | 110,8 | 123,5 |
| საკონტროლო            | 45,0                 | 52,5   | 63,5 | 72,2 | 98,0   | 102,5 | 121,0 |

მოსავლიანობის მაჩვენებლები ისწავლებოდა იმავე ვაზებზე, იგივე პრეპარატების შესაბამისი კონცენტრაციების გამოყენებით. მოსავლის აღრიცხვა წარმოებდა ყოველი ვაზიდან სანაყოფეზე დატოვებული კვირტებიდან განვითარებული ყლორტების მიხედვით. სააღრიცხვოდ შერჩეული იქნა მცენარეები, რომლებზედაც დატოვებული კვირტების რაოდენობა 20-ს შეადგენდა. აღრიცხვების შედეგები ნაჩვენებია №40 ცხრილში.

სინთეზური პირეტროიდით (დეცის პროფი) შესხურებულ ვაზზე  
განვითარებული ყლორტების რაოდენობისა და მსხმოიარობის  
მაჩვენებლები

3 броя №40

| ვარიანტი              | განვითარებული<br>ეკონომიკური<br>ტერიტორია | განვითარებული<br>ეკონომიკური<br>ტერიტორია | მოსავლიანი<br>ელორტების |       | მტკბარეობის<br>რაოდ. | %    | მტკბარეობის<br>საშ. | საშ. | მოსავლიანი<br>ტერიტორია | მოსავლიანი<br>ტერიტორია |
|-----------------------|---|---|-------------------------|-------|----------------------|------|---------------------|------|-------------------------|-------------------------|
|                       |   |   | რაოდ.                   | %     |                      |      |                     |      |                         |                         |
| დეცის პროფი           | 25,6                                      | 111,3                                     | 16,8                    | 119,1 | 26,8                 | 156  | 2,6                 | 78,0 |                         |                         |
| ეტალონი<br>(ფოზალონი) | 25,4                                      | 110,4                                     | 16,1                    | 114,2 | 20,0                 | 92,3 | 2,0                 | 60,0 |                         |                         |
| საკონტროლო            | 23,0                                      | 100,0                                     | 14,1                    | 100,0 | 17,4                 | 87,5 | 1,9                 | 57,0 |                         |                         |

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ დეცისის შემთხვევაში თვალსაჩინოა მოსავლიანი ყლორტების რაოდენობის ზრდა, აგრეთვე მტევნის მასის ზრდა, ასევე მომატებულია საშუალო მოსავალი თითოეულ ვაზზე, და საბოლოოდ მოსავალიც მეტია ეტალონთან და კონტროლთან შედარებით.

ფიზიოლოგიური მაჩვენებლების დასადგენად აღებული იქნა  
ერთნაირ პირობებში განვითარებული ფოთლის ნიმუშები  
შესხურებიდან მეტა, მეთხუტმეტე და ოცდამეტუთე დღეს. შედეგები  
მოყვანილია 41-ე ცხრილში.

**პირეტროიდული პრეპარატით (დეცის პროფი) შესხურებულ ვაზის  
ფოთლებში ფოტოსინთეზის ინტენსივობის მაჩვენებლები**

**ცხრილი №41**

| ვარიანტი              | 1 გ ფოთლის მიერ 1 სთ-ში შეთვისებული CO2- მგ-ში |                              |             |                              |          |                              |
|-----------------------|--|------------------------------|-------------|------------------------------|----------|------------------------------|
|                       | შესხურების მე-5-ე<br>დღე                       |                              | მე-15-ე დღე |                              | 25-ე დღე |                              |
|                       | მგ-ით  | %კონტრ<br>ოლთან<br>შედარებით | მგ-ით       | %კონტრ<br>ოლთან<br>შედარებით | მგ-ით    | %კონტრ<br>ოლთან<br>შედარებით |
| დეცის პროფი           | 5,35   | 109,2                        | 6,9         | 115,0                        | 6,9      | 135,0                        |
| ეტალონი<br>(ფოზალონი) | 5,00   | 102,0                        | 6,2         | 103,3                        | 5,2      | 101,8                        |
| საკონტროლო            | 4,9  | 100                          | 6,0         | 100                          | 5,11     | 100                          |

როგორც ცხრილიდან ჩანს, ფოტოსინთეზის ინტენსივობა ყველა ვარიანტში კონტროლთან და ეტალონთან შედარებით მომატებულია, რაც დადებით მოვლენად უნდა ჩავთვალოთ.

ტრანსპირაცია მცენარეში მიმდინარე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასიცოცხლო პროცესია. იგი მჭიდრო კავშირშია ფოტოსინთეზთან. აქედან გამომდინარე პირეტროიდების შესხურებისას ტრანსპირაციის ინტენსივობაც იმატებს მცენარეში, შედეგები მოყვანილია №42 ცხრილში.

ფოტოსინთეზისა და ტრანსპირაციის პარალელურად ისწავლებოდა სუნთქვის პროცესიც. ცდებმა აჩვენა, რომ დეცისით შესხურებული

მცენარის სუნთქვის ინტენსიურობა მომატებულია ეტალონთან და  
კონტროლთან შედარებით. მონაცემები მოყვანილია №43 ცხრილში.

**ტრანსპირაციის ინტენსივობის მაჩვენებლები  
პირეტროიდული პრეპარატით (დეცის პროფი) შესხურებულ ვაზის  
ფოთლებში**

ცხრილი №42

| გარიანტი              | 100 სმ <sup>2</sup> -ფოთლის მიერ 1 საათის აორთქლებული წყალი გ-ით. |                              |                          |                              |                          |                              |
|-----------------------|---|------------------------------|--------------------------|------------------------------|--------------------------|------------------------------|
|                       | შესხურების მე-5-ე<br>დღე  |                              | მე-15-ე დღე              |                              | 25-ე დღე                 |                              |
|                       | აბსოლ<br>იტური<br>რიცხვი  | %კონტრ<br>ოლთან<br>შედარებით | აბსოლ<br>იტური<br>რიცხვი | %კონტრ<br>ოლთან<br>შედარებით | აბსოლ<br>იტური<br>რიცხვი | %კონტრ<br>ოლთან<br>შედარებით |
| დეცის პროფი           | 6,8   | 151,1                        | 3,3                      | 117,9                        | 4,4                      | 115,8                        |
| ეტალონი<br>(ფოზალონი) | 4,7   | 104,4                        | 3,0                      | 107,1                        | 3,9                      | 102,6                        |
| საკონტროლო            | 4,5   | 100                          | 2,8                      | 100                          | 3,8                      | 100                          |

**სუნთქვის ინტენსივობის მაჩვენებლები სინთეზური პირებროიდით  
(დეცის პროფი) შესხურებული გაზის ფოთლებში**

ცხრილი №43

| გარიანტი              | 1 გ ფოთლის მიერ 1 სთ-ში გამოყოფილი CO2-მლ/გ-ში |                              |             |                              |          |                              |
|-----------------------|--|------------------------------|-------------|------------------------------|----------|------------------------------|
|                       | შესხურების მე-5-ე<br>დღე                       |                              | მე-15-ე დღე |                              | 25-ე დღე |                              |
|                       | მლ/გ   | %კონტრ<br>ოლთან<br>შედარებით | მლ/გ        | %კონტრ<br>ოლთან<br>შედარებით | მლ/გ     | %კონტრ<br>ოლთან<br>შედარებით |
| დეცის პროფი           | 5,5  | 137,5                        | 7,0         | 118,6                        | 6,24     | 124,8                        |
| ეტალონი<br>(ფოზალონი) | 4,2  | 105,0                        | 6,0         | 101,7                        | 6,1      | 122,0                        |
| საკონტროლო            | 4,0  | 100                          | 5,9         | 100                          | 5,0      | 100                          |

ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგების საფუძველზე მიღებული ზემოდმოყვანილი მასალები მოწმობენ, რომ სინთეზური პირებროიდული ინსექტიციდი დეცის პროფი აჩქარებს და აძლიერებს გაზის რქის ზრდის პროცესს, აუმჯობესებს მოსავლიანობას და ახდენს მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების გააქტივებას.

## **ვაზის ნაყოფზე თანამედროვე პესტიციდების გავლენის შედეგები**

თანამედროვე ინსექტიციდების გავლენის შესწავლის მიზნით მიერ შესწავლილი იქნა ჩვენს მიერ გამოცდილი ახალი პრეპარატების დაშლის დინამიკა ყურძნის ნაყოფებში, დადგენილი იქნა ზღვის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები პროდუქციაში უკალა გამოყენებული პრეპარატის შემთხვევაში.

გარემოს დაცვის თანამედროვე ეტაპზე პესტიციდების პრობლემა წამყვანია ადამიანის, ცხოველების, მცენარეების და მიკროორგანიზმებისათვის ბიოსფეროს ხელსაყრელი პირობების შენარჩუნების საკითხში. ეს პრობლემა წამყვანია არამარტო სოფლის მეურნეობისა და მედიცინის დარგებისათვის, არამედ უპირველეს ყოვლისა, იგი ზოგადბიოლოგიურია და მისი გადაწყვეტა შეუძლებელია ეკოსისტემებისა და ბიოსფეროს შემადგენლობაზე მუდმივი დაკვირვების გარაშე.

პესტიციდების მოხვედრა ადამიანის ორგანიზმში შესაძლებელია ჰაერიდან, წყლიდან და განსაკუთრებით საკვები პროდუქტებიდან. ამიტომ საკვებ პროდუქტებში მათი ნაშთის არსებობის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია. ადსანიშნავია რომ, პესტიციდების გამოყენების მასშტაბები სულ უფრო იზრდება, იზრდება მათი ასორტიმენტიც. ეს კი თხოულობს მუდმივ ყურადღებას და იმ აუცილებელი პირობების შესრულებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი გამოყენების უსაფრთხოებას.

ადამიანის ორგანიზმზე და გარემოზე პესტიციდების შესაძლო მავნე გავლენის პროფილაქტიკის ერთ-ერთი გზაა მცენარეში

პრეპარატების დაშლის დინამიკისა და მათი „ლოდინის პერიოდის“ დადგენა.

დასაცავ მცენარეში ქიმიურ საშუალებათა ტრანსლოკაციისა და ტრანსფორმაციის პროცესები განისაზღვრება, როგორც მემცნარეობაში მათი გამოყენების სტრატეგიისა და ტაქტიკის ძირითადი შემადგენელი ელემენტები / ნ. მელნიკოვი 1978, ტ. პეტროვა 1987/.

აუცილებელია პესტიციდების გამყენების დიფერენცირებული სისტემების შედგენა სხვადასხვა კლიმატურ-გეოგრაფიული ზონებისათვის, რადგანაც მცენარეში პესტიციდების შეღწევისა და დაშლის დინამიკა, აგროვე ნაშთების მდგრადობა და პრეპარატის „დაშლის პერიოდის“ მაჩვენებლები, გარდა მათი ფიზიოლოგიური თვისებებისა, შესხეულების პირობების და სხვა ფაქტორებისა, დამოკიდებულია მცენარეში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებზე და კლიმატურ - გეოგრაფიულ პირობებზე / ვ. კასპაროვი 1990, ს. თაქთაქიშვილი და თანაავტორები 1976, ტ. პეტროვა 1987/.

პესტიციდების რაციონალური და უსაფრთხო გამოყენებისადმი მიძღვნილია მრავალი ავტორის შრომა: / მელნიკოვი და თანაავტორები 1984, ნ. მელნიკოვი, ს. ბელანი 1998/, რომლებშიც გაშუქებულია ინსექტიციდების გარემოში დაშლასთან დაკავშირებული ძირითადი მომენტები.

მ. ლუნევი /1988/ აღნიშნავს რა ფოსფოროგანული პრეპარატების ნაკლებ მდაგრადობას ქლორორგანულ პესტიციდებთან შედარებით, მიუთითებს მათი დაშლის ხანგრძლივობაზე სხვადასხვა ფაქტორების შესწავლის აუცილებლობას, მისი აზრით, მცენარეში პესტიციდების ნაშთის სიდიდე დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომელთაგან მნიშვნელოვანია :

1. პრეპარატის ფიზიკო-ქიმიური თვისებები - სველებადობა, მიმკვრელობა, ნაწილაკების ზომა და ფორმა, მდგრადობა სინათლისა და ტემპერატურის მიმართ.

2. დამუშავების პირობები, მეთოდები, ჯერადობა, აპარატურის ტიპი, პრეპარატების ხარჯვის ნორმა და სხვა.

3. მცენარისა და მისი ნაწილების თვისებები, ზედაპირის ხასიათი, განვითარების სტადია, ფერმენტული აქტივობა.

4. მეტეოროლოგიური პირობები დამუშავებისა და მის შემდგომ პერიოდში, პაერის ტემპერატურა, სინესტე, ნალექების რაოდენობა, პაერის მოძრაობის სიჩქარე, რადიაცია.

სხვადასხვა ჯგუფის პრეპარატების ქცევა გარემოში ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულია. ცნობილია, რომ ფოსფორორგანული პრეპარატები მეტაბოლიზმის პროცესში განიცდიან ჰიდროლიზურ და ჟანგვით გარდაქმნებს, დეალკილირიზებიან და დეალირდებიან, რის შედეგადაც ხდება მათი დეტოქსიკაცია უკნებელი ნაერთების წარმოქმნის შედეგად / ნ. მელნიკოვი 1998/.

მცენარის ინტენსიური ზრდა ამცირებს პრეპარატების ნაშთების რაოდენობას მცენარეული მასის გაზრდისა და გაძლიერებული ფერმენტული პროცესების ხარჯზე.

მრავალი ავტორი ამტკიცებს, რომ მცენარეულ პროდუქტებში კონტაქტური ფოსფორორგანული პრეპარატების დაშლა მიმდინარეობს რამოდენიმე დღე-დამიდან 2-3 კვირის მანძილზე. სისტემურისა რამოდენიმე კვირიდან 3-4 თვემდე.

ინგლისელი მკვლევარების მიერ /1995 რეფაი/ შესწავლილ იქნა მიწის ზედაპირზე ქარის გავლენა სხვადასხვა პრეპარატის დაშლის ხანგრძლივობაზე. აღმოჩნდა, რომ ქარის სხვადასხვა სიჩქარის შემთხვევაში დაშლის სიჩქარე განსხვავებული იყო. მის მიერვე

დადგენილ იქნა, რომ ტემპერატურის გაზრდა  $27^{\circ}\text{C}$  დან  $43^{\circ}\text{C}$  მდე  $2-3$  ჯერ ზრდის პრეპარატების დაშლის სიჩქარეს.

პესტიციდების დაშლის დინამიკაზე დამუშავების ჯერადობის გავლენის შესახებ არსებობს მოსაზრება, რომ მრავალჯერადი დამუშავება შეიძლება მცენარეში პესტიციდების ნაშთის გაზრდის მიზეზი გახდეს.

ყურძენში ფოსფოროგანული პრეპარატების დაშლი სიჩქარის განსაზღვრის შედეგადად გ. გეგენავას /1984/ მიერ მითითებულია, რომ საქართველოს პირობებში ლოდინის პერიოდი შეადგენს 45-30 დღეს.

ფართო კვლევებია ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურებში პესტიციდების დაშლის დინამიკის შესასწავლად. /გ. ადეიშვილი, ე. ორჯონიკიძე 1978, გ. ადეიშვილი, ე. ორჯონიკიძე, ლ. მამალაძე 1986/.

რაც შეეხება პირეტროიდებს, არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ მათი ფოტოლიზური დაშლის პროდუქტები მიიღება იზომერიზაციისა და დეპალოგენირების პროცესების შედეგად. /გ. ბერეზინი 1985/. ამ ნაერთების მრავალი მეტაბოლიტი იძლევა მდგრად კონიუგანტებს მცენარეულ და ცხოველურ პროდუქტებთან. მცენარეებში ასეთი კონიუგანტები წარმოიქმნებიან ნახშირწყლებთან და ამინომჟავებთან ერთად. ცხოველურ ორგანიზმებში კი მიიღება კარგად სხნადი სულფატები და გლუკონატები. მიკროორგანიზმების გავლენით ნიადაგში პირეტროიდები პრაქტიკულად მთლიანად იშლებიან ისეთ მარტივ ნივთიერებებად, როგორიც არის ნახშირორჯანგი, ნახშირწყალბადი და სხვა /ნ. მელნიკოვი 1987/.

იმასთან დაკავშირებით, რომ პირეტროიდების ერთ-ერთ მთავარ მეტაბოლიტს წარმოადგენს ფენოქსიბენზილის სპირტი და ფენოქსიბენზოის მჟავა მოსაზრება აქვს /რუს 1982, მიკატს 1984/.

ს. ბელანი, ნ. მელნიკოვის /1984/ ცნობით პირეტროიდები მცენარეში უცვლელი სახით 2-3 კვირას რჩებიან.

პირეტროიდებს ავტორები მიაკუთვნებენ ზომიერად პერსისტენტულ პრეპარატებს, რომელთათვისაც არ არსებობს მნიშვნელოვანი რაოდენობით გარემოს ობიექტებში დაგროვების საშიშროება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნული ჯგუფის პრეპარატები გამოიყენება მეტად მცირე ხარჯვის ნორმებით. ამასთან დაკავშირებით მკვლევართა უმეტესობას ეს პრეპარატები მიაჩნიათ უსაფრთხოდ გარემოსა და თბილსისხლიანებისათვის /ა. პეტრუშოვა 1984/.

პირეტროიდების მწარმოებელი ფირმების მონაცემებით, აღნიშნული პრეპარატები ნაყოფებში სწრაფად იშლებიან.

ჩვენს მიერ შესწავლილია თანამედროვე ინსექტიციდების ნაშთების შემცველობა დამუშავებულ ყურძენში, რისთვისაც გამოვიყენეთ განსაზღვრის ახალი მეთოდები. იმასთან დაკავშირებით, რომ ეს მეთოდები ძნელად მისაწვდომია ჩვენს ქვეყანაში, დეტალურად მოგვყავს ანალიზის მსვლელობის პროცესები.

ნაყოფში დაშლის დინამიკის შესწავლის მიზნით ვაზი სხურდებოდა პრეპარატებით. წამლობები სპეციალურად ტარდებოდა გამონასკველ ნაყოფზე, ივნისის დასაწყისში, რათა საშუალება გვქონოდა პრეპარატების დაშლის დინამიკა უშუალოდ შეგვესწავლა შესხურებულ ნაყოფებში. თითოეულ ვარიანტში ვიღებდით 10-10 სამოდელო მცენარეს, შემდეგ კი დროის გარკვეულ ინტერვალში პრეპარატების ნაშთების სრულ გაქრობამდე ანალიზი ტარდებოდა თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის მეთოდით. /ს. კისელიოვი, ნ. გნედი, მ. პარხომჩუკი 1994, ლ. მიქაძე, ლ. მამალაძე 2005/.

ლოდინის პერიოდად ითვლება დრო (დღეებში) უკანასკნელი შესხურებიდან იმ პერიოდამდე, როდესაც პრეპარატის ნაშთის რაოდენობა შემცირდება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციამდე.

პრეპარატების დაშლის ხანგრძლივობაზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენის შესწავლის მიზნით, ჩატარდა სპეციალური გამოკვლევები, კერძოდ შესწავლილ იქნა პესტიციდების ხარჯვის ნორმების, შესხურების ჯერადობის გავლენა.

ცდებით დადგენილ იქნა, რომ ხარჯვის ნირმის 2-ჯერ გაზრდით ფოსფოროგანული პრეპარატების დაშლის ხანგრძლივობა 3-4 დღით იზრდებოდა, პირეტროიდებისა კი 2-3 დღით. წამლობათა ჯერადობის გაზრდა, იმ შემთხვევაში, თუ წამლობათა შორის პრეპარატები სრულად იშლებიან, არ ზრდის დაშლის ხანგრძლივობას.

**ყურძენში ახალი პრეპარატების ნაშთის განსაზღვრის მეთოდიკები**

**დელტამეტრინის (დეცის პროფი) მცენარეებში ქრომატოგრაფიული მეთოდებით განსაზღვრა**

დელტამეტრინი, ქიმიური სახელწოდება-ა-ციანო 3-ფენოქსიბენზილ -3) (2-დიმეთილ 3 (2,2 დიბრომვინილი) ციკლოპროპან კარბოქსილატი. ემპირული ფორმულა:  $C_{22}H_{19}B_2NO_3$

მეთოდი ეფუძნება პრეპარატის ექსტრაქციას აცეტონით.

ექსტრაქტების გასუფთავებას სისტემაში სითხე-სითხე, ან სვეტური ქრომატოგრაფიით და შემდგომ განსაზღვრას თხელფენვანი და თხევადი ქრომატოგრაფიით.

რეაქტივები და ხსნარები: დელტამეტრინი, ანალიზური სტანდარტი 99,5%, აცეტონი. .ს, წყლიანი ამიაკი 25%-იანი, ნ-ჰექსანი ს, დიფენილამინი, ნატრიუმის სულფატი უწყლო, ვერცხლის ნიტრატი ს.ა, ინდიკატორის ქალალდი უნივერსალური, წყალი დისტილირებული,

„სილუფოლის“ ფირფიტები, ფილტრის ქაღალდი უნაცრო „ლურჯი ლენტა“, ქრომატონ სუპერი, აზოტი განსაკუთრებული სისუფთავის. ძირითადი სტანდარტული ხსნარი კონცენტრაციით 100მკგ/მლ მზადდება 10 მგ დელტამეტრინის აცეტონში გახსნით 100მლ-იან საზომ კოლბაში. სტანდარტული ხსნარი ინახება მაცივარში სამი თვის განმავლობაში.

სამუშაო ხსნარები 1,3,5 და 10მკგ/მლ კონცენტრაციით მზადდება ძირითადი სტანდარტული ხსნარის შესაბამისი განზაგებით. გამამჟღავნებელი რეაგენტი:

აზოტმჟავა ვერცხლის 0,5%-იანი ხსნარი აცეტონში.

სინჯის აღება:

სინჯის აღება, შენახვა და მიწოდება ხდება „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებიდან, საკვები პროდუქტები ან და გარემოს ობიექტებიდან პესტიციდების მიკრორაოდენობის განსაზღვრისათვის არსებული უნიფიცირებული წესების მიხედვით“ (№2051-79 21.08.79).

განსაზღვრის ჩატარება: ექსტრაქცია და ექსტრაქციის გასუფთავება. მწვანე მასალა- 25 გ დაქუცმაცებულ სინჯს ათავსებენ კონუსურ კოლბაში, უმატებენ 50 მლ 50%-იან წყლიან აცეტონს. ანჯლრევენ 1 საათის განმავლობაში. ექსტრაქციას ახდენენ სამჯერ. ექსტრაქტს ფილტრავენ ქაღალდის ფილტრში, აერთებენ ექსტრაქტებს და ათავსებენ მაცივარში 1 საათის განმავლობაში. ნალექების გამოყოფისას ხელმეორედ ფილტრავენ. გაერთიანებული ექსტრაქტები გადააქვთ გამყოფ ძაბრში და ახდენენ ექსტრაქციას სამჯერ 30-30 მლ ჰექსანით. აუწყლოებენ ნატრიუმის სულფატით და აკონცენტრირებენ სინჯს 0,3-0,5 მლ-მდე როტაციულ ამაორთქლებელზე 50 ცელსიუსზე. მშრალ ნაშთს ხსნიან 1მლ ჰექსანში, უმატებენ 1მლ ტოლუოლს და 0,1 მლ მეთილის სპირტს, მიჰყავთ ჰექსანით 5მლ -მდე, აცხელებენ 15 წუთის განმავლობაში 70-80 ცელსიუსზე წყლის აბაზანაში (კოლბა

მჭიდროდ უნდა იყოს დახურული). გაცივების შემდეგ ანეიტრალუბენ 0,1 მლ 0,55%-იანი გოგირდმჟავას ხსნარით მეთანოლში. ქრომატოგრაფირებისათვის მიღებულ ხსნარს აკონცენტრირებენ აბაზანის 50 ჩ-ზე ან ჰაერზე. ნაშთს ხსნიან 1 მლ ჰექსანზი და ახდენენ ქრომატოგრაფირებას. თუ საბოლოო ექსტრაქტი არ არის სუფთა ახდენენ მის დამატებით გაწმენდას აცეტონიტრილის ან სვეტური ქრომატოგრაფიის მეშვეობით.

აცეტონიტრილით გაწმენდისათვის მშრალ ნაშთს კოლბაში უმატებენ 3-5მლ აცეტონიტრილს, ანჯლრევენ 1-2 წთ და გადააქვთ აცეტონიტრილი რაოდენობრივად გამყოფ ძაბრში, უმატებენ 50მლ 2%-იან ნატრიუმის ქლორიდს. ახდენენ ექსტრაგირებას ორჯერ 30-30 მლ ჰექსანით 1-2წთ ნჯლრევის პირობებში. ექსტრაქციული ნივთიერებები რჩებიან წყლიან ხსნარში. გაერთიანებულ ჰექსანიან ექსტრაქტს აშრობენ უწყლო ნატრიუმის სულფატით მშრალ ნაშთამდე.

**იდენტიფიკაცია და რაოდენობრივი განსაზღვრა  
აირთხევადი ქრომატოგრაფია**  
ქრომატოგრაფში შეჰყავთ მიმდევრობით 5-5 მკლ სტანდარტული ხსნარი და სინჯი.

მატარებელი-ქრომატონი N-AW ნდმ ს(0,16-0,20 მმ)

ელექტრომეტრის შკალა- 20.10-12

ელექტირების ხაზობრივი დიაპაზონი 3-15ნგ

განსაზრვრის ქვედა ზღვარი 5ნგ

გამოსვლის დრო 3 წუთი და 36 წამი (უძრავი ფაზა SE-30)

სინჯში პრეპარატის შემცველობას გამოთვლიან ფორმულით:

$$X = \frac{S_{\text{სინჯი}} \times C_{\text{სტ.}} \times V_{\text{საერთო}}}{S_{\text{სტ.}} \times V_{\text{ა.}}} \text{ მგ/კგ (მგ/ლ) სადაც,}$$

$$S_{\text{სტ.}} \times V_{\text{ა.}}$$

S-სინჯ-საანალიზო პიკის ფართობი

S-სტ-სტანდარტული ხსნარის პიკის ფართობი

C-სტ-დეცისის რაოდენობა ქრომატოგრაფირებად სტანდარტში, ნგ.

V-საერთო-საბოლოო ხსნარის მოცულობა, საიდანაც აიღება ალიქვოტი ქრომატოგრაფიისათვის მდ.

Vა-ქრომატოგრაფიში შეყვანილი ალიქვოტი

P-საანალიზო სინჯის წონა გ(მლ).

**თხელფენვანი ქრომატოგრაფია**

0,2-0,3 მლ-მდე დაკონცენტრირებული სინჯი რაოდენობრივად დააქვთ ქრომატოგრაფიულ ფირფიტაზე, მარჯვნივ და მარცხნივ დაიტანენ სტანდარტული ხსნარების სერიას. ფირფიტას ათავსებენ ქრომატოგრაფიულ კამერაში, სადც 30 წუთით ადრე ჩასხმულია ჰექსან-აცეტონის 4:1 ნარევი. ფრონტის ხაზის 10 სმ მიღწევის შემდეგ ამოიღებენ ფირფიტას, აშრობენ ჰაერზე და ამუშავებენ ვერცხლის ნიტრატის ხსნარით, შემდეგ ათავსებენ უФ დასხივების ქვეშ 15-20 წუთის განმავლობაში.

$$Rf=0,45$$

დეცისის რაოდენობას სინჯში გამოთვლიან ფორმულით:

$$X = \frac{A}{P}$$

სადაც,  $X$ -პრეპარატის შემცველობა სინჯში მგ/კგ (მგ/ლ), A-პრეპარატის რაოდენობა ნაპოვნი სინჯისა და სტანდარტის ლაქის ფერის ინტენსივობისა და ფართის სიდიდის შეფარდებით მკგ-ში. P-საანალიზო სინჯის წონაკი გ (მლ)

/ ტ. ჰეტროვა, ნ. კრასნიკოვა, ზ. ნიგრეი, ლ. გირენკო, მ. კლისენკო მეთოდური მითითება №18 , ნაწილი 2, კიევი 1995/.

**მცენარეულ მასაში სპიროდიკლოფენის (ენგიდორი) განსაზღვრის  
თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის მეთოდი**

სპიროდიკლოფენი - სუფთა ნივთიერება წარმოადგენს უფერო  
კრისტალებს, იხსნება მეტწილად ორგანულ გამხსნელებში.

მდდ უურძნისათვის 0,1 მგ/კგ. მეთოდის პრინციპი - მეთოდი  
ეფუძნება სპიროდიკლოფენის ექსტრაქციას ორგანული გამხსნელით.  
გასუფთავებას ქრომატოგრაფიულ სვეტში და თხელფენოვანი  
ქრომატოგრაფიით განსაზღვრას ვერცხლის ამიაკატის საშუალებით.

სპიროდიკლოფენის ძირითადი სტანდარტული ხსნარი 100მგ/მლ  
ინახება მაცივარში ერთი თვის განმავლობაში. სამუშაო სტანდარტული  
ხსნარები 10,5,1 მკგ/ლ კონცენტრაციებით მზადდება ძირითადი ხსნარის  
განზავებით შესაბამისი რაოდენობა გამხსნელებით. გამამჟღავნებელი  
რეაქტივი: 0,5 გ ვერცხლის ნიტრატეს ხსნიან 10 მლ დისტილირებულ  
წყალში. ამატებენ 7 მლ 25%-იან ამიაკის წყალხსნარს და შეავსებენ  
100მლ-მდე აცეტონით.

**სინჯის აღება:** სინჯის აღება, შენახვა ხდება „კესტიციდების  
მიკრორაოდენობის განსაზღვრისათვის სასოფლო-სამეურნეო  
პროდუქციის, კვების პროდუქტების და გარემოს ობიექტების სინჯების  
აღების უნიფიცირებული მეთოდების“ შესაბამისად № 2051.

განსაზღვრის ჩატარება 20 გ მცენარეული მასას აქუცმაცებენ და  
ათავსებენ 250 მლ-იან კონუსურ კოლბაში. ამატებენ 50 მლ წყლიან  
აცეტონს (1:1) და ანჯლრევენ სანჯლრეველაზე 30 წთ –ის  
განმავლობაში. ექსტრაქტს ფილტრავენ, ახდენენ ფილტრის ჩარეცხვას  
30 მლ აცეტონით. ექსტრაქტებს აერთებენ და ათავსებენ მაცივარში 1  
საათის განმავლობაში, ნალექის გამოყოფის შემთხვევაში ისევ  
ფილტრავენ. შემდეგ ათავსებენ გამყოფ ძაბრში და ახდენენ  
ექსტრაქციას 30 მლ ჰექსანით ორჯერ. ჰექსანიან ფრაქციას აერთებენ  
, აშრობენ უწყლო ნატრიუმის სულფატით და დაჰყავთ მშრალ

ნაშთამდე როტაციულ ვაკუუმამაორთქლებელზე. თუ საბოლოო ექსტრაქტი არასაკმარისად სუფთაა ახდენენ დამატებით გაწმენდას აცეტონიტრილით. მშრალ ნაშთს კოლბაში უმატებენ 3-5 მლ აცეტონიტრილს. ანჯლრევენ 1-2 წუთით. აცეტონიტრილი რაოდენობრივად გადააქვთ გამყოფ ძაბრში და უმატებენ 3-5 მლ აცეტონიტრილს. ანჯლრევენ 1-2 წთ. შემდეგ უმატებენ გამყოფ ძაბრში 50 მლ 2% იან ნატრიუმის ქლორიდს. ახდენენ ექსტრაქციას 30 მლ ჰექსენით 2 ჯერ. შენჯლრევის პირობებში. კოექსტრაქტები რჩებიან წყლიან ხსნარში. გაერთიანებულ ჰექსანიან ექსტრაქტს აშრობენ უწყლო ნატრიუმის სულფატით ფილტრზე გატარებით. აშრობენ მშრალ ნაშთამდე.

**ქრომატოგრაფირება.** მშრალ ნაშთს ხსნიან მცირეოდენი აცეტონით და დააქვთ სილუფოლის ფირფიტაზე. გერდით დააქვთ სტანდარტების სერია 5,2 და 0,5 მკგ. ფირფიტას ათავსებენ ქრომატოგრაფიულ კამერაში, სადაც ასხია მოძრავი გამხსნელის სისტემა აცეტონი- ჰექსანი 1:1. ფრონტის ხაზის მიღწევის შემდეგ ფირფიტას აშრობენ და ასხურებენ გამამურავნებელს. შემდეგ 5 წუთი ათავსებენ УФ ლამფის ქვეშ. სპიროდიკლოფენი მუდავნდება რუხი ფერის ლაქას სახით.  $RF=0,60+-0,5$

**ანალლიზის შედეგების დამუშავება:** რაოდენობრივი შეფასება ხდება სინჯის ლაქის სიდიდის და ფერის ინტენსიონის შედარებით სტანდარტული ხსნარის ლაქის სიდიდესა და ინტენსიონასთან. სპიროდიკლოფენის კონცენტრაციას გამოთვლიან ფორმულით:

$$X = Ax/P, \text{ სადც}$$

Ax-პრეპარატის რაოდენობაა ფირფიტაზე ნაპოვნი მკგ

P-სინჯის წონა

ფირმა „ბაიერ კროპსაენსის“ მიერ მოწოდებული მეთოდი აირადი ქრომატოგრაფიით სპიროდიკლოფენის განსაზღვრისა. /2005/

**იმაიდაკლოპრიდის (კონფიდორ მაქსი) განსაზღვრა ყურძენში  
თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის მეთოდით**

მოქმედი ნივთიერება- იმიდაკლოპრიდი-სტრუქტურული ფორმულა :C9H10CLN5O2, იმიდაკლოპრიდი თეთრი, კრისტალური ნივთიერებაა, უსუნო.

**განსაზღვრის მეთოდიკა:** მეთოდიკა დაფუძნებულია იმიდაკლოპრიდის განსაზღვრაზე წყალში, ნიადაგში და ყურძენში თხელფენოვანი ქრომატოგრაფიით სინჯებიდან ქლოროფორმით პრეპარატის ექსტრაქციისა და ექსტრაქტის გასუფთავების შემდეგ.

სინჯის აღება და მომზადება წარმოებს „პესტიციდების მიკრორაოდენობების განსაზღვრისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, კვების პროდუქტების და გარემო ობიექტებიდან სინჯების აღების უნიფიცირებული წესების“ შესაბამისად.

**სტანდარტული ხსნარების მომზადება:** სტანდარტული ხსნარი იმიდაკლოპრიდისა 100 მკგ/მლ კონცენტრაციით მზადდება პრეპარატის შესაბამისი წონაკის (10,0მგ) გახსნით აცეტონში 100მლ-იან კოლბაში. ხსნარს ინახავენ მაცივარში. იგი ვარგისია გამოყენებისათვის 30 დღის განმავლობაში.

იმიდაკლოპრიდის სამუშაო ხსნარებს კონცენტრაციით 2,5, 5,0, 10,0, 20,0 მკგ/მლ მზადდება 10 მლ ტევადობის დაგრადუირებულ სინჯარებში, აცეტონით სტანდარტული ხსნარის შემდგომი განზავებით.

სამუშაო ხსნარებს ინახავენ მაცივარში. ვარგისია გამოსაყენებლად 3-5 დღის განმავლობაში.

გამამულავვნებელი რეაქტივი-მზადდება ო-ტოლინიდის (10გ) ხსნარს უმატებენ 1 გრამ კალიუმის იოდიდიდს. შესხურების შემდეგ ფირფიტას დაასხივებენ ულტრაიისფერი სხივებით.

„სილუფოლის“ ფირფიტას ათავსებენ ქრომატოგრაფიულ კამერაში, რომელშიც მოთავსებულია ნარევი გამხსნელებისა-აცეტონი-25%-იანი, ამიაკი შესაბამისად 7:3 (მოც). გამხსნელში ფირფიტის ჩაშვების სილრმე 0,5 სმ-ია. გამხსნელის ფრონტის ფირფიტის ზედა კიდესთან აწევის შემდეგ ფირფიტას ამოიდებენ კამერიდან და დააყოვნებენ ჰაერზე გამხსნელის აორთქლებამდე. მის შემდეგ ფირფიტა მზადაა გამოყენებისათვის. მზა ფირფიტას ინახავენ ექსიკატორში.

### ექსტრაქცია და გასუფთავება:

#### ყურძენი

50-100 გ სინჯს დააჭუცმაცებენ. ახდენენ ექსტრაქციას სამჯერ 30-50 მლ ქლოროფორმით. გაერთიანებულ ქლოროფორმიან ექსტრაქტს ფილტრავენ მკვრივ ქაღალდის ფილტრში, გაატარებენ ყწულო ნატრიუმის სულფატის ფენაში და ააორთქლებენ მშრალ ნაშთამდე როტაციულ ამაორთქლებელზე 55 ცელსიუსის პირობებში.

#### ქრომატოგრაფირება

მშრალ ნაშთს კოლბაში გახსნიან 1 მლ აცეტონში, კოლბას ჰერმეტიულად დახურავენ, შეანჯდორევენ კარგად და 0,2 მლ მიღებულ ხსნარს მიკროპიპეტით გადაიტანენ „სილუფოლის“ მომზადებულ ფირფიტაზე. სინჯს გვერდით დააწვეთებენ იმიდაკლოპრიდის თითოეული სამუშაო ხსნარის 0,2 მლ-ს, რაც ლაქაში შეესაბამება 0,5, 1,0, 2,0 მკგ პრეპარატს. ფირფიტას მოათავსებენ ქრომატოგრაფიულ კამერაში, სადაც 10-15 წუთით ადრე ასხამენ გამხსნელების- ბენზოლ-

აცეტონის (1:1) ნარევს  $N_1$  ან ნარევი  $N_2$  ჰექსანი-აცეტონი (1:1) იმ რაოდენობით რომ გამხსნელის ფრონტის აწევამდე სტარტის ბაზიდან 10 სმ სიმაღლემდე ქრომატოგრაფირებას წყვეტენ. ფირფიტას მოათავსებენ ამზოვ კარადაში გამხსნელების აორთქლებამდე, დაამუშავებენ გამამუდავნებელი რეაგენტით და დაასხივებენ უფსესებით 1-5 წთ-ის განმავლობაში. ფირფიტას ათავსებენ სინათლის წყაროდან 20 სმ მანძილზე. იმიდაკლოპრიდის არსებობისას ქრომატოგრამაზე გამომუდავნდება ლურჯი ფერის ლაქები. იმიდაკლოპრიდის Rf-ის სიდიდე აღნიშნულ მოძრავ გამხსნელებში შემდეგია :

ბენზოლი-აცეტონი (1:1)-0,6+-0,02 ჰექსანი-აცეტონი (1:1)-0,5+- 0,02  
მაქსიმალურად დეტექტირებადი რაოდენობა იმიდაკლოპრიდისა-0,5 მკგ.

#### ანალიზის შედეგების დამუშავება

რაოდენობრივ განსაზღვრას აწარმოებენ სინჯისა და სტანდარტული ხსნარების ლაქების ფართობისა და ინტენსიობის შედარების გზით.

იმიდაკლოპრიდის კონცენტრაციას წყალში (X)(მგ/ლ), ნიადაგში, ყურძენში გამოთვლიან ფორმულით:

$$X = \frac{AV}{PV_1}$$

სადაც,  $A$ -იმიდაკლოპრიდის რაოდენობა, მოძებნილი სტანდარტებთან შედარებისას, მკგ;

P-სინჯის წონაკი

V-სინჯის ექსტრაქციის საბოლოო მოცულობა, მლ;

V1-სინჯის ქრომატოგრაფირებული მოცულობა, მლ;

**მეთომილის (ლანატი) ყურძენში განსაზღვრის მაღალეფექტური  
თხევადი ქრომატოგრაფიის მეთოდი**

მეთომილი თეთრი ფერის კრისტალური ფხვნილია, წყალში  
ხსნადობა 25 C-ზე 55 მლ/ლ-ია. სტაბილურია ჰიდროლიზისადმი PH -5  
და 7-ის დროს.

**მეთოდის არსი მეთოდი ეფუძნება სინჯიდან მეთომილის  
ექსტრაქციას ორგანული გამხსნელით და შემდგომ მისი განსაზღვრას  
მაღალეფექტური თხევადი ქრომატოგრაფიით.**

**განსაზღვრის ჩატარება 10გ სინჯს დაემატება 10 მლ  
აცეტონიტრილლი და აირევა მაღალი სიჩქარის ჰომოგენიზატორში 2  
წუთის განმავლობაში, გაიფილტრება ბიუხნერის ძაბრში 500 მლ-იან  
კოლბაში ფილტრის ქაღალდი „ვატმან №4-“-ის გამოყენებით,  
ჩაირეცხება 10მლ აცეტონიტრილით და შემდგომ ჩაირეცხება ფილტრი  
10 მლ დეიონიზირებული წყლით. შემდეგ ფილტრს დაემატება 5 გ  
ნატრიუმის ქლორიდი და შეინჯდრევა 30 წამის განმავლობაში.  
დაყოვნება 30 წუთის განმავლობაში ფრაქციებად დაყოფისათვის.**

შემდეგ სინჯი დაიყვანება მშრალ ნაშთამდე. საბოლოოდ გაშრობა  
მოხდება აზოტის გამოყენებით. დაემატება 1მლ  
აცეტონიტრილი+წყალი 15-85 მოცულობით ჩატარდება ქრომატოგრაფია.  
/ფირმა დიუპონის პრეპარატ ლანატის დოსიე /2005/

**ავანტის (ინდოქსიკარბი) ყურძენში განსაზღვრის  
თხევადქრომატოგრაფიული მეთოდი**

ავანტის ტოქსიური საწყისის განსაზღვრა მოხდა  
M.Ганион,Р.Гуниван(E.L.Du Pont de Nemours, Wilmington, Delaware, USA;  
document Du Pont , AMR 2911-94, 1июня 94) მეთოდის მიხედვით, ხოლო  
ინდოქსიკარბის რაოდენობრივ შეფასებას ვახდენდით

მაღალიმგრძნობელობის თხევად ქრომატოგრაფზე(მარკა-MERCK-CHITACHI.) ინდოქსიკარბის გამოსვლის დრო 7,2 წთ.

ანალიზის შედეგების შეფასება ხდებოდა შემდეგი ფორმულით:

X=C(Hსინჯ.)SსინჯV100/(Hსტ)SსტPR

X-ინდოქსიკარბისშემცველობასინჯში

Sსტ-სტანდარტის პიკის ფარტი

Sსინჯ-სინჯის ფართი, პირობითი მნიშვნელობა

C-სტანდარტული ხსნარის კონცენტრაცია მკლ/მლ

V-ქრომატოგრაფირებისათვის მომზადებული ექსტრაქტის

მოცულობა მლ;

P-საანალიზო სინჯის მას გ(მლ)

R -გადათვლის კოეფიციენტი, ადრე განსაზღვრული საშ. მნიშვნელობა.

ინდოქსიკარბის ნარჩენი რაოდენობა ყურძენში 20 დღის შემდეგ-0,02 მგ/კგ, ხოლო 72 დღის (მოსავლის აღების შემდეგ) აღინიშნა უმნიშვნელო კვალი. /ლ. მიქაძე, მ. გერგაია, ლ. მამალაძე 2006/

**მარშალის (კარბოსულფანის) ნარჩენი რაოდენობის განსაზღვრა ყურძენში**

ეკოლოგიურად სუფთა მოსავლის მისაღებად, პრეპარატის გამოყენების რეგლამენტების და ლოდინის პერიოდის დასადგენად მარშალით ვაზი შრსხურდა ორჯერადად: მეორე შესხურება ჩატარდა ივნისის ბოლოს. კარბოსულფანის დაშლის დინამიკაზე დაკვირვება იწარმოა ბოლო წამლობის შემდეგ- თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის მეთოდით. /ნ. კისილიოვი, და ს. გნედი 1996/

სინჯები შევარჩიეთ „სინჯების შერჩევის უნიფიცირებული მეთოდის“ მიხედვით.

ცდებმა დაგვანახა, რომ კარბოსულფანი ყურძენში რჩება ერთი თვის მანძილზე;

### **კარბოსულფანის დაშლის დინამიკა ყურძენში**

**ცხრილი №44**

| სინჯის სახე<br>რაოდენობა | და | სინჯის აღების ვადა | კარბოსულფანის<br>შემცველობა მგ/კგ |
|--------------------------|----|--------------------|-----------------------------------|
| ყურძენი, 30 გ            |    | 10 დღის შემდეგ     | 0,25                              |
|                          |    | 20 დღის შემდეგ     | 0,10                              |
|                          |    | 30 დღის შემდეგ     | არ აღმოჩნდა                       |

ცდებზე დაყრდნობით დადგინდა პრეპარატ მარშალის ლოდინის პერიოდი-30 დღე.

**ტალსტარის (ბიუეტრინი) ნარჩენი რაოდენობების განსაზღვრა და დაშლის დინამიკა ყურძენში**

პრეპარატ ტალსტარის გამოყენების რეგლამენტებისა და ლოდინის პერიოდის დასადგენად ყურძენი დავამუშავეთ მოცემული პრეპარატით ორჯერადად. მეორე წამლობა ჩატარდა ივნისის ბოლოს. დაშლის დინამიკას დავაკვირდით ბოლო წამლობის შემდეგ.

ტალსტარის დაშლის დინამიკის შესწავლა მოხდა მოდიფიცირებული ქრომატოგრაფიული მეთოდით და „Методические

указания по газохроматографическому определению бифетрина (Талстар) в растительных объектах, в воде и почве“ . Н.Л. Киселёв, С.И. Гнед, Н.П. Пархомчук- М. 1994 г. Сб№22(1).

### ბიფეტრინის დაშლის დინამიკა ყურძენში

ცხრილი №45

| სინჯის<br>რაოდენობა | სახე<br>და | სინჯის აღების ვადა | ბიფეტრინის შემცველობა<br>მგ/კგ |
|---------------------|------------|--------------------|--------------------------------|
| ყურძენი, 30 გ       |            | 10 დღის შემდეგ     | 0,3                            |
|                     |            | 20 დღის შემდეგ     | 0,25                           |
|                     |            | 30 დღის შემდეგ     | 0,05                           |
|                     |            | 40 დღის შემდეგ     | კვალი                          |

ბიფეტრინის მაქსიმალურად დასაშვები რაოდენობა ყურძენში – 0,2 მგ/კგ. ჩვენს ცდებზე დაყრდნობით ტალსტარის ლოდინის პერიოდად დადგენილი იქნა ვაზში 30 დღე.

### ჩვენს მიერ გამოცდილი პრეპარატების დაშლის დინამიკა

პერიოდების გამოყენების რეგლამენტების დასადგენად, საქართველოს კლიმატური პირობების გათვალისწინებით, შეწამლული ნაკვეთებიდან ბოლო წამლობის შემდეგ ვიღებდით სინჯებს უნიფიცირებული მეთოდის შესაბამისად /Унифицированными правилами отбора проб сельскохозяйственной продукции , продуктов и объектов

окружающей среды для определения микроколичеств пестицидов, утверждёнными 21-08-79 № 2051-79/.

